მამუკა ხაზარაძე: თუ არაფერი შეიცვალა, BP-ს წინააღმდეგ სერიოზულ კამპანიას დავიწყებთ B1

ევროისტორია B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 2002 წელი. №179

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

30 ნოემბერს - კვლავ გაყალბებული სიებით

არ არის გამორიცხული, ცესკოს ამ შემადგენლობისთვის 30 ნოემბრის არჩევნების მოსამზადებელი სხდომები უკანასკნელიც კი იყოს, რადგან პარლამენტში სულ უფრო მეტად მწიფდება აზრი, რომ 30 ნოემრის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა დაიშალოს, როგორც "დისკრედიტებული და არჩევნების გამყალბებელი ორგანო".

A3

ეკონომიკა

მშენებლები მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გაუქმებას აპროტესტებენ

პარლამენტის კინოდარბაზში ფრაქცია "სოციალისტისა" და არასამთავრობო ორგანიზაციის "თბილისის ეკონმიკური ფორუმის" წარმომადგენლები მშენებლებს შეხვდნენ. ფორუმზე მოსული ორასამდე მშენებელი აპროტესტებდა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გაუქმების შესახებ.

A4

უცხოეთი

რუსული ენერგოკომპანიები ბალტიისპირეთს იპყრობენ

საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის სტატია ბალტიისპირა სახელმწიფოების უსაფრთხოებას შეეხება. სოკორის მტკიცებით, ნატოში გაწევრიანების მიუხედავად, რუსული კომპანიების ექსპანსია სამი პატარა სახელმწიფოსათვის საფრთხეს წარმოადგენს.

A5

საზოგადოება

სახელმწიფო ტურიზმს აქვირებს

შარშან სვანეთში, გერმანელი ტურისტების ჯგუფზე გახმაურებული თავდასხმა მოხდა. სამ მიკროავტობუსს, რომელსაც მესტიის სამძებროს უფროსი და ექვსი პოლიციელი მიჰყვებოდა, მესტია-ხაიშის მონაკვეთზე ტყიდან სროლა აუტეხეს.

A6

სამართალი

პოლიციურ ვესტერნს წმენდა მოჰყვება

"პოლიცია ის ორგანოა, რომელიც წესიერების, პატიოსნებისა და წესრიგის ნიმუში უნდა იყოს ყველასთვის, ულირსები და წესრიგის დამრღვევები უნდა დაისაჯონ!"

A7

ამინდი

თბილისი	9	☀
ქუთაისი	16	☀
ბათუმი	17	⛅
სოხუმი	14	⛅
ფოთი	16	☀
თელავი	8	☀
ზუგდიდი	16	☀
გორი	7	⛅
ახმეტა	7	☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1750
ევრო	2.1533
გირვანქა სტერლინგი	3.3976
რუბლი	0.0683

ნავთობსადენი – კოლონიური არასრულფასოვნებისგან გათავისუფლების ტესტი

ივერი ლომთათიძის ფოტო

საპროტესტო აქცია სნსკ-ს ოფისთან.

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე ერთადერთი სახელმწიფო ნებართვა და თანმხლები სავალდებულო პირობები შაბათს, 30 ნოემბერს გაფორმდება. საქართველოსა და "ბრიტიშ პეტროლიუმს" შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, ამას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე გააკეთებს. ამ ერთი ხელმოწერის უკან კი ბევრი პოლიტიკურ-ეკონომიკური ჯგუფის ფარული თუ აშკარა დაპირისპირებების, ინტერესთა კონფლიქტების, ფინანსურ-მერკანტილური დაინტერესებებისა და პოლიტიკურად გააზრებული თუ უპასუხისმგებლო განცხადება-მოსაზრებების ნიაღვარი დგას. ჩვენი ქვეყნისთვის ამ პროექტის პოლიტიკური მნიშვნელობის ეკონომიკურზე უპირატესობა უკვე საქართველოშიც არის აღიარებული. აზერბაიჯანისა და თურქეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ახლაც განიხილება ალტერნატივები.

გიორგი გახელაძე

"მწვანე ალტერნატივისა" და "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის" აქტივისტები, რამდენიმე მოქალაქის მხარდაჭერით, გუშინ, 27 ნოემბერს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (სნსკ) ოფისს საპროტესტო ტრანსპარანტებით მიადგნენ: "ბორჯომი საქართველოს სიმდიდრეა. ნავთობი??", "მოვითხოვთ მარშრუტის შეცვლას!" და "არ დაუშვათ ბაქო-ჯეიჰანი ბორჯომზე!!!" იქვე მოტანილი ჰქონდათ მაზუთით, ბენზინითა და ნავთით სავსე ბოთლები ეტიკეტით: "ბუნებრივი წყაროს წყალი **ბრჯმი**. ჩამოსხმულია საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის მიერ." მათი მისვლიდან რამდენიმე წუთში ოფისის დაცვის, მერე კი აპარატის თანამშრომლები 15-20-კაციანი უხმო "ჩოჩქოლის" დასაშოშმინებლად გამოვიდნენ.

გაგრძელება A8 გვერდზე

"ჩვენი ფასი კაპიკია" - ასკვნის საკრებულოს წევრი

თბილისის მთავრობის სრული იმპიჩმენტი არ შედგა

სოფო ბუკია

"მითხარით, ხალხო, ეს საკითხი დღის წესრიგში ყოველდღე იდგება თუ შერაძისთვის კვირაში მხოლოდ ერთი დღე გვეყოფა?" – იკითხეს გუშინ საკრებულოს სხდომაზე.

თბილისის საკანონმდებლო ორგანო გუშინ ისევ ვერ შეელია თბილისის პრემიერს გია შერაძეს.

საკრებულოს არც ერთ სხდომაზე, არც ერთი ფრაქციის წარმომადგენელს ღიად არ განუცხადებია, რომ მხარს უჭერს თბილისის პრემიერს. ფარული კენჭისყრის დროს კი რატომღაც ბევრს შერაძის სიყვარული ეძალება.

შერაძეს გუშინ, 25 მოწინააღმდეგესთან ერთად, 12 მომხრე გამოუჩნდა. პრემიერის იმპიჩმენტი ისევ არ შედგა. დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანო თავის ოპოზიციონერობას, ჯერჯერობით, ვერ ამტკიცებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სად მთავრდება ევროპა?

რომანო პროდი ფიქრობს, რომ ევროკავშირმა მხოლოდ ჭეშმარიტად ევროპული ქვეყნები უნდა მოიცვას

შოთა უტიაშვილი

"დროა, ჩვენს თავს ვკითხოთ, სად მთავრდება ევროპა, – განაცხადა გუშინ, ჰოლანდიურ გაზეთ "დე ფოლკსკრანტთან" საუბრისას ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ, – ბალკანეთის ქვეყნები გახდებიან ერთიანი ევროპის წევრები. მათი ადგილი იქ არის. თურქეთი ოფიციალურად კანდიდატია და აქაც ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაროკო, უკრაინა ან მოლდოვა? მათი გაწევრიანებისთვის ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ".

"ჩვენ უნდა ვისაუბროთ ჩვენს კრიტერიუმებზე. ის, რომ უკრაინელები და სომხები თავს ევროპელებად მიიჩნევენ, ჩემთვის არაფერს ნიშნავს, რადგანაც თავს ევროპელებად ახალი ზელანდიელებიც თვლიან".

ევროპულ ქვეყანას არც რუსეთი წარმოადგენს. პროდი ამბობს, რომ როდესაც მას პუტინმა კითხვა დაუსვა რუსეთის შესაძლო გაწევრიანებაზე, მან მოკლედ უპასუხა: "არა". რუსეთი მეტისმეტად დიდია, – განმარტავს იტალიის ყოფილი პრემიერი და ევროკავშირის უმაღლესი ოფიციალური პირი.

გაგრძელება A5 გვერდზე

ომბუდსმენი და სამხედრო პროკურორი სასამართლო ბატალიებისთვის ემზადებიან

"მე და ნანა დევდარიანი სასამართლოში შევხვდებით", - სასამართლოში ომბუდსმენის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ განაცხადა საქართველოს მთავარმა სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ. მოსალოდნელი შეხვედრა გუშინ არ შედგა, საკუთარი პატივისა და ღირსების შელახვისთვის მომჩივანი გია ჯიქია მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში დანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე თავად არ გამოჩენილა.

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი სახალხო დამცველს ცილისწამებისთვის უჩივის და მის მიმართ გამოთქმული ბრალდებების უარყოფას სთხოვს. თავის მხრივ, სახალხო დამცველი უკან დახევას არ აპირებს და დაპირისპირებული მხარის მიერ სასამართლო პროცესის წამოწყებით კმაყოფილიც კია. მისი აზრით, ამ პროცესით საზოგადოებას საშუალება მიეცემა, კიდევ ერთხელ და, შესაძლოა, ადრინდელზე უფრო დეტალურად გაერკვეს სამხედრო პროკურორის საქმიანობაში.

გაგრძელება A7 გვერდზე

დიდი ნავთობის პროტაგონისტები და საზოგადოება

ნიკოლოზ რურუა

როგორც ყველა სუსტი ქვეყანა, საქართველოც ძლიერი მოკავშირის ძიების განუწყვეტელ პროცესშია. ასეთ მთავარ პროტექტორად და მოკავშირედ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამერიკის შეერთებული შტატები იქცა. ამდენად, თითქმის ყველაფერი დასავლური, ყველანაირი ანალიზის გარეშე, სამომავლო კეთილდღეობასთან ასოცირდება. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ სახიფათო ილუზიაა, რომლისაგან დროული გათავისუფლებაც ჩვენი დასავლეთთან ჯანსაღი პარტნიორობის წინაპირობაა.

"ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ არჩეული ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის შესაძლო მარშრუტის გარშემო, ამ მარშრუტის მიზანშეწონილობის თაობაზე მითქმა-მოთქმა თითქოსდა დაიწყო, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ აშკარად შეიმჩნევა ამ პრობლემასთან დაკავშირებით სალი, კომპეტენტური და, რაც მთავარია, დამაჯერებელი არგუმენტების სიმწირე.

სამთავრობო ვერსია ამ პროექტის შესახებ, როგორც ვიცით, საკმაოდ გრანდიოზული, ბუნდოვანი და კატეგორიულია; კატეგორიული იმიტომ, რომ ამ პროექტის ნებისმიერ კრიტიკოსს ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის არაკეთილისმსურველის, თითქმის სამშობლოს მტრის იარლიყი ელის; ბუნდოვანი იმდენად, რამდენადაც პროექტის მიერ მოტანილ სავარაუდო სარგებელზე ხელისუფლება ძალიან ზოგადი და თითქმის არაფრისმთქმელი ფრაზებით ლამობს საზოგადოების აბსოლუტურად მართებული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას; და გრანდიოზული კი იმიტომ, რომ ხელისუფლება ამ ერთ კონკრეტულ პროექტს თითქმის ყველა არსებული პრობლემის გადასაჭრელ პანაცეად გასაღებას ცდილობს.

გაგრძელება A8 გვერდზე

წერილი, რომლის უკანაც სერიოზული გეოპოლიტიკური ინტერესები დგას

გუშინ "24 საათმა" მკითხველს აცნობა იმ წერილის შესახებ, რომელიც აზერბაიჯანის მილი მეჯლისმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სახელზე გამოაგზავნა.

უფრო ზუსტად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ჯერ მხოლოდ ოფიციალური წერილის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროექტი მიიღო, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზეა შედგენილი და თან ახლავს რუსული თარგმანი. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მასში არანაირი პროტესტის ტონი არ იგრძნობა და იგი საკმაოდ ზომიერად არის შედგენილი. ამ წერილით აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარე თავის ქართველ კოლეგას აცნობებდა, რომ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს მოქალაქე სამი აზერბაიჯანელის წინააღმდეგ ჩადენილი იყო კრიმინალური დანაშაული.

თამარ მჭედლიშვილი

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანულმა ოპოზიციურმა გაზეთებმა "ზერკალომ" და "ექომ" გამოაქვეყნეს პუბლიკაციები, რომლის თანახმად, **"პარლამენტის დეპუტატები შეშფოთებულები არიან საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების შევიწროების გახშირებული ფაქტების თაობაზე"** და ამის გამო, ოფიციალური ნოტით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

ნატო-სკენ მიმავალი გზა დმანისის სამარხებზე გადის?!

ნატო-ს სამიტის შემდეგ პირველად გამართულმა მთავრობის სხდომამ, რომელიც საკმაოდ მოსაწყენი აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, ვერ ჩაიარა ნატო-ში შესვლის მომხიბლავ პერსპექტივაზე საუბრის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ დღის წესრიგში, ძირითადად, სამეურნეო საკითხები იყო, მაგალითად ისეთი, როგორიცაა საახალწლო ნაძვის ხეების განადგურების წინააღმდეგ ბრძოლა ან შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ზრუნვის შესახებ მოხსენება, საქართველოს პრეზიდენტმა ნატო-ზე საუბრის ჩამოსაგდებად ზედგამოჭრილი მომენტის შერჩევა უპრობლემოდ მოახერხა:

მაშინ, როცა სხდომაზე საგანგებოდ მიწვეული მეცნიერები დმანისის ცნობილი აღმოჩენების შესახებ მოახსენებდნენ ედუარდ შევარდნაძეს, მან დამსწრეთათვის ნატო-ს სამიტზე სტუმრობის შთაბეჭდილების გაზიარება გადაწყვიტა: **“ამბობდნენ, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ნატო-ში გაწევრიანება რუსეთისთვის ძალიან მტკივნეული იქნებაო. აი, ბატონო, გაწევრიანდნენ და... არავითარი მძიმე შედეგი...”** ასეთი შედეგის არარსებობით აღფრთოვანებული ქვეყნის პრეზიდენტი საქართველოს მიერ ნატო-ს სტანდარტების მალე დაკმაყოფილებას გუშინ, თავად ღმერთს შესთხოვდა: **“ღმერთმა ქნას, მალე მივაღწიოთ იმ სტანდარტებს, რომელიც ნატო-ს წევრ ქვეყნებს შეესაბამება, თუმცა... ისე, რუმინეთისა და ბულგარეთის დონე არ არის ასტრონომიულად განსხვავებული ჩვენგან...”** -

რაც მთავარია, საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ გაამჟღავნა მთავარი მიზეზი, რამაც ევროპის ქვეყნები (და ჩანს, იგივე ნატო-ც) საქართველოთი და ქართველებით დააინტერესა: **“შემთხვევით კი არ გამხსენებია დმანისის აღმოჩენებზე საუბრისას ნატო,** - უხსნიდა იგი მთავრობის სხდომაზე თემის შეცვლით ცოტაოდენ დაბნეულ აუდიტორიას - **“როცა დმანისის აღმოჩენებზე გავრცელდა ინფორმაცია, საქართველოსადმი დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა... ყველაზე უკეთესი გარანტია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისა, არის მეცნიერული მიღწევები...”**

ალტერნატიული აზრი მთავრობაში ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, გუშინ არავის არ ჰქონია.

“24 საათი”

„ფულის გათეთრების წინააღმდეგ„ სპეციალური საბჭო იქმნება

ფულის გათეთრება საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა, თუმცა, ამ წყაროს მოშლის შესახებ საქართველოს უკვე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე აქვს ნაკისრი ვალდებულება.

საქართველომ, ჯერ კიდევ ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, ივალდებულა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც მიმართული უნდა იყოს უკანონო შემოსავლების ლეგალიზების წინააღმდეგ. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მორიგი ტრანშის გამოყოფას ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონის მიღებას უკავშირებს. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა საგანგებოდ არის მოთხოვნილი იმ ანტიკორუფციულ რეკომენდაციებში, რომელთა შესრულების ბოლო ვადად წლის მიწურული სახელდება.

ამ მოთხოვნების პასუხად, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ განსახილველად გამოიტანა კანონპროექტი “უკანონო შემოსავლების ლეგალიზების აღკვეთის შესახებ”.

კანონპროექტის თანახმად, ეროვნული ბანკი წინადადებას აყენებს, რომ საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი ანგარიშსწორებისთვის მოხსნილ 10 ათას ლარზე მეტ თანხაზე, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში - 30 ათას ლარზე, დაწესდეს მონიტორინგი.

საამისოდ, როგორც ირაკლი მანაგაძემ აღნიშნა, უნდა შეიქმნას ანალიტიკური ცენტრი, რომელიც დამოუკიდებლად იმუშავებს და გააკონტროლებს შავი ფულის გათეთრების მექანიზმებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი ანალიტიკური ცენტრის შექმნა მისასალმებელია და იგი ამ ეტაპზე ეროვნულ ბანკთან უნდა არსებობდეს. **“ამ ეტაპზე ასეთი საბჭო უნდა არსებობდეს ეროვნულ ბანკთან, რადგან იგი ყველა უწყებაზე უკეთ შეძლებს საბანკო კონფიდენციალობის დაცვას...”** - განაცხადა გუშინ ედუარდ შევარდნაძემ და ხაზი გაუსვა, რომ ეს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა სამსახურების ჩართვას არ გამორიცხავს.

გუშინ მიღებული გადაწყვეტილება, რეალურად, ზღვაში წვეთია ფულის გათეთრების იმ პრაქტიკის წინააღმდეგ, რომელიც დღეს ძალიან აქტიურადაა გაჩაღებული საქართველოში (და არა მხოლოდ), მით უმეტეს, რომ ეს საქმიანობა ძალიან სერიოზულ შემოსავლებთან არის დაკავშირებული.

“24 საათი”

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შესადგენად:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

საფოსტო ინდექსი

ბინის ტელეფონის ნომერი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

წერილი, რომლის უკანაც სერიოზული გეოპოლიტიკური ინტერესები დგას

პირველი გვერდიდან

ამ ინფორმაციას აშკარად სკანდალის ელფერი დაჰკრავდა. მით უფრო, რომ ქვემო ქართლში, სადაც კომპაქტურად არიან ჩასახლებულები საქართველოს აზერბაიჯანელი მოქალაქენი, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არანაირ ეთნიკურ შევიწროებას ადგილი არ ჰქონია.

ამის მიუხედავად, დროდადრო, აზერბაიჯანელების შევიწროების თემა მოულოდნელად აგორდება ხოლმე.

ამას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შემდეგნაირად ხსნის:

“მე ვფიქრობ, ძალიან ბევრი ძალაა დაინტერესებული, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობები გაფუჭდეს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ტრადიციულად კარგი ურთიერთობები გვაქვს ამ სახელმწიფოსთან, აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობაც საკმაოდ ლოიალურია საქართველოში. ცხადია, საქართველოს არაკეთილმოსურნეებს არ აწყობთ, რომ ეს ურთიერთობები პოზიტიური იყოს და ყველანაირად ცდილობენ, ჩვენ შორის ურითერთობები გააფუჭონ. ამიტომაც ჩნდება რაღაც პუბლიკაციები, მცდელობები იმისა, რომ საზოგადოება დაარწმუნონ, ვითომ საქართველოში აზერბაიჯანელები იჩაგრებიან და ა. შ.

პრობლემები ყველგან და ყოველთვის არის, მაგრამ გააჩნია, რა დოზისაა ეს პრობლემები. მოდით, პირდაპირ ვთქვათ – ჩვენი ქართულენოვანი მოსახლეობა ხშირად აწყდება იგივე პრობლემებს, რასაც არაქართველი მოსახლეობა. მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ვინმე იჩაგრება ეთნიკური ან ეროვნული ნიშნით. ცალკეული შემთხვევბისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ნამდვილად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოში დღეს ეროვნული, ეთნიკური ნიშნით ვითარება გართულებული არ არის და იმედია, მომავალში ის პრობლემებიც მოიხსნება, რომელიც არსებობს”.

რაც შეეხება თავად აზრებაიჯანის პარლამენტიდან გამოგზავნილ წერილს.

ნინო ბურჯანაძე ამბობს:

“სიმართლე გითხრათ, ინფორმაცია ჩემი კოლეგის წერილთან დაკავშირებით, სააგენტოების მეშვეობით გავიგე. იქაც საუბარი იყო ე.წ. საპროტესტო ნოტაზე. არც კი დავიჯერე და დავიწყე გადამოწმება, რადგან არაფერი მსგავსი მიღებული არ მქონდა და ვერც კი წარმოვიდგინე, რომ შეიძლება რაიმე ნოტაზე ყოფილიყო საუბარი. მართლაც, როგორც გაირკვა, ეს წერილი საპროტესტო ნოტა არ აღმოჩნდა. მინდა გაითხრათ, რომ ეს არის ჩვეულებრივი წერილი. უფრო ზუსტად, პროექტი იმ წერილისა, რომელიც, ალბათ, უნდა გამოიგზავნოს. ასე რომ, ეს დაკუმენტი ოფიციალურად ჯერაც არ მიმიღია. ვიდრე არ მივიღებ შესაბამის ბლანკზე დაწერილ ოფიციალურ დოკუმენტს, ხელმოწერილს ჩემი კოლეგის მიერ, ბუნებრივია, არ შემეძლება მასზე რეაგირება.

თავად ეს არაოფიციალური წერილი, თუ თარგმანით ვიმსჯელებთ, საკმაოდ ზომიერ ტონალობაშია დაწერილი. მასში საუბარია ჩვენს ქვეყნებს შორის ტრადიციულად კარგ ურთიერთობებზე და სტრატეგიულ პარტნიორობაზე. არანირი ულტიმატუმის ფორმა მას არ აქვს, თუმცა ნათქვამია, რომ “გარკვეული ძალები, რომლებსაც, როგორც ჩანს, არ აწყობთ ორი ხალხის მეგობრობა, ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ ამ ურთიერთობებს და სჩადიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელების წინააღმდეგ”.

შემდეგ აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარე წერს, რომ მოხდა დანაშაული, რომლის შედეგადაც სამმა აზერბაიჯანელმა მიიღო ცეცხლსასროლი ჭრილობები და ეს საქმე არ არის გამოძიებული. იგი მწერს, რომ შეშფოთებულია ამ ფაქტით და მთხოვს, შესაძლებლობის ფარგლებში მივაქციო ყურადღება ამ ფაქტს, მოვთხოვო სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირება”.

საგულისხმოა, რომ ნინო ბურჯანაძემ უკვე გაუგზავნა ოფიციალური წერილი შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს და სთხოვა, მოეწოდებინა ინფორმაცია იმ კრიმინალთან დაკავშირებით, რაზეც აზერბაიჯანელი პარლამენტარები მიუთითებდნენ. მეტიც, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, **“გარდა ამისა, მე დავინტერესდი ინფორმაციით საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა წინააღმდეგ გახშირებული თავდასხმების ან ძალადობის თაობაზე. ანუ მე მაინტერესებს, მართლა ხდება თუ არა რაიმე ისეთი, რაც საქართველოს ხელისუფლებას ყურადღების მიღმა რჩება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე არ არის. ცალკეული ფაქტები, განპირობებულია იმით, რომ, სამწუხაროდ, კრიმინალური ვითარება ქვეყანაში გართულებულია და კრიმინალის მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც ქართველი, ასევე არაქართველი მოქალაქე”.**

ერთი მხრივ, შეიძლება აბსოლუტურად გასაგები იყოს აზერბაიჯანელი პარლამენტარების შეშფოთება საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელების წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულის თაობაზე, მით უფრო, როდესაც გარკვეული ჯგუფები აშკარად ცდილობენ, რომ კრიმინალს პოლიტიკური ელფერი შესძინონ. თუმცა, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის სამი აზერბაიჯანელი, რომელიც თავდასხმის მსხვერპლი გახდა, უპირველესად, საქართველოს მოქალაქეა და მათზე პასუხისმგებელი სწორედ საქართველოს ხელისუფლებაა.

“ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და არა აქვს მნიშვნელობა, ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან თუ ქართველები. მიმაჩნია, რომ ვალდებული ვარ ისევე დავიცვა მათი უფლებები, როგორც საქართველოს მოქალაქე სხვა ეთნიკური ჯგუფებისა. როგორც ჩანს, ვიღაც ძალიან ცდილობდა აზერბაიჯანის პარლამენტში ამ თემის აგორებას, პარლამენტის თავმჯდომარემ კი, საუკეთესო გამოსავლად მეგობრული წერილის მოწერა მიიჩნია, მაგრამ, როგორც გითხარით, იგი ჯერ არ მიმიღია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს წერილი გარკვეული პოლიტიკური ზეწოლის შედეგად იქნა აზერბაიჯანის პარლამენტში მიღებული”, - ამბობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

როგორც ორი დღის წინ “24 საათი” წერდა, აზერბაიჯანელი პარლამენტარების გააქტიურება დროში დაემთხვა ე.წ. “წითელი ხიდის ინციდენტს”, როდესაც ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, საბაჟოდან დაითხოვეს თანამშრომლები, ძირითადად, იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა.

ამასთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძე აცხადებს:

“მე ვიცი, რომ წითელ ხიდთან იყო რაღაც პრობლემები. არა მგონია, რომ მირიან გოგიაშვილს ეთქვა: დაითხოვეთ ეს ადამიანი, რადგან ის აზერბაიჯანელია. ეს თუ ასე მოხდა, დიდი შეცდომაა და ამას, ალბათ, თავად ბატონი მირიანი გამოასწორებს; მაგრამ, თუ თანამშრომელი დათხოვნილია იმიტომ, რომ დაარღვია კანონი, ან არ არის პროფესიონალი, მე ვერ ვხედავ მოტივს, თუ რატომ უნდა დარჩეს იგი კონკრეტულ სამსახურში.

ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ **“ჩვენ - ქვეყნის ხელისუფლებამ, არაქართველი მოქალაქეები მთლიანად უნდა გავუთანაბროთ ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას, თუ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში ოდესმე წესრიგი დამყარდეს. ეთნიკური ჯგუფებისათვის ხელოვნური სასათბურე პირობების შექმნა არასწორად მიმაჩნია. მათ ყველა პირობა უნდა ჰქონდეთ, რაც კანონით და საერთაშორისო სტანდარტებით არის გათვალისწინებული, მაგრამ არა იმაზე მეტი, რაც აქვს თავად ქართველ მოსახლეობას. თავის დროზე ასეთმა არასწორმა მიდგომამ ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანა აფხაზეთში.**

ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ნებისმიერი დანაშაული გაიხსნას. მათ შორის - ამ სამი აზერბაიჯანელის წინააღმდეგ ჩადენილი. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ამ თემის პოლიტიზება. არავის არ მოგვწონს ის, რაც თბილისში ან მთლიანად საქართველოში ხდება. მე, პირადად, ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს ძალადობა, რადგან ჩემს ოჯახზე განხორციელებულმა თავდასხმამ ლამის ჩემი მშობლები შეიწირა. მაშინ მთელმა საქართველომ ნახა დასისხლიანებული დედაჩემი, რომელსაც თავში კონდახი ურტყეს და ტვინის შერყევა ჰქონდა.

და ბოლოს, ნინო ბურჯანაძე აცხადებს:

“კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათ უკან, ვინც ეს თემა ააგორა მილი მეჯლისში და, პრაქტიკულად, აიძულა სპიკერი ამაზე რაეგირება მოეხდინა, სერიოზული გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები დგას და ვიღაცას ძალიან უნდა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაფუჭდეს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ პროვოკაციაზე არც აზერბაიჯანის და არც ჩვენი ხელისუფლება არ წამოეგება.

ამასთან, ყოველთვის ვეცდები ხაზი გავუსვა ჩემს ნებისმიერ კოლეგასთან ურთიერთობისას, რომელი ეროვნების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი, რომ ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელი საქართველოს მოქალაქე არის უპირველესად საქართველოს ხელისუფლების ზრუნვის საგანი და არა - რომელიმე ჩვენი მეზობელი სახელმწიფოსი”.

ნინო ბურჯანაძე მილი-მეჯლისიდან მიღებული წერილით.

ზაურ გოლაშვილის ფოტო

„მოქალაქეები„ და „აღორძინება„ ისევ თვალით ზომავენ ერთმანეთს

განახლებული “მოქალაქეები” და “აღორძინება” საერთო ენას უკვე აშკარად და სახალხოდ ეძებენ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობს ცენტრი. ცენტრსა და რეგიონს შორის თამაშში ვახტანგ რჩეულიშვილის ჩართვა ნიშანია იმისა, რომ პროცესი ღია გახდა და მისი საჯაროობა მხარეებმაც მიზანშეწონილად მიიჩნიეს.

ვახტანგ რჩეულიშვილმა “საშუამავლო” ფუნქციის შესრულება უკვე დაიწყო. მას შემდეგ, რაც ცენტრისგან გარკვეული გარანტიები მიიღო და “მოქალაქეებთან” თანამშრომლობის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, იგი შეხვდა აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს.

წინასწარი ინფორმაციის თანახმად, 5 დეკემბრის შემდეგ აჭარაში გაემგზავრება სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც ასლან აბაშიძეს კონკრეტულ გეგმას შესთავაზებს იმ საბიუჯეტო კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც, უკვე რამდენიმე წელია, ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობები დროდადრო მწვავდება.

თამარ ხორბალაძე

რჩეულიშვილმა გუშინ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მან პარლამენტში უნდა იაქტიუროს თავისუფალი სავაჭრო ზონის თემასთან დაკავშირებითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრი, ჩანს, დღეს ამ დათმობისთვისაც მზადაა.

ასეთი შესაძლებლობა არ უარყვია “მოქალაქეთა” ფრაქციის ლიდერს ვიტალი ხაზარაძეს, რომელმაც გუშინ “24 საათს” განუცხადა, რომ **“ავთანდილ ჯორბენაძე რეგიონთან არსებული პრობლემების დარეგულირებაზე მუშაობს და ამ გზაზე, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნას გადადგმული.”** მან ისიც თქვა, რომ **“განახლებული მოქალაქეთა კავშირი ნებისმიერ ძალასთან თანამშრომლობისთვის მზად არის”.**

თუმცა, “მოქალაქეთა კავშირის” მზადყოფნა პარლამენტში, ძირითადად, იმ პარტიული დისციპლინითაა განპირობებული, რომელსაც ორშაბათს ავთანდილ ჯორბენაძემ გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ “სოციალისტებთან” თანამშრომლობის მსგავს გადაწყვეტილებებს “მოქალაქეთა კავშირის” ხელმძღვანელობა იღებს და იგი ყველა წევრისთვის სავალდებულოა. სავარაუდიდ, “24 საათს”, სწორედ ამ დისციპლინიდან გამომდინარე, კომენტარზე უარი განუცხადა განახლებული “მოქალაქეების” ერთ-ერთმა ლიდერმა არმაზ ახვლედიანმა, რომელმაც თავის დროზე, პირველი განხეთქილების პერიოდში, “აღორძინების” რიგები დატოვა და “მოქალაქეებს” შეუერთდა.

ასეთი “უხერხულობების” მიუხედავად, თანამშრომლობისთვის მზადყოფნა აბსოლუტურად გასაგები ხდება, თუ იმ საერთო საფუძვლებს გავითვალისწინებთ, რაც “აღორძინებას” და “მოქალაქეებს” დღეისთვის დაუგროვდათ: ორივე პარტია სახელისუფლებოა - შესაბამისი ტვირთითა და ხიბლით; ორივეს აქვს არჩევნებზე ზეწოლის საკუთარი ბერკეტები. “აღორძინება” სრულად ფლობს აჭარის ხმებს, “მოქალაქეები” კი - ქვემო ქართლისას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მომავალი არჩევნების წინ.

მათ საერთო აქვთ ისიც, რომ ერთმანეთის მიყოლებით დაკარგეს პარტნიორები და სახეები: “მოქალაქეებმა” - ჯერ “ახლები”, მერე სააკაშვილისა და ჟვანიას გუნდები; “აღორძინებამ” კი უკვე თითქმის დაკარგა “ტრადიციონალისტები”, გიორგი თარგამაძე და, სავარაუდოდ, სხვა საკმაოდ შთამბეჭდავი სახეები; კითხვის ნიშნის ქვეშ დგას “სოციალისტების” საკითხიც, რადგან, თუ “აღორძინება” “მოქალაქეებთან” საერთო ენას ვერ გამონახავს, “სოციალისტებს” უნდა შეელიოს.

“აჭარის ლიდერი გაღიზიანებულია იმით, რომ “აღორძინების” ბლოკი იშლება, - ამბობს რჩეულიშვილი, თუმცა იმასაც დასძენს, რომ ასლან აბაშიძეს ნერვიულობის საფუძველი არა აქვს, რადგან რჩეულიშვილი არ აპირებს მიატოვოს “აღორძინების” ბლოკი მანამ, სანამ ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობებს არ დაარეგულირებს.

“აღორძინება” (ცენტრისგან განსხვავებით) დღეს ხმამაღლა არ აცხადებს “მოქალაქეებთან” შესაძლო გარიგების თუ მორიგების შესახებ, ანუ ჯერ კიდევ ცდილობს, ოპოზიციური იმიჯი შეინარჩუნოს, რადგან დღემდე ამ ორი ძალის თანამშრომლობის გამოცდილება არ იძლევა ურთიერთნდობის არსებობის დიდ საფუძველს.

სამოქალაქო ომის პერიოდში ასლან აბაშიძის პოზიციის დავიწყება და მასთან გარიგებაზე წასვლა შევარდნაძემ ჯერ კიდევ 1995 წლის არჩევნების წინ ჩათვალა საჭიროდ და შესაძლებლად.

ცენტრში - შევარდნაძის, რეგიონში კი ასლან აბაშიძის ოჯახების ხელისუფლებაში ყოფნისა და ხელშეუხებლობის თემა მთავარი საფუძველი გახლდათ 1995 წლის არჩევნების წინ, როცა “აღორძინებამ” და “მოქალაქეებმა” ზემოთ მოხსენიებული საერთო ბერკეტები ერთად გამოიყენეს და პარლამენტში ერთად მოვიდნენ.

მაგრამ უკვე 1996 წლის გაზაფხულზე “მოქალაქეებმა” უარი თქვეს ერთ-ერთი პირობის შესრულებაზე - მხარი არ დაუჭირეს “აღორძინების” მიერ ინიცირებულ კანონპროექტს თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ. ეს გახდა კიდეც მაშინ პირველი განხეთქილების მთავარი მიზეზი.

მიუხედავად ამ განხეთქილებისა, ცენტრმა მაინც შეუქმნა აჭარას სპეციალური საგადასახადო რეჟიმი, როცა ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადთა საკმაოდ შთამბეჭდავი ნაწილი ოფიციალურად დაუტოვა ადგილზე.

ის, რომ აჭარა, სხვა რეგიონებთან შედარებით, განსაკუთრებულ პირობებში იყო ჩაყენებული, შევარდნაძეს მაშინ გაახსენდა, როცა მორიგი საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდა და მოწინააღმდეგე გახდა საძებარი.

სამაგიეროდ, ცხადია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ გარიგება აბაშიძესა და შევარდნაძეს შორის ისევ შედგა და... აჭარაში შევარდნაძემ საკმაოდ სერიოზული მხარდაჭერა მოიპოვა.

ამ პერიოდს ემთხვევა ცენტრსა და რეგიონს შორის საბიუჯეტო ურთიერთობების დროებით დარეგულირებაც. მაშინ აჭარამ ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების გადმორიცხვა დაიწყო, შევარდნაძემ კი საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიის შესახებ ჩანაწერი გააკეთა, თუმცა...

არსებობს ინფორმაცია, რომ შეთანხმება სხვა ფინანსურ საკითხებსაც ეხებოდა, რომლებიც, “აღორძინების” მტკიცებით, შევარდნაძემ პარტნიორს აღარ შეუსრულა და... საბიუჯეტო გაუგებრობის თემა ისევ აქტუალური გახდა, “აღორძინებამ” კი ოპოზიციის სახელი შეინარჩუნა...

ასეთი გამოცდილების არსებობა ადასტურებს, რომ “აღორძინებასა” და “მოქალაქეებს” შორის გარიგება, შესაძლოა, შედგეს, თუმცა, ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, შევარდნაძეს საკმაოდ მტკიცე გარანტიების მიცემა მოუწევს აბაშიძისთვის.

ძნელი სათქმელია, ზუსტად რა დაუჯდება ორი სახელისუფლებო ძალის გარიგება ქვეყანას, თუმცა ფაქტია, რომ ასეთი ალიანსი ძალიან საშიშია ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შანსი სულ უფრო და უფრო ილუზორულ ხასიათს იძენს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

„ჩვენი ფასი კაპიკია„ - ასკვნის საკრებულოს წევრი

პირველი გვერდიდან

“გეხვეწებით რა, კაცურად ადეგით ის 12 კაცი. ვის ემალებით, ადექით... ქალაქის მთავრობის უნდობლობის მორევში ერთადერთი ნდობის კუნძული შერაძე ყოფილა და ეგაა...” - ფეხზე წამოდგომას “ახლების” ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე გუშინ იმ 12 დეპუტატს ეხვეწებოდა, რომელთა ხმებმაც თბილისის პრემიერი კიდევ ერთხელ იხსნეს. გუშინ საკრებულოში გია შერაძეს პირადად ელოდებოდნენ. პრემიერს ჩატარებული მუშაობის შესახებ საკრებულოსთვის ოთხწლიანი ანგარიში უნდა ჩაებარებინა. შერაძე სხდომათა დარბაზში არ გამოცხადებულა, მან საკრებულოს მეზობელი ოთახიდან 47 ეგზემპლარად (საკრებულოს თითოეული წევრისთვის ცალკე) გადამრავლებული წერილი გამოუგზავნა, სადაც მოუბოდიშა, ანგარიშის მომზადება ვერ მოვასწარიო და თავად “კანცელარიაში წავიდა საქმეზე”. მისმა უსტარმა საკრებულო დიდად გაანაწყენა. პრემიერი საკრებულოსადმი უპატივცემულობაში და საწერი ქაღალდის არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულეს. **“ვერ გავიგე, რა წერილებით გველაპარაკება ეს კაცი, ინგლისის პრემიერი ხომ არ არის, ამავე შენობაში ზის... ხომ ხედავთ, ჩვენგან გაქცეული ხალხი კანცელარიაში პოვებს თავშესაფარს,”** – დაასკვნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

გუშინ პრემიერის სასარგებლოდ კიდევ ერთმა გარემოებამ იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ორგანულ კანონში შემდეგი რამ წერია: “იმავე მოტივით საკითხის ხელმეორედ კენჭისყრაზე დაყენება შეიძლება მხოლოდ პირველი კენჭისყრიდან ექვსი თვის შემდეგ”. ამ აღმოჩენამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. “დემოკრატების”, “აღორძინებისა” და “მრეწველების” გვერდით, იურიდიულ კაზუსებზე მოულოდნელად “ნაციონალებიც” ალაპარაკდნენ და კანონის შესაბამისად მოქმედება მოითხოვეს. ზემოთ ჩამოთვლილმა ფრაქციებმა განაცხადეს, რომ პრემიერის კანონდარღვევით გადაყენებას ფასი არ ექნება და საჭიროა საკითხის უფრო ღრმად შესწავლა, რასაც დამატებითი კონსულტაციები უნდა მიეძღვნას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ “ნაციონალები” კობა ბექაური და ირაკლი ოქრუაშვილი. **“მთავარი კანონია, მას გვერდი არ უნდა ავუქციოთ,”** – არ ცხრებოდა ოქრუაშვილი.

“არ უნდა მივცეთ საშუალება პრემიერს, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებას არაკანონიერი უწოდოს და სასამართლოში გაასაჩივროს,” – აცხადებდა “დემოკრატი” დავით ხუციშვილი.

„ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ვინც მოსახლეობამ აირჩია".

ზურა ბეჟუაშვილის ფოტო

“ნუ ვიჩქარებთ საკითხის დაყენებას, გარწმუნებთ, მას იგივე ბედი ელოდება, რაც წინა კენჭისყრაზე დაფიქსირდა. საჭიროა დამატებითი კონსულტაციები,” – აცხადებდა დავით იოსელიანი ფრაქცია “აღორძინებიდან”. ამავეს ითხოვდნენ “მრეწველებიც”.

“ლეიბორისტებმა” და “ახლებმა” შერაძის უნდობლობის საკითხის დასმა, აღმოჩენილი კანონის მიუხედავად, მაინც მოითხოვეს.

“რა თქმა უნდა, კანონი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩევლების წინაშე მორალური ვალდებულება გვაკისრია. თითოეული ჩვენთაგანი ამომრჩეველს შეჰპირდა, რომ ძველი მთავრობის არც ერთ წარმომადგენელს თანამდებობაზე არ დავტოვებთ... არ დაგავიწყდეთ ეს დანაპირები,” – შეახსენა კოლეგებს ფრაქცია “ახლების” თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ.

“თუ ამ საკითხს არ დავაყენებთ, იგი დამოკლეს მახვილივით იქნება საკრებულოსთვის,” – განაცხადა “ლეიბორისტმა” გიორგი გუგავამ.

საბოლოოდ გადაწყდა, სადავო საკითხის სამართლიანობაზე იურიდიულ კომისიას ემსჯელა. გამოცხადდა შესვენება და თხუთმეტწუთიანი კონსულტაციების შემდეგ, იურიდიულმა კომისიამ მიიჩნია, რომ შერაძის საკითხის ხელახლა დასაყენებლად ექვსთვიანი ლოდინი საჭირო არ არის.

შესვენების შემდეგ ზოგიერთმა ფრაქციამ ისევ სცადა შერაძის საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება, თუმცა, მათ შორის “ნაციონალები” უკვე აღარ იყვნენ.

“შერაძემ ჩვენთან შეხვედრა არ ისურვა და კანცელარიაში წავიდა. მან საკრებულოს მიმართ უპატივცემლობა გამოხატა, ჩვენ დღესვე უნდა დავაყენოთ მისი უნდობლობის საკითხი,” – სიტყვით გამოვიდა “ნაციონალი” ბეჟან კალანდაძე.

“ამ შესვენების შემდეგ ზოგიერთმა ფრაქციამ აშკარად ფერი იცვალა,” – დააფიქსირა “ლეიბორისტმა” გუგავამ და “ნაციონალების” რისხვაც დაიმსახურა.

“ნუ ვაჯანჯლებთ, ხალხო, ამ საკითხს, თორემ მოსახლეობა იფიქრებს, საკრებულოს წევრები რაიმე გარიგებებში მონაწილეობენო,” – ურჩია კოლეგებს ლევან გაჩეჩილაძემ.

სხდომას 46 დეპუტატიდან 39 ესწრებოდა. ამათგან, საკითხის სათანადო მოუმზადებლობის მოტივით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ ისურვეს “დემოკრატებმა” შალვა ოგბაიძემ და დავით ხუციშვილმა. 25 ხმა 12-ის წინააღმდეგ - ასეთი იყო შედეგი. შერაძის იმპიჩმენტისთვის კი 31 ხმა იყო საჭირო.

ვინ იყო ეს 12 კაცი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყველა ფრაქციამ საკუთარი არითმეტიკული მონაცემების დემონსტრირება დაიწყო.

მერიის ფოიეში გუშინ ასე ანგარიშობდნენ: დავუშვათ, რომ “აღორძინებამ”, “მრეწველებმა” და “დემოკრატებმა”, რომლებიც სხდომის დასაწყისშივე ეწინააღმდეგებოდნენ შერაძის საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას, საკუთარი ბიულეტენები შერაძის სასარგებლოდ გამოიყენეს. სამივე ფრაქციაში ერთად 11 წევრია, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ “დემოკრატების” ოთხკაციანი ფრაქციიდან ორს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, რჩება ცხრა. შერაძეს კი მხარი თორმეტმა დაუჭირა. სამი უცნობი “შერაძისტი,” “ახლებისა” და დანარჩენი ფრაქციების აზრით, “ლეიბორისტებში” ან “ნაციონალებში” უნდა ვეძებოთ.

თავად “ნაციონალები” და “ლეიბორისტები” აცხადებენ, რომ ბიულეტენში მათ ერთსულოვნად სიტყვა “წინააღმდეგი” შემოხაზეს. ამის დასადასტურებლად მათ ერთნაირი არგუმენტები მოჰყავთ:

“ფარული კენჭისყრის მიუხედავად, ჩვენი ფრაქციის წევრებმა ბიულეტენები არ გადაკეცეს და ყველამ ნათლად დაინახა ჩვენი პოზიცია. ეს თავისთავად უკანონოა, მაგრამ მათ იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე,” – ამბობს სააკაშვილი.

“ჩვენი ფრაქციის წევრებს ბიულეტენები დარბაზში გადაუკეცავად ეჭირათ, ყველამ დაინახა, რა იყო შემოხაზული,” – იმავეს იმეორებს “ლეიბორისტი” გუგავა.

“ლეიბორისტებზე” მეტად, შერაძისთვის უნდობლობის ვერგამოცხადება “ახლებს” ეწყინათ. **“ასე მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია. თუ ვინმე შერაძეს ჩემზე მეტად პატივს სცემს, გამოვიდეს ამ მიკროფონთან კაცურად, ღიად და აღიაროს. არც ერთს დღევანდელ სხდომაზე არ დასცდენია, რომ შერაძე მოსწონს... მაგრამ შეხედეთ კენჭისყრის შედეგებს.... სანამ ჩვენ ვერ გამოვალთ მეგობრობის, მეზობლობისა და ახლობლობის მენტალიტეტიდან, არაფერი გამოვა... გადავდოთ ეს ყველაფერი უკანა პლანზე და მივხედოთ ქალაქს... თუ ასე გააგრძელა საკრებულომ მუშაობა, მე იძულებული ვიქნები, დავტოვო აქაურობა,”** – ბობოქრობდა ლევან გაჩეჩილაძე.

“აქ ორმაგ თამაშს აქვს ადგილი. ზოგიერთები მიდიან შერაძესთან და ეუბნებიან: აი, ჩვენ კი დაგიჭერთ მხარს, მაგრამ, ვთქვათ, “ახლები” წინააღმდეგი იქნებიან. მერე იგივე ხალხი მიუბრუნდება მოსახლეობას და ეტყვის: ჩვენ კი გვინდა შერაძის გათავისუფლება, მაგრამ “ახლებს” არ უნდათ... “ – აცხადებს “ახლების” წევრი ბიძინა გეგიძე.

“რა შემიძლია, გითხრათ, ზოგიერთი შეეთამაშა არსებულ ხელისუფლებას და ცდილობენ, თანამდებობები გაინაწილონ,” – ხელი ჩაიქნია “ლეიბორისტმა” გუგავამ.

“ჩვენი ფასი კაპიკია, ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ვინც მოსახლეობამ აირჩია,” – დაასკვნა მისმა თანაგუნდელმა შატბერაშვილმა.

მიუხედავად კენჭისყრის ამგვარი დასასრულისა, საკრებულოს თავმჯდომარემ საზეიმო მიზეზი ამ ფაქტში მაინც გამონახა: **“საკრებულოს ნახევარზე მეტი უნდობლობას უცხადებს პრემიერს. ეს სერიოზული და დამაფიქრებელი სიგნალია მერისთვის, პრეზიდენტისთვის. ეს წინაპირობაა იმისა, რომ საკრებულოს თამამად შეუძლია, მთავრობის სხვა წევრებზე მსჯელობის პარალელურად, პრემიერის პრობლემაც მოაგვაროს. წინა კენჭისყრასთან შედარებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა შედეგი,”** – ამაყობს სააკაშვილი.

საკრებულოს პირველი სოციალური გადაწყვეტილებები

თბილისის მოსახლეობას წყლის დავალიანება ჩამოეწერება. ეს გადაწყვეტილება საკრებულომ გუშინ მიიღო.
დედაქალაქის მოსახლეობას მომავალი წლიდან უფასო სამედიცინო დახმარებასაც ჰპირდებიან.

“საკრებულომ დღეს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო, როგორიც საქართველოს პარლამენტს თავისი არსებობის განმავლობაში არ მიუღია”, – ასეთი შეფასება მისცა საკრებულოს თავმჯდომარემ მოსახლეობისთვის წყლის დავალიანების ჩამოწერასა და დედაქალაქის მოსახლეობისთვის უფასო სასწრაფო დახმარების დანიშვნას.

აღნიშნული ინიციატივებით დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოში “ლეიბორისტები” შევიდნენ.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქის პრემიერს, რომელსაც საკრებულო პერმანენტულად და უშედეგოდ უნდობლობას უცხადებს, დაევალა, “თბილწყალკანალის” ხელმძღვანელობასთან ერთად, 2002 წლის 31 დეკემბრამდე, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით, უზრუნველყოს “წყალკანალის” მიერ მოსახლეობისთვის მიწოდებული წყლის დავალიანების ჩამოწერა.

“თბილწყალკანალმა” დავალიანების ჩამოწერა მოსახლეობისგან განცხადებების საფუძველზე უნდა მოახდინოს.

მოსახლეობის განცხადებების “თბილწყალკანალისთვის” გადაგზავნა რაიონულმა გამგეობებმა და მერიისა და საკრებულოს აპარატმა უნდა უზრუნველყოს.

მოსახლეობას “თბილწყალკანალის” 21 მილიონი ლარი მართებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებს კი - 18 მილიონი. საკრებულომ “წყალკანალს” ურჩია, დროულად შეუწყვიტოს წყლის მიწოდება ურჩ გადამხდელ ორგანიზაციებს და მათგან დავალიანების ამოღების მკაცრი გრაფიკი შეიმუშაოს.

“ლეიბორისტებმა” გუშინ წყლის ტარიფის 1,20-დან 60 თეთრამდე შემცირებაც მოითხოვეს. საკრებულო ამ ინიციატივას მტრულად შეხვდა. **“არ მაქვს სურვილი, ვუსმინო ამ პოპულისტურ ინიციატივას. წყლის ტარიფი ისედაც თვითღირებულების ორმოცი პროცენტია. ასეთი მოუმზადებელი განცხადებები საკრებულოს სხდომებზე არ უნდა გავიდეს. თუ გვინდა, რომ “თბილწყალკანალი” საერთოდ გავაკოტროთ და წყალი დედაქალაქს სანატრელი გაუხდეს, მაშინ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება,”** – განაცხადა “ნაციონალმა” რომან გოცირიძემ.

გოცირიძისა და “ნაციონალების” პათოსი გუშინ თითქმის ყველა ფრაქციამ გაიზიარა.

“როგორ შეიძლება, ეკონომიკური გაანგარიშების გარეშე ასეთი გადაწყვეტილება მივიღოთ. საკრებულოში პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ არა პოპულისტურ გამოსვლებს, არამედ საქმისადმი პროფესიულ მიდგომას და კვალიფიციური სპეციალისტების რჩევებს,” – განაცხადეს “ახლებმა”. ამავე პოზიციას იზიარებს “აღორძინებაც”.

თბილისის საკრებულომ გუშინ კიდევ ერთი საკითხის გადაწყვეტა მოასწრო: სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03 მომავალი წლის 1 თებერვლიდან დედაქალაქის მოსახლეობისთვის უფასო იქნება. გაწეული დახმარების ხარჯებს დედაქალაქის ბიუჯეტი დაფარავს. თბილისის მთავრობა, რომელსაც საკრებულომ უნდობლობა გამოუცხადა და რომლის გადაყენებასაც დეპუტატები დღე დღეზე გეგმავენ, დაევალა ორი კვირის ვადაში თბილისის პარლამენტს წარუდგინოს ეკონომიკურ-ორგანიზაციული წინადადებები, რომელიც უზრუნველყოფს უფასო სასწრაფო დახმარების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანას.

აღნიშნული წინადადებები საკრებულომ ყოველგვარი ეკონომიკური გაანგარიშებისა და კონსულტაციების გარეშე მიიღო. ყველა ამ პროექტის განხორციელება თბილისის ბიუჯეტმა უნდა უზრუნველყოს. ქალაქის ბიუჯეტის შესასწავლად და განსახილველად ახალმა საკრებულომ ჯერ ვერ მოიცალა.

30 ნოემბერს - კვლავ გაყალბებული სიებით

არ არის გამორიცხული, ცესკო-ს ამ შემადგენლობისთვის 30 ნოემბრის არჩევნების მოსამზადებელი სხდომები უკანასკნელიც კი იყოს, რადგან პარლამენტში სულ უფრო მეტად მწიფდება აზრი, რომ 30 ნოემრის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა დაიშალოს, როგორც ***“დისკრედიტებული და არჩევნების გამყალბებელი ორგანო”.***

თამარ მჭედლიშვილი

ამასობაში წინასაარჩევნოდ ვითარება სულ უფრო იძაბება. ეს განსაკუთრებით საბურთალოს რაიონში იგრძნობა, სადაც, თემურ გოცაძისა და გივი თარგამაძის სახით, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან “მოქალაქეთა კავშირი” და “ნაციონალური მოძრაობა”.

ეჭვგარეშეა, რომ კენჭისყრის დღე საბურთალოზე (რადგან წინა საპარლამენტო არჩევნები რაიონების გაერთიანებამდე გაიმართა, ამჯერადაც კენჭისყრაში მხოლოდ საბურთალო მიიღებს მონაწილეობას) საკმაოდ დაძაბულად წარიმართება. ამას ისიც მოწმობს, რომ ორი დღის წინ “მოქალქაქეთა კავშირმა” და თავად ამ პარტიის კანდიდატმა წინასწარ ამცნეს საზოგადოებას, რომ საბურთალოს საარჩევნო ოლქში საარჩევნო სიები უკვე გაყალბებულია.

“24 საათი” უკვე წერდა “მოქალაქთა” კავშირის ერთ-ერთი ლიდერის ვიტალი ხაზარაძის განცხადების თაობაზე, რომლის თანახმად, საარჩევნო სიებიდან გამქრალია კორპუსები მობინადრეებით და პირიქით – ამავე სიებში შეტანილია არარსებული საცხოვრებელი სახლები.

თავის მხრივ, “ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამომრჩეველთა სიების “გაბერვა” ხელს აძლევს სწორედ მათ კონკურენტს, რადგან ამით არჩევნებში მონაწილეთა ქვორუმი ეცემა და სავსებით შესაძლებელია, საარჩევნო ყუთებთან მისული ამომრჩეველის რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდეს საიმისოდ, რომ არჩევნები გამართულად ჩაითვალოს.

პარტიებს საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები აქვთ იმ სპეცჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ, რომლებმაც საარჩევნო უბნების ფუნქციები უნდა იტვირთონ. ცესკო-ს გუშინდელ სხდომაზე კომისიის “სოციალისტმა” წევრმა დენის დავითაშვილმა (რომელიც მოქკავშირელ კანდიდატს გულშემატკივრობს) რამდენჯერმე სცადა, დიდი დიღმის ერთ-ერთი საარჩევნო სპეცჯგუფის რიგებიდან ნანული ჩაჩიბაია ამოეგდო (იგი “ნაციონალური მოძრაობის” პარტიული სიით გახდა თბილისის საკრებულოს წევრი). თუმცა მისი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. არ არის გამორიცხული, “სოციალისტებმა” ცესკო-ს უარი კვლავ სასამართლო მსჯელობის საგნად აქციონ.

რაც შეეხება ამომრჩეველთა სიების ირგვლივ შექმნილ ვითარებას.

ცესკო-სთვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა კრიტიკა. პირიქით – შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლად მათ მოქმედი კანონი და იმ პარტიათა წარმომადგენლები დაასახელეს, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ილია გეგენავა:**“ნურავინ დააბრალებს შექმნილ მდგომარეობას ცენტრალური საარჩევნო კომისიას. შეიძლება ამ არეულ-დარეულობით ვიღაც სარგებლობს და რაღაცას აკეთებს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. რაც არ უნდა მოვინდომოთ, ამ კანონით მეტის გაკეთება შეუძლებელია. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს ჯუმბერ ლომინაძისა და ცესკოს ბრალი არ არის. პარლამენტმა დამნაშავეები თავისთან მოიკითხოს, როცა ასეთ საარჩევნო კოდექსს იღებდნენ. წინა არჩევნების დროსაც ასეთ ვითარებაში ვიყავით – ბოლო წუთამდე შეუძლებელი იყო საარჩევნო სიების დაზუსტება. მაშინაც ვცდილობდით, რეალური სიები დაგვედო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც იქნება გაორებული სიები. ამას აკეთებს ნებისმიერი პარტია, რომელიც არჩევნებში გამარჯვებით არის დაინტერესებული. სიები, სადაც 900 ამომრჩეველი დამატებით სიაში შეჰყავთ, მხოლოდ ერთი პარტიის ნახელავი არ იქნება. წინა არჩევნებშიც ყველა პარტია მონაწილეობდა ამაში. მათ შორის - ისინიც, ვინც ახლა ზნეობის კვარცხლბეკზე დგანან და იქიდან გვიკითხავენ მორალს” .**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გია ზესაშვილიც ეთანხმება ილია გეგენავას და აცხადებს:

“სიების პრობლემა, უპირველესად, საკანონმდებლო პრობლემაა. კანონში მხოლოდ ერთი ფრაზა წერია, რომლის თანახმად, ამომრჩეველთა სიებს შესაბამისი უწყებები ცესკო-ს გადასცემენ. სიების შედგენა ამ ფორმულირებით შეუძლებელია. ეს ძალიან რთული საკითხია, რომელიც აბსოლუტურად ცალკეა გამოსაყოფი. ამას ესაჭიროება სერიოზული დაფინანსება, სერიოზული სტრუქტურის შექმნა, რომელიც ამ სიებს შეადგენს. ცენტრალური საარჩევნო კომისია ძალიან დიდი ხანია, რაც ამ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. 1991-1992 წლებიდან მოყოლებული, ვცდილობდით, რომ სიები უკეთ მომზადებულიყო. სამწუხაროდ, კანონის მიღება ისე ხდება პარლამენტში, რომ ჩვენ არაფერს გვეკითხებიან. ახლაც სწორედ ამის შედეგებს ვიმკით. მეორე მხრივ, პარტიები სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ცესკო-ზე და ეს ძალიან ცუდია. იგი არ არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია და შეიძლება ბევრი საკითხი რომელიმე პარტიის ოფისში გადაწყდეს. რაც შეეხება ხელისუფლებას, ადგილობრივი არჩევნების ორგანიზებაში იგი არ ჩარეულა და ეს იყო ყველაზე სერიოზული შეცდომა. თავიდან ბოლომდე ყველაფერი ცესკო-ზე იყო ჩამოკიდებული. ახლა კი ყველა – ხელისუფლებაც და პარტიებიც - განტევების ვაცის ძიებაში არიან”.

ერთი სიტყვით, არც ხელისუფლებამ და არც პარტიებმა არაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ 2 ივნისის არჩევნების ყველაზე დიდი თავსატეხი – საარჩევნო სიები - ამ არჩევნებისთვის ოდნავ მაინც მოწესრიგებულიყო. შესაბამისად, პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებაზე თანაბრად ეკისრება ხელისუფლებასაც და პოლიტიკურ სპექტრსაც. თანაც, შეგახსენებთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციებს ამომრჩეველთა სიებს, ოფიციალურად, შინაგან საქმეთა სამინისტრო აწვდის. 2 ივნისის შემდეგ საკმარისი დრო გავიდა საიმისოდ, რომ პარლამენტს კანონში ისეთი ცვლილება შეეტანა, რომელიც ამ პრობლემას ოდნავ მაინც დაარეგულირებდა.

პოლიტიკური სპექტრის პასიურობის შედეგად კი 30 ნოემბრის არჩევნებს კვლავ გაყალბებული სიებით გამართვის საშიშროება ელის და ამაში ყველაზე ნაკლებად ამომრჩეველია დამნაშავე.

ისარგებლეთ GSM
&
[illegible] 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია "24 საათი"-ს ყველა მკითხველს
2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაი-სიმბარათი
3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1; 2; 3; (მნიშვნელობა არ აქვს, რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი)
4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის დილერთან ან დისტრიბუტორთან, ქვემოთ მოცემულ მისამართებზე. თქვენ იხდით 20 ლარს, ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაილაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაილაი-სიმბარათი +20 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)
5 აქცია ძალაშია 2002 წლის 5 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე
6 ჯეოსელის დილერები და დისტრიბუტორები კუპონებს გადაცვლიან 2003 წლის 18 იანვრამდე

1 კუპონი

დისტრიბუტორები:

[illegible] კოსტავას ქ. 35. გამსახურდიას ქ. 24. რუსთაველის გამზ. 31. [illegible]
"ელიტა XXI" მარჯანიშვილის ქ. 18.
[illegible] ქ. 9. [illegible]
[illegible] რუსთაველის გამზ. 38. ალმაშენებლის გამზ. 157. ქ. [illegible] ქ. 91.
ც. დადიანის ქ. 43. ო. ხიზანიშვილის ქ. 15
"ელიტა 2002" ყაზბეგის ქ. 41. [illegible] ქ. 48

დილერები თბილისი

[illegible] რუსთაველის გამზ. 28
[illegible] წერეთლის გამზ. 59
[illegible] ვაჟა-ფშაველას გამზ. 50
[illegible] გამსახურდიას გამზ. 4
[illegible] პეკინის ქ. №10
[illegible] გამსახურდიას გამზ. 20
"მობილ ფონი" კოსტავას ქ. 7
[illegible] მელიქიშვილის ქ. 6/8
"მობილური ტელეფონები" რუსთაველის გამზ.№24"კიდობანი-1"
"მობილ ფონი" ცაბაძის ქ. 9. "პასაჟი"

რეგიონები:

ბათუმი [illegible] ქ. 52/54
თელავი [illegible] კოსტავას ქ. 3
ზუგდიდი "კონტაქტი" კოსტავას ქ. 5
ქუთაისი [illegible] თამარ მეფის ქ. 25
რუსთავი [illegible] მეგობრობის ქ. 10
ფოთი [illegible] ქ. 2
სამტრედია [illegible] რუსთაველის ქ. 2
სენაკი [illegible] რუსთაველის ქ. 253
ოზურგეთი [illegible] ჭავჭავაძის ქ. 8
გორი [illegible] სტალინის ქ. 15
ბორჯომი [illegible] რუსთაველის ქ. 121
ზესტაფონი [illegible] ქ. 2
ახალციხე [illegible] ქ. 78
მარნეული [illegible] სულხან-საბას ქ. 44
ხაშური [illegible] ჭავჭავაძის ქ. 88
ლანჩხუთი [illegible] ქ. 18

„არესი„ გარანტიებს ითხოვს, „ჩუქუროვა„ - გაკოტრებას

საქართველოს ხელისუფლება უახლოეს დღეებში გადაწყვეტს, მისცეს თუ არა იტალიურ “არესს” მეტალურგიულ კომბინატში ჩასადები ინვესტიციების გარანტად ამავე ქარხნის ქონება. ამასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვიდა “არესის” პრეზიდენტი ანჟელა კორნა, რომელიც, საჭირო გარანტიების მიღების შემდეგ, 45 მილიონ დოლარს გადაურიცხავს გერმანულ “ფუკსს,” რუსთავის მეტალურგიული კომბინატისათვის ელექტროღუმელის დასამზადებლად. პარალელურად, ასპარეზზე ჩნდება თურქული “ჩუქუროვა” და სასამართლოს გზით მეტალურგიულის გაკოტრებისათვის იწყებს ბრძოლას.

მაია მოსიაშვილი

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის (რმკ) შესაძლო გაკოტრებაზე საუბარი ერთი წლის წინ დაიწყო, როცა კომბინატის პენსიონერებმა რუსთავის სასამართლოს განცხადებით მიმართეს. ისინი “რმკ”-ს გაკოტრების პროცესის დაწყებას და საპენსიო დავალიანების გასტუმრებას ითხოვდნენ, რომელიც 322 ათას დოლარს შეადგენს. მეტალურგიულის ხელმძღვანელობამ ქარხნის რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებისათვის დრო ითხოვა. რეაბილიტაციის პროგრამა იმ პერიოდისათვის გათვლილი იყო გერმანულ-ავსტრიული ფირმა “კონალ აგის” მიერ შემოთავაზებულ დაფინანსებაზე, რომელიც ყველაზე რეალურ ინვესტორად ითვლებოდა. რუსთავის სასამართლოს ინფორმაციით, “კონალ აგმა” წარმოადგინა საბანკო გარანტია საკმაოდ სოლიდურ თანხაზე, თუმცა მისი ნამდვილობის გადამოწმება ჩვენმა ფინანსისტებმა ვერ შესძლეს.

სულ მალე მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მათ იპოვეს ახალი, იტალიელი ინვესტორი, რომელსაც თავიდან - “ლუკინად”, ხოლო შემდეგ “არეს იმპორტ-ექსპორტად” მოიხსენიებენ.

დაახლოებით, ორი თვის წინ იტალიელმა ინვესტორებმა და ქართველმა მეტალურგებმა იტალიური მხარის მიერ წარმოდგენილი რეაბილიტაციის გეგმის ხელმოწერა საზეიმოდ აღნიშნეს. კომბინატში 130 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადება და არსებული კრედიტორული დავალიანების 15 წლის ვადაში დაფარვა არის ის, რის სანაცვლოდაც “არესი”, გარანტიის სახით, “რმკ”-ს ქონებას ითხოვს.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ქონება კი საკმაოდ შთამბეჭდავია. ის თბილისიდან 30 კმ-ში მდებარეობს და დაკავებული აქვს 5 000 000 კვადრატული მეტრი ფართობი, წიდასაყარის ჩათვლით; კომბინატს გააჩნია სანატორიუმები, სასტუმროები, საავადმყოფოები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები; აქვს საკუთარი არამადნეული ნედლეულის კარიერები - დოლომიტისა და კირქვის; წიდასაყარზე დასაწყობებულია 15 მილიონ ტონაზე მეტი წიდა, რომლის გადამუშავების შედეგად მილიონ ტონაზე მეტი ჯართი მიიღება. ამასთანავე, კომბინატი წარმოადგენს სრული მეტალურგიული ციკლის მქონე საწარმოს (შვიდი ძირითადი საამქროთი) და ერთადერთი უნიკალური საწარმოა ყოფილ საბჭოურ სივრცეში.

რუსთავის სასამართლოს მოსამართლე გივი ჯაბანიშვილი “რმკ”-ს რეაბილიტაციის პროგრამის ზედამხედველია. მისი თქმით, იტალიური მხარისთვის გარანტიების მოძიებაში ჩართულია ქვეყნის ხელისუფლება და შეთანხმება ამ დღეებში უნდა იქნას მიღწეული. **“ყველა შემთხვევაში, ისინი გარანტიად ქონების ჩადებას ითხოვენ,”** - ამბობს ჯაბანიშვილი.

რეაბილიტაციის პროგრამისა და ვალების გასტუმრების ხელშეკრულების გარდა, იტალიელები “ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების” გაფორმებასაც ითხოვენ. რის ყიდვა-გაყიდვაზეა საუბარი, ამის განმარტებისაგან კომბინატის ხელმძღვანელობა თავს იკავებს, თუმცა, მოსამართლე ჯაბანიშვილი აცხადებს: **“მათ უნდათ, რომ ქარხნის ქონების გარანტად ჩადებას რეალურად დაარქვან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, თუმცა, ჯერჯერობით, ეს დოკუმენტი ჩემთან არ მოსულა. მისი შეთანხმება მთავრობისა და პრეზიდენტის დონეზე ხდება.”**

მაშინ, როცა “რმკ”-ს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ საწარმოს ბედი გადაწყვეტილია, სცენაზე კვლავ ჩნდება თურქული კომპანია “სოვტურ-ჩუქუროვა” და კომბინატის გაკოტრების საქმის დაწყებას ითხოვს. ამ კომპანიის მიმართ მეტალურგიული კომბინატის დავალიანება თითქმის 15 მილიონი დოლარია და ამ თანხის დიდი ნაწილი ჯარიმებზე მოდის.

“სოვტური-ჩუქუროვას” წარმომადგენელმა შემოიტანა განცხადება, სადაც ვალის დაბრუნებასა და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას ითხოვს. მე უარი ვუთხარი, რადგან მიმდინარეობს რეაბილიტაცია, რის გამოც კრედიტორული დავალიანებების დაფარვა 2003 წლიდან უნდა დაიწყოს. ჩემი უარი მათ პროცესუალურად არასწორი გზით გაასაჩივრეს. მე ის წარმოებაში ვერ მივიღე, თუმცა მივეცი კერძო საჩივრის შემოტანის უფლება. ამჟამად მათი კერძო საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად, თბილისის საოლქო სასამართლოშია გადაგზავნილი,” - აცხადებს ჯაბანიშვილი.

მოკლედ

თბილისი. “აზოტის” მიყიდვის შესახებ „იტერას“ ბიზნეს-გეგმას დიდი საკონკურსო კომისია დღეს განიხილავს. სააქციო საზოგადოება „აზოტის“ კომპანია „იტერასთვის“ გადაცემის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ ეს კომისია მიიღებს.

კომისიის სხდომა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გაიმართება. მას მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი უხელმძღვანელებს, ხოლო მის შემადგენლობაში ეკონომიკური ბლოკის სხვა მინისტრები, პარლამენტის ეკონომიკური კომისიების თავმჯდომარეები და სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელები არიან.

კომისია განიხილავს კომპანია „იტერას“ მოთხოვნას „აზოტის“ პირდაპირი მიყიდვის შესახებ და შეაფასებს „იტერას“ მიერ წარმოდგენილ ბიზნეს-გეგმას. **”მედია-ნიუსი”**

■ ■ ■

თბილისი. სპეციალური პრიზი “წლის საუკეთესო ბრენდი” მიიღო ქართული კომპანიის GWS-ის პროდუქციამ სახელწოდებით “თამადა”.

როგორც “კავკას-პრესს” კომპანიიდან აცნობეს, ”თამადამ” პრიზი მიიღო მე-6 საერთაშორისო პროფესიულ კონკურსზე - “წლის საუკეთესო შამპანური, ღვინო და კონიაკი”, რომელიც მოსკოვში 18-22 ნოემბერს მიმდინარეობდა.

ნომინაციაში “წლის საუკეთესო კონიაკი” ვერცხლის მედალი დაიმსახურა ასევე GWS-ის პროდუქციამ - “ჭაჭა”. გარდა ამისა, “თამადამ” და “ძველმა თბილისმა” სხვადასხვა ნომინაციებში 14 ოქროსა და 10 ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. საერთაშორისო კონკურსზე წარმოდგენილი იყო რუსეთის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსის, საფრანგეთისა და გერმანიის ფირმების პროდუქცია. **”კავკას-პრესი”**

■ ■ ■

ბაქო. ს/ს “აზერენერჯის” ცენტრალური სადისპეტჩერო სამმართველოს მონაცემებით, საქართველოში 10 ნოემბერს დაწყებული ელექტროენერგიის იმპორტი 25 ნოემბერს შეწყდა. როგორც ჟურნალისტებს “აზერენერჯიდან” აცნობეს, მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობამ 10 მილიონ კვტ.სთ-ს გადააჭარბა. დაკმაყოფილდა გარდაბნისა და სხვა მეზობელი რეგიონების მოთხოვნილება. ამჟამად ქართული მხარის დავალიანება 60 მილიონ კვტ.სთ-ს შეადგენს. **“კავკას-პრესი”**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 22 – 28 ნოემბრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6451	0.64	0.0053
US$	1.5502		0.9923	0.0082
€uro	1.5623	1.0078		0.0083
¥en	188.83	121.81	120.86	

მშენებლები მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გაუქმებას აპროტესტებენ

პარლამენტის კინოდარბაზში ფრაქცია “სოციალისტისა” და არასამთავრობო ორგანიზაციის “თბილისის ეკონომიკური ფორუმის” წარმომადგენლები მშენებლებს შეხვდნენ. ფორუმზე მოსული ორასამდე მშენებელი აპროტესტებდა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გაუქმების შესახებ.

ვახტანგ რჩეულიშვილი

სოფო კვინტრაძე

პრეზიდენტმა პარლამენტს აღმასრულებელ ხელისუფლებაში გასატარებელი ცვლილებების პირველი პაკეტი შესთავაზა, რომელიც მშენებლობის, ურბანიზაციის და ქონების მართვის სამინისტროების გაუქმებას ითვალისწინებს. ამ ცვლილებების თანახმად, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო გაიყოფა და მის ფუნქციებს შესაბამისად შეითავსებენ ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროები. მომავალ სასესიო კვირაში პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს პრეზიდენტის ინიციატივას. მანამდე კი ფრაქცია “სოციალისტმა”, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, დარგის სპეციალისტთა აზრის მოსმენა გადაწყვიტა. ფორუმზე შეკრებილი ყველა მშენებელი ცალსახად აცხადებდა, რომ მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს ლიკვიდაცია გაუმართლებელია. მათი აზრით, ყველაზე მეტად სამინისტროს ლიკვიდაცია დედაქალაქის მუნიციპალიტეტს აწყობს, რადგან უკანონო მშენებლობების მთელი სერია, რაც ამჟამად თბილისში მიმდინარეობს, დაუბრკოლებლად და უკონტროლოდ განაგრძოს. ამ კონტექსტში რამდენჯერმე გაიჟღერა სხვის შეცდომებს გადაყოლილი მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის, მერაბ ჩხენკელის, სახელმაც. ფორუმს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აკაკი ზოიძეც ესწრებოდა, რომელმაც მშენებლობის სამინისტროს გაუქმება აღმასრულებელი ხელისუფლების რესტრუქტურიზაციის მთლიანი გეგმის ნაწილად და აუცილებელ ღონისძიებად გამოაცხადა. მისი თქმით, სამინისტროებისა და სახელმწიფო დეპარტამენტების რიცხვი ეტაპობრივად 40-დან 24-მდე უნდა შემცირდეს. **“მმართველობის სტრუქტურის შექმნა ჩვენს კომპეტენციაში შედის და ეს თქვენი საქმე არ არის,”** – განუმარტა მან მშენებლებს, რითაც საბოლოოდ დაიმსახურა მათი უკმაყოფილება. მშენებლები არანაკლებ აღაშფოთა ვახტანგ რჩეულიშვილის გამოსვლამაც, რომელსაც გადაავიწყდა, რომ ეკონომიკურ ფორუმზე იმყოფეოდა და “სოციალისტური პარტიისა” და “მოქალაქეთა კავშირის” ერთობლივ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. რჩეულიშვილმა ხაზგასმით მიუთითა, რომ სანამ შევარდნაძეა ქვეყნის პრეზიდენტი, მანამ უნდა მოვასწროთ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. სოციალისტთა ლიდერმა საყვარელი თემები ვრცლად მიმოიხილა, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში მსხდომი მშენებლები ზრდილობიან რეპლიკებს ისროდნენ: **“ამისთვის მოგვიყვანეს დღეს აქ?”**

თავიანთ გამოსვლებში მშენებლები ძალზედ კატეგორიულები იყვნენ და ცალსახად აფიქსირებდნენ უარყოფით პოზიციას სამინისტროს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. ისინი აცხადებდნენ, რომ არათუ გაუქმება, არამედ, პირიქით: მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროსთვის ფუნქციების გაზრდაა საჭიროა. თუმცა, მშენებლები იმასაც ამბობდნენ, რომ სამინისტროს გაუქმების საკითხი უკვე გადაწყვეტილია და ამ ფორუმის მოწყობა ფორმალურ და გაურკვეველ მიზნებს ემსახურებოდა.

მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს ლიკვიდაცია პარლამენტის უმრავლესობის თანხმობის გარეშე არ მოხდება. “სოციალისტთა” ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, რომ მისი ფრაქცია მხარს არ დაუჭერს პრეზიდენტისა და კანცელარიის ინიციატივას. ამდენად, საინტერესოა, როგორ მიიღებს სახელმწიფო კანცელარია ახლახან დამეგობრებული რჩეულიშვილისგან პირველივე წინააღმდეგობას.

ქონების მართვის სამინისტროს საპრივატიზაციო ნუსხას უწუნებენ

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, ქონების მართვის სამინისტრომ იმ საწარმოთა სია მოამზადა, რომელსაც 10-დან 19 დეკემბრამდე საქართველოს საფონდო ბირჟაზე გასამართ პირველ საბირჟო-საპრივატიზაციო აუქციონებზე გაიტანს გასაყიდად. ჩვენს მიერ ადრევე გამოთქმული ეჭვი, რომ ყველაზე მიმზიდველ საწარმოებში სახელმწიფო საკუთარ წილებს ვერ შეელეოდა, გამართლდა. პირველი საბირჟო-საპრივატიზაციო აუქციონებისთვის “გამეტებული” 18 საწარმოდან პოტენციურ ინვესტორს რომელიმე მათგანი ძნელად თუ დააინტერესებს. ამ საწარმოების უმეტესობის აქციები ქონების მართვის სამინისტროს, ჩვეულებრივ, საპრივატიზაციო აუქციონებზე უკვე არაერთხელ ჰქონდა გასაყიდად გატანილი, მაგრამ უშედეგოდ. ახლა კი, ნაცვლად დაპირებული მსხვილი სახელმწიფო “ბლუ ჩიპებისა”, საბირჟო-საპრივატიზაციო აუქციონებზე ეს “სექენდ ჰენდ” საწარმოთა აქციები იქნება წარმოდგენილი.

გვანცა კვინიკაძე

ქონების მართვის სამინისტროს, სახელმწიფო ქონების განკარგვის სექტორის უფროსის გიორგი დავითაშვილის განცხადებით, სამინისტროს მიერ საბირჟო-საპრივატიზაციო აუქციონებისთვის აღნიშნული საწარმოების შერჩევის უმთავრესი პრინციპი მათი აუქციონებისთვის მზადყოფნა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ საწარმოთა აქციების წინა აუქციონებზე გამოჩენას წარმატება არ მოჰყოლია, დავითაშვილი მათ მაინც საკმაოდ მიმზიდველად მიიჩნევს. მნიშვნელოვანია, რომ, წინა აუქციონების წარუმატებლობის გამო, კანონის შესაბამისად, საბირჟო აუქციონებზე ამ საწარმოთა აქციების საწყისი ფასები მათ ნომინალურ ღირებულებაზე 50-75 პროცენტით ნაკლები იქნება.

თუმცა, პროცესის მეორე აქტიური მონაწილე - საქართველოს საფონდო ბირჟა მიიჩნევს, რომ ეს ფასები მაინც არარეალურად მაღალია. საფონდო ბირჟამ ქონების მართვის სამინისტროს მიერ ჩატარებული სამუშაოსა და მომავალი აუქციონების პერსპექტივის თაობაზე თავისი პოზიცია 14 ნოემბრის ოფიციალურ ოქმში დააფიქსირა: **“საქართველოს საფონდო ბირჟა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გაზეთ “მესაკუთრეში” 2002 წლის 8 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ბრძანების დანართში მითითებული აქციების საწყის ფასებში სპეციალიზებულ საბირჟო აუქციონზე გატანა უშედეგო აღმოჩნდება, რადგან ამ აქციების რეალური საბაზრო ფასი მნიშვნელოვნად ნაკლებია წარმოდგენილთან შედარებით. ზემოაღნიშნულ საწარმოთა დიდი ნაწილის აქციები ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში გამოტანილი იყო აუქციონებზე (63, 64 და 65) წარმოდგენილ ფასად, მაგრამ ინვესტორებს მათ მიმართ არავითარი ინტერესი არ გამოუჩენიათ. რაც შეეხება სს “ეი-ი-ეს თელასის” აქციებს, თუ გადავხედავთ ბოლო თვეების გარიგებებს, ასევე მოთხოვნა-მიწოდების მონაცემებს, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ფასი საწყისი ფასისთვის საკმაოდ მაღალია. ამას გარდა, სს “ეი-ი-ეს თელასის” აქციები უკვე იყო გატანილი სამინისტროს მიერ საპრივატიზაციო აუქციონზე ერთი ლარის საწყისი ფასით, რასაც შედეგი არ მოჰყოლია და უფრო მაღალი ფასით მის ხელახლა გატანას, მით უმეტეს, არ შეიძლება მოჰყვეს რაიმე შედეგი”.**

როგორც ჩანს, ქონების მართვის სამინისტროს მიერ საპრივატიზაციოდ მომზადებულ საწარმოთა ნუსხაში ერთადერთი მიმზიდველი კომპანიის - “ეი-ი-ეს თელასის” აქციებიც (სახელმწიფომ თავისი კუთვნილი, დაახლოებით, 24 პროცენტიდან აუქციონზე 1.23 პროცენტი წარმოადგინა), მათი გაუმართლებლად მაღალი ფასის გამო, ვერ მიიქცევს ინვესტორთა ყურადღებას. საქართველოს საფონდო ბირჟაზე “ეი-ი-ეს თელასის” აქციებზე გარიგება უკანასკნელად წელს, აგვისტოში დაიდო და მათმა ფასმა 50 თეთრი შეადგინა. ამის გათვალისწინებით, ქონების მართვის სამინისტროს მიერ საბირჟო აუქციონისთვის ამ აქციების საწყისი ფასის 0.77 დოლარით, ანუ, დაახლოებით, ლარნახევრით განსაზღვრა საფონდო ბირჟას გაუმართლებლად მიაჩნია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაცრუვდა საბირჟო-საპრივატიზაციო აუქციონებზე რეალურად მიმზიდველი საწარმოების აქციათა გამოტანის იმედიც. ორიოდე თვის წინ, როცა ხელისუფლება პრივატიზაციისადმი ახალი მიდგომის შესახებ ალაპარაკდა, გაკეთდა არაერთი განცხადება იმის თაობაზე, რომ ყველაზე მსხვილ და საინტერესო სახელმწიფო საწარმოთა აქციებსაც კი კერძო მფლობელს საბირჟო აუქციონების მეშვეობით მოუძებნიდნენ. მაშინ დასახელებული “საქართველოს რკინიგზის”, “საქართველოს ელექტროკავშირისა” და სხვათა ფონზე, ქონების მართვის სამინისტროს მიერ სიაში წარმოდგენილი “ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის” მიმზიდველობაზე საუბარი საკმაოდ სადავო ჩანს. თუმცა, დავითაშვილის თქმით, სამინისტრო არც მომავალში იტყვის უარს საბირჟო აუქციონების ნუსხაში მსგავსი საწარმოების შეტანაზე, უფრო მეტიც, იგი არ გამორიცხავს, რომ აუქციონების შემდეგი ციკლისას ბირჟაზე ისეთი კომპანიების აქციებიც გამოჩნდეს, როგორებიცაა “აზოტი”, “გერგეთი” და სხვა.

საბირჟო აუქციონებზე რეალურად მიმზიდველი საწარმოთა აქციების გამოჩენას მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ აუქციონების მომსახურებისთვის სპეციალურად შერჩეული საინვესტიციო ბანკის - “გალთ ენდ თაგართ სიქიურითის” გენერალური დირექტორი ირაკლი კირტავა. მისი აზრით, თუ ხელისუფლებას მართლაც სურს, რომ ქვეყნის ეკონომიკა სწორი გზით განვითარდეს, მაშინ ბირჟაზე მსხვილი კომპანიების აქციების გამოტანას არ უნდა მოერიდოს. ქონების მართვის სამინისტროს მიერ შერჩეულ საწარმოების მიმზიდველობას საკმაოდ თავშეკავებულად აფასებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტი და აცხადებს, რომ ამის საუკეთესო განმსაზღვრელი უშუალოდ აუქციონები და ბაზარი იქნება.

მანამდე კი, ქონების მართვის სამინისტროს მიერ საპრივატიზაციოდ შერჩეულ საწარმოთა ნუსხის შეფასებისას, ექსპერტები თავს იმითღა იმედებენ, რომ “ყველა ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავს” და ამდენად, შესაძლოა, ამ საწარმოთა აქციებითაც დაინტერესდეს ვინმე.



კომპანიის დასახელება	გამოშვებული აქციების რაოდენობა	შეთავაზებული აქციები		ნომინალური ღირებულება			საწყისი ფასი	
		რაოდენობა	მთლიანი კაპიტალის %		ჯამში	ერთი აქციის	ერთი აქციის, USD	ჯამში, USD
ხაშურის მინის ტარა	2,152,186	400,000	18.59%	USD	400,000	1.00	0.250	100,000
სამტრედიის ჩაის კომბინატი	514,349	18,776	3.65%	USD	18,776	1.00	0.250	4,694
[illegible]	54,707	15,419	28.18%	USD	22,542	1.46	0.365	5,636
[illegible]	207,413	76,884	37.07%	USD	76,884	1.00	0.250	19,221
[illegible]	66,733	3,019	4.52%	USD	3,019	1.00	0.250	755
[illegible]	136,909	3,336	2.44%	USD	3,336	1.00	0.500	1,668
[illegible]	107,748	18,016	16.72%	USD	18,016	1.00	0.250	4,504
[illegible]	539,540	231,744	42.95%	USD	231,744	1.00	0.250	57,936
[illegible]	550,557	45,846	8.33%	USD	45,846	1.00	0.250	11,462
[illegible]	62,006	3,825	6.17%	GEL	3,825	1.00	0.192	736
ეი-ი-ეს თელასი	81,147,886	1,000,000	1.23%	GEL	1,000,000	1.00	0.769	769,231
ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა	9,645,882	1,446,880	15.00%	GEL	1,446,880	1.00	0.192	278,246
[illegible]	86,280	33,700	39.06%	GEL	33,700	1.00	0.127	4,277
[illegible]	220,934	33,000	14.94%	GEL	33,000	1.00	0.532	17,553
[illegible]	31,256	2,846	9.11%	GEL	2,846	1.00	0.140	397
[illegible] 2000	1,326,910	330,533	24.91%	GEL	330,533	1.00	0.192	63,564
[illegible]	127,699	43,377	33.97%	GEL	43,377	1.00	0.126	5,463
[illegible]	323,070	291,070	90.10%	GEL	291,070	1.00	0.115	33,381

ამერიკას სამრეწველო პროდუქციაზე ყველანაირი ტარიფის გაუქმება სურს

სენსაციური ინიციატივით გამოვიდა აშშ-ს მთავრობა. ვაშინგტონი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრ ქვეყნებს სთავაზობს საერთოდ გაუქმდეს ამ ორგანიზაციის ეგიდით მოქმედი ტარიფები სამრეწველო პროდუქციაზე. ამერიკელთა გეგმა 2015 წლისათვის (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარდა) ყველა ტიპის საქონელზე ტარიფების მოხსნას ითვალისწინებს. ეს ის ტარიფებია, რომელთა საერთო ჯამი ახლა 6 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკელთა ინიციატივას, ალბათ, დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ინდოეთი და ბრაზილია. ამ სახელმწიფოებს სრული საფუძველი აქვთ ივარაუდონ, რომ მათი მრეწველობა ამგვარი თამაშის წესებით ვერ გაუძლებს გლობალურ კონკურენციას. თუმცა, წინადადებას, წესით, უნდა მიესალმოს ჩინეთი, რომელიც შიშობს, რომ მის იაფიან საქონელს (უმთავრესად - ქსოვილებს) სავაჭრო პარტნიორებმა შესაძლოა დამატებითი ბარიერები შეუქმნან.

ვაშინგტონის გეგმა ითვალისწინებს 2010 წლისთვის ყველანაირ არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ტარიფების მაქსიმუმ 8 პროცენტზეზე დაყვანას, 2015 წლისათვის კი - მათ საერთო გაუქმებას. გეგმა არ ეხება სასოფლო-სამეურნეო საქონელს იმ მიზეზით, რომ უკანასკნელი წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის მთავარ წყაროს. იგი არ ეხება ასევე ინვესტიციებსა და ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც მუდამ საკამათო თემებს წარმოადგენს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების დროს.

აშშ-ს წარმომადგენელი მსო-ში რობერტ ზიოლიკი მიიჩნევს, რომ გეგმის განხორციელება უდიდეს სტიმულს მისცემს მისი ქვეყნის მრეწველობას. “ამერიკის ქუჩები საოჯახო საწარმოებით გაივსება, - განაცხადა მან, - ჩვენი გათვლებით საშუალო ამერიკული ოჯახის ყოველწლიური შემოსავალი 1600 დოლარით გაიზრდება. ქვეყნის ექსპორტი კი 670 მილიარდით აიწევს.”

რაც შეეხება მთლიანად მსოფლიოს, ამერიკის ხაზინის მდივანი პოლ ნილი ირწმუნება, რომ გეგმის განხორციელებით გლობალური ეკონომიკის მოცულობა 2 ტრილიონი დოლარით გაიზრდება.

ამერიკული გეგმა მსო-ს სხდომაზე იქნება წარდგენილი, რომელიც ჟენევაში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ აქამდე თავად აშშ-ს სირთულეები ჰქონდა მსო-ს დანარჩენ ქვეყნებთან მაღალი ტარიფების დაწესების გამო. პირველ რიგში ეს ეხებოდა ფოლადს. ვაშინგტონმა, სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის სუბსიდიების გაზრდით, განვითარებადი სამყაროს უკმაყოფილება გამოიწვია. ყოველივე ამის შემდეგ ამერიკელთა ინიციატივა მართლაც მისასალმებელია.

თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, განვითარებად ქვეყნებს დიდად არ აწყობთ ტარიფების ასე მალე მოსპობა. ბევრ სახელმწიფოში ადგილობრივ მრეწველობას იმით უდგას სული, რომ იმპორტულ საქონელზე მაღალი ტარიფებია დაწესებული და ამის გამო უცხოური საქონელი კონკურენტუნარიანობას კარგავს. თუკი ტარიფები გაუქმდა, მაღალი ხარისხის პროდუქცია ადგილობრივ წარმოებას კარგ დღეს არ დააყრის. მაგალითად, ბრაზილიის სამანქანო მრეწველობა, ალბათ, საერთოდ გაქრება.

ამიტომ განვითარებადი სამყარო დიდად არ იწონებს ამ გეგმას. მესამე ქვეყნების წარმომადგენლების განცხადებით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუკი ტარიფების გაუქმება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასაც შეეხებოდა. ეს განვითარებად სამყაროს, რომლის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმიც მეტად იაფია, მართლაც კარგ შეღავათს მისცემდა.

თუმცა, ვერავინ უარყოფს, რომ ვაშინგტონის ინიციატივა ტარიფების გაუქმების შესახებ იმავე ქსოვილებზე (რომელიც განვითარებადი სამყაროს ექსპორტის ერთ-ერთი ძირითად სტატიას წარმოადგენს) დიდი საჩუქარი იქნება ღარიბი ქვეყნებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამერიკა უკვე გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სუბსიდიების გაუქმების წინადადებითაც, მაგრამ ამ იდეას, ალბათ, მხარს არ დაუჭერენ ევროგაერთიანება და იაპონია.

სად მთავრდება ევროპა?

პირველი გვერდიდან

ევროკავშირი ამჟამად გაწევრიანების თაობაზე ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ათ ქვეყანასთან. ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, კვიპროსი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი 2004 წელს გახდებიან ევროკავშირის წევრები. ბულგარეთი და რუმინეთი "მსოფლიოს ყველაზე მდიდარ და განვითარებულ კლუბთან" შეერთებას 2007 წლისთვის გეგმავენ, ჯერჯერობით უცნობია თურქეთის გაწევრიანების თარიღი.

ამ იღბლიანთა გარდა, ევროკავშირში შესვლის სურვილს კიდევ რამდენიმე ბალკანური (ხორვატია, ბოსნია, იუგოსლავია, ალბანეთი, მაკედონია) და ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოები გამოთქვამენ. პროდის აზრით, ბალკანეთის ქვეყნები შეიძლება გახდნენ ევროკავშირის წევრები, დსთ-სა კი – არა.

ნატო-საგან განსხვავებით, რომელიც მზადაა, ყველა ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიიღოს, რომელსაც "სურს და შეუძლია" მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ევროკავშირს არ გამოუცხადებია "ღია კარის პოლიტიკა". ევროკავშირის მომავალზე საუბრისას, ექსპერტები და პოლიტიკოსები ხშირად სვამენ კითხვას: "სად მთავრდება ევროპა?". ამ კითხვაზე პასუხს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გულისხმობს, რომ ევროპის ფარგლებს გარეთ მყოფმა ქვეყნებმა ევროკავშირში გაწევრიანებაზე ფიქრს თავი უნდა ანებონ. ანუ, ალბანეთი და მაკედონია არის ევროპა, ხოლო, ვთქვათ, საქართველო და სომხეთი კი - არა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების განვითარების დონეებს შორის არც ისე დიდი სხვაობაა (ის, რომ პროდის საქართველო არ უხსენებია, არაფერს ნიშნავს, თამაშგარე დარჩენილთა სიაში მან ჩვენც გვიგულისხმა).

მართლაც, სად მთავრდება ევროპა? გეოგრაფიულად, საზღვრები საკმაოდ ზუსტად არის მოხაზული. პოლიტიკური თვალსაზრისით – სიტუაცია გაურკვეველია. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია მოიცავს უზარმაზარ სივრცეს - "ვანკუვერიდან ვლადივისტოკამდე", დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის, კავკასიის, ცენტრალური აზიის, აშშ-სა და კანადის ჩათვლით. ევროპის საბჭოში შედიან ყველა ეს რეგიონები, გარდა ცეტრალური აზიისა, ჩრდილოეთ ამერიკისა და ბელორუსისა. ევროკავშირის შემადგენლობაში ამჟამად 15 ქვეყანაა და, როგორც ვთქვით, კანდიდატთა რიცხვი 13-ს შეადგენს. "ცივი ომის" დროს ევროპა, პოლიტიკური თვალსაზრისით, მხოლოდ დასავლეთ ევროპას მოიცავდა.

ანუ, პროდის განცხადების მიუხედავად, ევროპის პოლიტიკური რუკა ჯერ არც ისე ნათლადაა მოხაზული. დღეს, მართალია, ევროკავშირის ხელმძღვანელმა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს ცივი წყალი გადაასხა, მაგრამ ვითარება მაინც შეიძლება შეიცვალოს. საქართველომაც უნდა განაგრძოს ევროპულ სტრუქტურებში მზარდი ინტეგრაციისაკენ სვლა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას სხვა გზა არ გააჩნია.

REUTERS

რომანო პროდი

გაუღებს თუ არა კარს ევროპა თურქეთს?

თურქეთის არჩევნებში გამარჯვებული სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერი რეჯებ ტაიპ ერდოქანი ევროპაში მოგზაურობას აგრძელებს. მისი ტურნეს მიზანს ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს. ერდოქანი უკვე ეწვია პორტუგალიას, დანიასა და ფინეთს. თურქეთში დაბრუნებამდე მან კიდევ ორი ევროპული ქვეყანა – შვედეთი და საფრანგეთი უნდა მოინახულოს.

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ, ჰელსინკში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერი ფინეთის პრემიერ-მინისტრს პავო ლიპონენს შეხვდა. თურქული მედია ამ შეხვედრის შედეგებს დადებითად აფასებს. ერთი-ერთზე საუბრის შემდეგ ერდოქანმა და ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ლეპონენმა აღნიშნა, რომ თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისათვის კოპენჰაგენის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. **"ჩვენ თურქეთში განხორციელებულ რეფორმებს დადებითი სიგნალით ვუპასუხებთ,"** - განაცხადა ფინეთის პრემიერ-მინისტრმა. ერდოქანმა აღნიშნა, რომ მისმა პარტიამ თურქეთის პარლამენტში ადგილების ორი მესამედი მოიპოვა, რაც თურქეთის კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად აბსოლუტურად საკმარისია. მან მოითხოვა, რომ კოპენჰაგენის სამიტმა ევროკავშირში თურქეთის მიღების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თარიღი დაასახელოს.

თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა. **"ჩვენ განვაცხადეთ, რომ არჩევნების შემდეგ ჩვენი უპირველესი მიზანი ევროკავშირში გაწევრიანება იქნებოდა. თურქეთი ელოდება იმ კონკრეტული თარიღის დასახელებას, როდესაც ევროკავშირში შესასვლელად უშუალო მოლაპარაკებები დაიწყება,"** - განაცხადა ერდოქანმა. **"თურქეთი ძალიან არის მოწადინებული, გახდეს ევროკავშირის წევრი. პარლამენტს, ოპოზიციას და არასამთავრობო ორგანიზაციებს სურთ, იქცნენ ევროკავშირის ნაწილად. თურქეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს,"** - დასძინა მან. გარდა ამისა, ერდოქანს არც თურქეთის, როგორც მუსულმანური ქვეყნის, ფაქტორის აღნიშვნა დავიწყებია. მისი განცხადებით, თურქეთის მოსახლეობის უმრავლესობა მუსულმანური აღმსარებლობისაა და ამით ევროპისაგან გასხვავდება. ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანება კი დაამტკიცებს, თუ როგორ შეუძლიათ ისლამურ ქვეყნებს საკუთარი პერსპექტივის შეცვლა, ხოლო ევროკავშირი კი ამით, თავის მხრივ, უჩვენებს, რომ ის მხოლოდ ქრისტიანულ კლუბს არ წარმოადგენს. ერდოქანს არც ევროპელი სახელმწიფო მოღვაწეების კრიტიკა გამორჩენია. მან აღნიშნა, რომ რომის პაპის, გერმანიის ყოფილი კანცლერის ჰელმუტ კოლისა და ევროკავშირის კონვენციის პრეზიდენტის ჟისკარ დ`ესტენის განცხადებები ევროკავშირის ქრისტიანული განზომილების გაძლიერებისაკენ არის მიმართული. **"ჩვენ არ შეგვიძლია, ეს განცხადებები მხოლოდ პირად მოსაზრებებად აღვიქვათ, რადგან ისინი პოლიტიკური მოღვაწეები არიან,"** - დაამატა ერდოქანმა. კვიპროსის პრობლემის გაერო-სეულ გეგმასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე კი თურქმა სტუმარმა განაცხადა: **"თურქეთი სამშვიდობო გეგმის განხილვისათვის მზად არის. გეგმას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. ჩვენ ამ პრობლემის გადაჭრას ვუჭერთ მხარს. ჩვენ საკითხის საბოლოო და სამართლიანი მოგვარება გვსურს."**

უნდა ითქვას, რომ კვიპროსის თემას თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ეს საკითხი კოპენჰაგენში დანიის პრემიერ-მინისტრსა და ერდოქანს შორის შეხვედრაზეც გაჟღერდა. დანიის პრემიერმა ანდერს რასმუსენმა განაცხადა, რომ კვიპროსის საკითხი თურქეთის ევროკავშირში მიღებასთან პირდაპირ კავშირში არ არის, თუმცა იქვე დასძინა, რომ კოპენჰაგენის სამიტამდე კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტა პროცესს საგრძნობლად გააადვილებს. **"ევროკავშირის პოზიცია კვიპროსის საკითხთან მიმართებაში საკმაოდ მკაფიოდ არის წარმოდგენილი. ევროკავშირს ერთიანი კვიპროსის ხილვა სურს,"** - განაცხადა რასმუსენმა. ამდენად, დანიის პრემიერმა ერდოქანს აგრძნობინა, რომ ევროკავშირი თურქეთს კვიპროსის პრობლემის მოგვარებას პირობად არ უყენებს, მაგრამ ეს შანსს გაუზრდის თავად თურქეთს.

თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერისა და, სავარაუდოდ, მომავალი პრემიერ-მინისტრის ერდოქანის ასეთი გააქტიურება ადვილი ასახსნელია. ა.წ. 12 დეკემბერს კოპენჰაგენში ევროკავშირის სამიტია დაგეგმილი. ევროპის ლიდერთა უმაღლესი დონის შეხვედრაზე ოფიციალურად უნდა დასახელდეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების სია და მათი გაწევრიანების თარიღი. როგორც ცნობილია, თურქეთი ამ სავარაუდო სიაში ვერ მოხვდა. ერდოქანის ევროპული ტურნე კი სწორედ ამ მიზნით იყო განპირობებული. თუმცა, თურქეთი ევროპული ოჯახისათვის, ჯერჯერობით, სასურველი წევრი არ არის. მისი მიღების მთავარ მოწინააღმდეგეებად საფრანგეთი, გერმანია და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები განიხილებიან. გასულ კვირას საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის განცხადების მიუხედავად, რომ თურქეთს ევროპაში თავისი ადგილი გააჩნია, საფრანგეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიის წევრის ფრანკო ბეროუს თქმით, ევროკავშირში თურქეთის მიღება **"საბედისწერო ისტორიული შეცდომა იქნება. თურქეთი უდიდესი მუსულმანური ქვეყანაა, რომელიც ევროპას არ მიეკუთვნება,"** - განაცხადა მან. აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციას საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს. ფრანგებთან ერთად, როგორც ავღნიშნეთ, თურქეთის ევროკავშირში მიღებას გერმანელებიც ეწინააღმდეგებიან. გერმანიის ხელის უფლების შეშფოთების საგანს ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მათ ქვეყანაში 2,5 მილიონი თურქი ემიგრანტი ცხოვრობს. გერმანელების აზრით, ევროკავშირში თურქეთის შესვლა ამ რიცხვს ერთიორად გაზრდის.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ევროპაში საყოველთაო განსჯის საგანს წარმოადგენს. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ევროპელთა მხოლოდ 31 პროცენტი უჭერს მხარს ევროკავშირში თურქეთის მიღებას.

ამდენად, ერდოქანის ევროპული ტურნეს შეფასება ჯერ ნაადრევია. საფრანგეთისა და შვედეთის ლიდერებთან შეხვედრა მას ჯერ კიდევ წინ აქვს. დასახელდება თუ არა ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების თარიღი, სავარაუდოდ, ამ შეხვედრების დროს გაირკვევა.

მოკლედ

თეირანი. ხუთშაბათს დაპატიმრებული სტუდენტები გუშინ რეფორმატორთა საპროტესტო გამოსვლების შედეგად გაათავისუფლეს. სტუდენტები პროფესორ აღაჯარისათვის სასიკვდილო განაჩენის შეცვლის მოთხოვნით ქუჩაში გამოვიდნენ. დაახლოებით, 12 სტუდენტი ნიღბიანმა პირებმა უნომრო მანქანებით გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

სტუდენტების დაკავებამ ახალგაზრდებისა და რეფორმატორი პოლიტიკოსების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. რეაქციონერებმა კი ახალგაზრდები ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში დაადანაშაულეს, რადგან ისინი ლიბერალი პროფესორის გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

აღაჯარის საქმეზე სასამართლო ხელახალი მოსმენა შაბათსაა დანიშნული. სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული ირანის მომავალი პოლიტიკური კლიმატი. მართალია, აიათოლა ალი ხამენეიმ სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვისაკენ მოუწოდა, მაგრამ პროფესორის ბედი ჯერ კიდევ გარკვეული არ არის.

ირანელი პროკურორის თქმით, განაჩენის გადახედვა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თავად აღაჯარი თხოვნით მიმართავს ხელისუფლებას. პროფესორი, ჯერჯერობით, უარზეა, მოსაფიქრებლად კი მცირე დრო რჩება.

▪ ▪ ▪

გერმანია. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა განაცხადა, რომ თავდაცვით სამხედრო სისტემებს მიჰყიდის ისრაელს, რაც, მისივე თქმით, [გერმანიის] "ისტორიული და მორალური ვალდებულებაა".

ისრაელისათვის "პატრიოტის" სისტემის მიყიდვა, ერაყის მხრიდან მოსალოდნელი სარაკეტო თავდასხმის შემთხვევაში, თელ-ავივს თავის დაცვის საშუალებას მისცემს,

11 წლის წინ, სპარსეთის ყურეში წინა ომის დროს, ერაყმა ისრაელს 39 "სკადის" ტიპის რაკეტა ესროლა.

"როიტერის" სააგენტოს ცნობით, გერმანელმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ მათ "პატრიოტის" სისტემები აღარ სჭირდებათ. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მათი შესყიდვის სურვილი სწორედ თელ-ავივმა გამოთქვა. ერაყში შესაძლო ომის წინ ისრაელმა მოლაპარაკებები განაახლა გერმანიასთან. გერმანიის კანცლერის განცხადება ცხადყოფს, რომ შეთანხმება უკვე მიღწეულია.

▪ ▪ ▪

ჩინეთი. ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ "ამნესტი ინტერნეიშენელმა" ჩინეთის ხელისუფლებისაგან ყველა დაპატიმრებულის გაშვება მოითხოვა, ვინც ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციისა და შეხედულებების გავრცელებისათვის დაიჭირეს.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, პოლიციამ უკანასკნელ ხანებში, დაახლოებით, 33 პირი დაიჭირა, რომელთაგან 2 წამებისა და ცუდი მოპყრობის გამო უკვე დაიღუპა.

ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა ეს ინფორმაცია უარყო.

ამჟამად, შეერთებული შტატების შემდეგ, ჩინეთში ინტერნეტის ყველაზე მეტი მომხმარებელია (45 მილიონი) მსოფლიოში.

▪ ▪ ▪

მოსკოვი. მოსკოვის მახლობლად, "ვოლინსკოეს" რეზიდენციაში რუსეთისა და ბელორუსის პრეზიდენტების შეხვედრა მიმდინარეობს. მთავარ განსახილველ თემას ორი ქვეყნის მომავალი გაერთიანების საკითხი წარმოადგენს. **"ბელორუსის პოლიტიკური კურსის შეცვლაზე – რუსეთთან კავშირის უარყოფაზე, საუბარიც კი არ შეიძლება იყოს,"** - განაცხადა ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას. აღსანიშნავია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თავისი ბელორუსი კოლეგა მოსკოვში სასაუბროდ მას შემდეგ მიიწვია, რაც ევროკავშირის თოთხმეტმა ქვეყანამ და შეერთებულმა შტატებმა ლუკაშენკო და მისი წამყვანი მინისტრები, ფაქტობრივად, პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

ბელორუსის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ სტანისლავ შუშკევიჩმა ამ ფაქტს დადებითი შეფასება მისცა. მისი თქმით, თუ რუსეთის ხელისუფლებაც ამავე გადაწყვეტილებას მიიღებს, ბელორუსში დემოკრატია მალე დამყარდება. აღსანიშნავია, რომ შუშკევიჩის დროს ბელორუსი დასავლეთის "ნებიერი" იყო, რადგან მაშინ იგი პირველი ქვეყანა გახლდათ, რომელმაც ნებაყოფლობით თქვა უარი ბირთვულ იარაღზე. ლუკაშენკოს პოლიტიკამ კი ბელორუსი "საფრთხობელად" აქცია.

თუ რა პოზიციას დაიკავებს რუსეთის პრეზიდენტი ლუკაშენკოსთან მიმართებაში, ჯერჯერობით, უცნობია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კრემლი მინსკს ეკონომიკური სანქციებით დაემუქრება და ამით შეეცდება, ბელორუსი ისეთ ინტეგრაციულ კავშირზე დაითანხმოს, რომელიც მოსკოვისათვის იქნება მისაღები. არადა, სულ ორი კვირის წინ ბელორუსის პრეზიდენტი რუსეთს სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა და აცხადებდა, რომ მისი ქვეყნისათვის რუსეთის ალტერნატივაც მოინახებოდა.

▪ ▪ ▪

ინდონეზია. კუნძულ ბალიზე ტერაქტის განხორციელებაში მთავარმა ეჭვმიტანილმა, 40 წლის იმამ სამუდრამ საერთაშორისო ტერორისტულ ქსელთან - "ალ ქაიდასთან" კავშირი აღიარა. ამის შესახებ ჟურნალსიტებს ინდონეზიის სამართალდამცავმა ორგანოებმა აცნობეს. ტერორისტის თქმით, ის რიდუან ისამუდინის ბრძანებას ასრულებდა. ისამუდინი ისლამისტური ორგანიზაცია "ჯამაა ისლამიას" ერთ-ერთი ლიდერია და ბინ ლადენთან და მის გარემოცვასთან ახლო კავშირები გააჩნია.

როგორც ცნობილი გახდა, ისამუდინი სამუდრას საიდუმლოდ შეხვდა მალაიზიაში, სადაც ბალიზე ტერაქტის განხორციელების დეტალები განიხილეს.

აღსანიშნავია, რომ ისამუდინი 11 სექტემბრის ტერაქტის მონაწილეებს მატერიალურ დახმარებას უწევდა. სწორედ ამის გამო გახდა მისი გვარი ცნობილი დასავლეთის სპეცსამსახურებისათვის.

რუსული ენერგოკომპანიები ბალტიისპირეთს იპყრობენ

საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის სტატია ბალტიისპირა სახელმწიფოების უსაფრთხოებას შეეხება. სოკორის მტკიცებით, ნატო-ში გაწევრიანების მიუხედავად, რუსული კომპანიების ექსპანსია სამი პატარა სახელმწიფოსათვის საფრთხეს წარმოადგენს.

ვლადიმირ სოკორი

ნატო-ში გაწევრიანება ბალტიისპირა სამ სახელმწიფოს სხვადასხვა ტიპის სამხედრო საფრთხეებისაგან დაიცავს. თუმცა, ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების პარალელურად, რუსეთი ბალტიისპირა სახელმწიფოების ენერგოსექტორში მასობრივად იჭრება. ეს, ფაქტობრივად, ერთადერთი სფეროა, სადაც რუსეთს დასავლეთთან შედარებით უპირატესობა გააჩნია. ენერგოსექტორის კონტროლი მისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების საშუალებას იძლევა. ბალტიისპირეთის საკვანძო ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკული საწარმოების ხელში ჩასაგდებად, რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული ენერგოკომპანიები აგრესიულ პოლიტიკას ატარებენ.

რუსული ენერგოკომპანიები ამჟამად ლატვიის ვენტსპილსის სანავთობე ტერმინალს გაკოტრებით ემუქრებიან, თუ მისი მფლობელები რუსეთის სახელმწიფო კომპანია "ტრანსნეფტს" აქციათა საკონტროლო პაკეტს არ მიჰყიდიან. რუსულმა კომპანიებმა ტერმინალს, ნავთობის მიწოდება მკვეთრად შეუმცირეს. ანალოგიური ტაქტიკა გამოიყენეს მეორე რუსული კომპანიის - "იუკოსის" მიერ ლიტვის ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის ხელში ჩასაგდებად. მიწოდების მკვეთრი შემცირება სამიზნედ შერჩეულ პორტს ან გადამამუშავებელ ქარხანას დილემის წინაშე აყენებს: ან სრული გაკოტრება, ან რუსული ნავთობკომპანიებისათვის აქციების დათმობა. ეს ტაქტიკა ნავთობის მიწოდებასა და ბალტიისპირა სახელმწიფოების გავლით ექსპორტზე რუსეთის მონოპოლიას კიდევ უფრო ამტკიცებს.

როდესაც "მსხვერპლი" გამოჭერილია, მას ალტერნატიული მიმწოდებლების მოძიების არჩევანი არ აქვს. რაც უფრო დიდხანს იქნება საწარმო უმოქმედოდ, მით უფრო მცირდება მისი საბაზრო ღირებულება. ამგვარ შემთხვევებში პოტენციური დასავლელი ინვესტორები ფულის ჩადებისაგან თავს იკავებენ, რადგან რუსმა მიმწოდებლებმა ყველას ნათლად მიანიშნეს, რომ ისინი მანამ არ მიაწვდიან ნავთობს სამიზნედ შერჩეულ საწარმოს, ვიდრე ის მათი კონტროლის ქვეშ არ აღმოჩნდება.

ბალტიისპირა სახელმწიფოების ყველაზე დიდი - ვენტსპილსის პორტი, რომელიც ზამთარშიც არ იყინება, ჩრდილოეთის მიმართულებით რუსული საექსპორტო ნავთობის უდიდესი გამტარია. ნავთობის საექსპორტო ტერმინალი - "ვენტსპილს ნაფტა" კერძო აქციონერებს (მათ შორისაა ვენტსპილსის მერი აივარს ლემბერგსი) ეკუთვნით. ლატვიის მთავრობა საწარმოში მხოლოდ მცირე წილს ფლობს და მის გაყიდვას ისედაც გეგმავს.

იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ნავთობის წარმოება მკვეთრად იზრდება, ვენტსპილსის მეშვეობით ექსპორტი მკვეთრად იკლებს. ყოველთვიური და კვარტალური მაჩვენებლები რუსეთის კომპანიების მიზანმიმართულ სტრატეგიაზე მიუთითებს. 2002 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში ვენტსპილსმა 6.9 მილიონი ტონა დაუმუშავებელი ნავთობი და 4.9 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტი მიიღო, რაც ჯამში 11.8 მილიონ ტონას შეადგენს, მაშინ როდესაც გასული წლის იმავე მონაკვეთში მიწოდებამ 17.4 მილიონი ტონა შეადგინა. მიმდინარე წლის ბოლოს კი მიწოდება 0.9 მილიონი ტონა გახლდათ, ხოლო 2001 წლის ბოლოს - 3.2 მილიონი ტონა.

მიმდინარე წელს ექსპორტის უდიდესი ნაწილი ბალტიის ზღვაზე რუსული პორტის - პრიმორსკის მეშვეობით ხორციელდება. პრიმორსკში სახელმწიფო მილსადენის კომპანია "ტრანსნეფტმა" ნავთობის საექსპორტო ტერმინალის პირველი ეტაპის მშენებლობა დაასრულა. თუმცა, ექსპერტების აზრით, რუსული ნავთობის ექსპორტის ბუმისა და მთელი წლის განმავლობაში ვენტსპილსის პორტის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, ლატვიის პორტი პროდუქციის გარეშე მაინც არ უნდა დარჩენილიყო. ამ შემთხვევაში "ტრანსნეფტმა" და "ლუკოილმა" საჯაროდ მიანიშნეს ლატვიელებს, რომ ვენტსპილსის სრული დატვირთვით ამუშავება შესაძლებელია, თუ ისინი საკონტროლო აქციების პაკეტს მიიღებენ.

"ტრანსნეფტმა" ვენტსპილსის აქციონერებს ნათელი შეტყობინება გაუგზავნა, რომ ის ან პრიმორსკის ტერმინალის მშენებლობის მეორე ეტაპს დაიწყებს, რაც ვენტსპილსის პერსპექტივას დაასამარებს, ან პრიმორსკში ინფრასტრუქტურის მშენებლობის შეჩერებითა და ვენტსპილსის მიმართულებით ნავთობის მიწოდების აღდგენით ლატვიურ პორტს იხსნის. პირობა კვლავ უცვლელია: ლატვიელებმა პორტის კონტროლი უნდა დათმონ. ეს შედარებით მოკლევადიანი ალტერნატივაა. რუსულ მხარეს, რასაკვირველია, ვენტსპილსის კონტროლის მოპოვება გაცილებით იაფი დაუჯდება, ვიდრე პრიმორსკის გაფართოება. საშუალოვადიან პერსპექტივაში, რუსული ნავთობის მოპოვების გეგმიურ ზრდას პრიმორსკის ინფრასტრუქტურის განვითარება მაინც დასჭირდება, ისევე როგორც ვენტსპილსისა და სხვა ბალტიისპირა პორტების გამოყენება. გარიგების დაუყოვნებლივ მიღწევას რუსეთი აგრესიულად სწორედ ამიტომ ცდილობს. შესაბამისად, მან მკვეთრად შეუმცირა ლატვიურ პორტს ნავთობის მიწოდება, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, საშუალოვადიან პერსპესქტივაში ვენტსპილსი მას ყველა შემთხვევაში დასჭირდება. შედეგად, ლატვიური მხარე მოგებას საკონტროლო პაკეტის დათმობის გარეშეც ნახავს.

ლიტვაში რუსულმა "ლუკოილმა" ანალოგიურ ტაქტიკას მიმართა, რათა "მაზეიკაიას სანავთობო კომპანია" ხელში ჩაეგდო. "მაზეიკაიას" ეკუთვნის ნავთობის გადასამუშავებელი ქარხანა, საზღვაო ტერმინალი და შესაბამისი მილსადენების ინფრასტრუქტურა. ეს სამსექტორიანი საწარმო ლიტვის უდიდეს ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენს. წლიურად 16 მილიონი ტონა ნავთობის სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმო ბალტიისპირეთის უდიდეს გადამამუშავებელ ქარხანას წარმოადგენს და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის ბაზრების ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი იქნება. აღსანიშნავია, რომ 1999 წელს ამერიკულმა კომპანიამ "ვილიამს ინტერნეიშენალმა" ამ კომპანიის სოლიდური წილი შეიძინა.

რუსეთის უდიდესმა სანავთობო კომპანიამ და ლიტვისათვის ნავთობის მიწოდების საკითხებში მთავრობის მიერ დანიშნულმა კოორდინატორმა "ლუკოილმა" "მაზეიკაიას" ნავთობის მიწოდება მინიმუმადე შეუმცირა. მან ღიად მიანიშნა კომპანიის ხელმძღვანელობას, რომ ნავთობის მიწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში აღდგებოდა, თუ საკონტროლო პაკეტსა და მენეჯმენტს რუსულ კომპანიას გადააბარებდნენ. ნავთობის მიწოდების შემცირებამ "მაზეიკაიას" დიდი რაოდენობით ვალები დაუგროვა. შესაბამისად, ლიტვის ბიუჯეტს მნიშვნელოვანი შემოსავლები დააკლდა. ამან ბალტიისპირეთში უდიდესი ამერიკული საინვესტიციო პროექტი დააზარალა. 2002 წლის აგვისტოში რუსეთის სიდიდით მეორე ნავთობის მწარმოებელმა კომპანიამ "იუკოსმა" "მაზეიკაიას" იმგვარი წინადადება შესთავაზა, რომელზეც ლიტვურმა მხარემ უარი ვერ თქვა. მიწოდების აღდგენის პირობით, მან "ვილიამსისაგან" წილი შეიძინა და კომპანიის აქციათა 53 პროცენტს დაეუფლა.

ლიტვის ხელისუფლება "მაზეიკაიას" ამოქმედებამ გაახარა, მაგრამ შეშფოთებულია იმ შედეგებით, რაც, დასავლელი პარტნიორის არარსებობის პირობებში, ძლიერი რუსული კომპანიის შემოსვლას შეიძლება მოჰყვეს. მთავრობა ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან "მაზეიკაიას" 5-დან 10 პროცენტამდე წილის შესყიდვის თაობაზე, რათა "იუკოსის" გავლენა მცირედით მაინც დააბალანსოს.

რუსული ენერგეტიკული გიგანტების პატარა ბალტიურ სახელმწიფოებში შეღწევას უზარმაზარი რისკებიც ახლავს თან. უარეს შემთხვევაში, ეს, შესაძლოა, რეალურ პოლიტიკურ ბერკეტებად გარდაიქმნას, რომელიც ბალტიური სახელმწიფოების მთავრობების გადაწყვეტილებებზე აისახება. საუკეთესო შემთხვევაში კი, რუსული კომპანიების შეღწევა საკანონმდებლო პოლიტიკას შეაფერხებს, მოსკოვზე დამოკიდებულ ზეწოლის ჯგუფებს წარმოქმნის, ხელს შეუწყობს კორუფციის აყვავებას და განაპირობებს გრძელვადიან ენერგოდამოკიდებულებას რუსეთზე, რომლის მომავალი კურსი კვლავ გაურკვეველია.

თუ ურჩი მეზობელი გყავთ, გამრიცხველიანებაც ვერ გიშველით

˝ეი-ი-ეს თელასი ˝ აბონენტების უფლებებს არღვევს!

ელექტროენერგიის საფასურის "ხალვათად" გადახდას მიჩვეულ მოსახლეობას გამრიცხველიანების პროცესის გაჭიანურება თავიდან ახარებდა, სააშკარაოზე გამოტანილ მრიცხველს მამა-პაპური და ინკასატორის ნებართვით თუ უნებართვოდ "შემეგობრებული" მრიცხველი ერჩია. თუმცა, დღეს ბევრი მათგანი გამხოლოებული მრიცხველების მეპატრონეებს შენატრის. ზამთარში ისედაც ლიმიტირებული ელექტროენერგია გაუმრიცხველიანებელ უბნებს, თითქმის, აღარ მიეწოდებათ და მოსახლეობა იქამდე მიიყვანეს, გამრიცხველიანებას უკვე საკუთარი ნებით ითხოვს.

ნანა ქადაგიშვილი

თუმცა, გამოსავალი არც ეს უნდა იყოს, რადგან "ეი-ი-ეს თელასი" გადამხდელი აბონენტების უფლებებს გამრიცხველიანებულ უბნებშიც არანაკლებად არღვევს.

2001 წელს დასამთავრებელი გამრიცხველიანების პროცესი 2003 წლამდე გაიჭიმა. ამჟამად ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე დარჩენილია აბონენტთა 18 პროცენტი. "ეი-ი-ეს-თელასი" ამის უპირველეს მიზეზად, რა თქმა უნდა, უსახსრობას ასახელებს. თუმცა მას, თუნდაც ასეთი გასამართლებელი საბუთის მიუხედავად, გადამხდელი აბონენტის უფლებების დარღვევის ნება მაინც არ აქვს.

"თელასი" გაუმრიცხველიანებელ უბნებში ელექტროენერგიის მიწოდების განსაკუთრებულად შეზღუდვას საფასურის გადახდის დაბალ მაჩვენებელს აბრალებს. "გამრიცხველიანება არაფერ შუაშია, უბრალოდ, იქ სადაც ინდივიდუალური მრიცხველებია, მოსახლეობა ელექტროენერგიის საფასურს 5-ჯერ მეტად იხდის და ძველ ვალებსაც ფარავს. ამიტომაც, ასეთ უბნებს ელექტროენერგიას უკეთესად ვაწვდით. თუ უმრიცხველო უბნების მოსახლეობაც კარგად გადაიხდის, მათაც მივაწვდით. ასეთი ფაქტებიც არის, მგალითად, ოქროს უბანში," – განგვიცხადეს კრწანისისა და მთაწმინდის რაიონების ბიზნეს-ცენტრებში. თუმცა, არც ის უარყვეს, რომ საფასურის გადახდის დაბალი მაჩვენებელი გამრიცხველიანების პროცესის გაჭიანურების ბრალიცაა.

გამოდის, რომ "თელასი" საკუთარ მოვალეობასა და დანაპირებს ვერ ასრულებს და ჯოხი მოსახლეობაზე ტყდება. კეთილსინდისიერი გადამხდელი ხომ გაუმრიცხველიანებელ უბნებშიც ბევრია და, საფასურს გადაიხდიან თუ არა, სინათლეს მაინც ვერ იღებენ. "რა აზრი აქვს საფასურის გადახდას, თუკი სინათლეს მაინც არ მოგვაწვდიან. "თელასი" ჩვენს უფლებებს არღვევს, ამისთვის კი მას პასუხს არავინ სთხოვს," – ჩივიან გაუმრიცხველიანებელი უბნების მაცხოვრებლები.

ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ მოსახლეობის საჩივარი "გაითვალისწინა" და პრობლემის მოგვარება სცადა. რა შუაშია უბანში ტარიფის ამოღების საერთო მაჩვენებელი, თუკი აბონენტი კეთილსინდისიერად იხდის. რაც გინდათ, გააკეთეთ, ოღონდ გადამხდელი აბონენტი, თუნდაც გაუმხოლოებული უბნელი, არ დააზარალოთო, - მკაცრად მოსთხოვა სემეკ-მა "ეი-ი-ეს თელასს". ამ უკანასკნელმა კი ნამდვილად არ იცის, რა გააკეთოს. "ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ვინც არ იხდის, ელექტროენერგიის ხაზი ჩაუჭრა, მაგრამ გაუმხოლოებელ უბნებში ეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია," – აცხადებს "თელასი".

როგორც ჩანს, გამხოლოებული მრიცხველების გარეშე დარჩენილი აბონენტები ელექტროენერგიას გამრიცხველიანებამდე ვერ ეღირსებიან. თუმცა, უბედურება ის არის, რომ გადამხდელი აბონენტის უფლებები გამრიცხველიანებულ უბნებშიც ხშირად ირღვევა. "საფასურს ყოველთვის დროულად ვიხდი, მაგრამ თქვენს უბანში გადახდის მაჩვენებელი დაბალია და ელექტროენერგიას შეზღუდვით ამიტომაც გაწვდით,"- გვითხრეს "თელასში". "თუკი ჩემი მეზობელი ცუდად იხდის, ჩაუჭრან, მის გამო მე რატომ უნდა დამაზარალონ," – ჩივის სოლოლაკის მოსახლეობა. "ეი-ი-ეს თელასს" კი თავის მართლება არც ამ შემთხვევაში უჭირს. "რამდენჯერმე ვცადეთ, ვინც არ იხდიდა, ელექტროენერგიის სადენები ჩავუჭერით, მაგრამ დღეს ბავშვებიც კი "ელექტრიკები" არიან, ისევ გადააბეს," –გვითხრეს მთაწმინდის რაიონის ბიზნეს-ცენტრში.

გამოდის, რომ გამრიცხველიანება, მხოლოდ და მხოლოდ, ელექტროენერგიის საფასურის ამოღების კონტროლს ემსახურება და მოსახლეობის ინტერესები განზე რჩება. "ეი-ი-ეს თელასს" კი აბონენტთა უფლებების დაცვა, მორალურის გარდა, იურიდიულადაც მოეთხოვება. მან მოსახლეობასთან ხელშეკრულების გაფორმება უკვე დაიწყო, იქ კი არსად წერია, რომ ურჩი მეზობლის გამო "ეი-ი-ეს თელასს" გადამხდელი აბონენტის დაზარალების უფლება აქვს.

მოკლედ

თბილისი. 27 ნოემბერს, ღამით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სანაპიროს „თბოელექტროცენტრალის" მოპირდაპირე მხარეს სერიოზულად დაზიანდა გაზის ცენტრალური მაგისტრალი, რის გამოც 25 ათას აბონენტს შეუწყდა ბუნებრივი აირის მიწოდება. როგორც თბილგაზის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განაცხადა, მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და დილის 7-8 საათისთვის გაზის მიწოდება აღუდგა ვაკისა და საბურთალოს რაიონებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი.შპს „თბილწყალკანალის" ინფორმაციით, გუშინ თერთმეტი საათიდან წყლის მიწოდება შეუწყდა დედაქალაქის სანზონის დასახლების ნაწილს და დიღმის მასივის მცხოვრებლებს. დაბალი წნევით წყალს მიიღებენ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, წერეთლის გამზირი და მიმდებარე ქუჩები, კრწანისის რაიონის გორგასლის ქუჩის მცხოვრებლები და ისნის რაიონის ხუთი დეკემბრის და ბოგდან ხმელნიცკის ქუჩები. ამის მიზეზი წყალსადენის ქსელების გადაერთების სამუშაოებია, რომელსაც წყალკანალი ასრულებს. ჩვეულებრივი რეჟიმით წყლის მიწოდება ამ რაიონებს დღეს, დილის რვა საათიდან უნდა აღუდგეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი წინასაკონკურსო სამზადისი დასრულდა. მასში მონაწილეობდა 100-ზე მეტი თბილისელი უფროსკლასელი. კონკურსი შიდსის საერთაშორისო დღეს, პირველ დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება, სადაც წარმოდგენილი იქნება საუკეთესო ნამუშევრები. კონკურსი ორ ნიმინაციაში ჩატარდება - პლაკატი და ესე. პლაკატი შესრულებული უნდა იყოს მუყაოს ან ვატმანის ქაღალდზე საღებავებით, ხოლო ნარკვევების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ გვერდს. კონკურსის მიზანია, მოსწავლე-ახალგაზრდობას საშუალება მიეცეს, გაითავისოს ის საშიშროება, რაც შიდსს ახლავს, გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას მოზარდებს იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე, რომელიც თავიდან აგვაცილებს ამ დაავადებას. ამ ღონისძიების ინიციატორები არიან ჯანდაცვის, სოციალური მარკეტინგისა და კომუნიკაციების კავკასიის ოფისი და განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება. გამარჯვებულებს სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვებენ. პლაკატების პრეზენტაცია „შერატონ მეტეხი პალასში" ამავე დღეს მოეწყობა, ხოლო საუკეთესო ესე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საქსტანდარტმა" ხორცისა და რძის საწარმოების შემოწმება დაიწყო. ამის მიზეზი სავაჭრო ქსელში არსებულ პროდუქციაში გამოვლენილი ხარისხობრივი დარღვევები გახდა", - თქვეს „საქსტანდარტის" მრეწველობის სამმართველოში. ამ ეტაპზე ამოწმებენ სამ საწარმოს. ესენია - არაგანის მწარმოებელი ფირმა „სადუნიშვილი", კარაქის მწარმოებელი „ეფრემ ლესგიშვილი" და ხინკლისა და კატლეტების მწარმოებელი „ანანო". შემოწმების შედეგები ერთ კვირაში გახდება ცნობილი. რაც შეეხება რძისა და ხორცპროდუქტების მსხვილ მწარმოებლებს, მათი შემოწმება, ჯერჯერობით, დაგეგმილი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის მონაცემებით, გუშინ თბილისში მტკვარში ჩამდინარე წყლის მოცულობა 300-400 ათასი კუბური მეტრის ფარგლებშია და მისი უდიდესი ნაწილი გაუწმენდავია ან მხოლოდ მექანიკურად არის გაწმენდილი. წელს, ოქტომბერში შვიდმა ეკოლოგიური პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ხელი მოაწერა ერთობლივ რეზოლუციას, რომლის ერთ-ერთი პუნქტი მტკვარში ნაგვის ჩაყრის აკრძალვას ეხებოდა. რეზოლუცია გადაეცა თბილისის მერიის შესაბამის უწყებებს. ოქტომბერში ჩატარებული მდინარე მტკვრის დასუფთავების აქციის შემდეგ მასში შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები აღმოაჩინეს: ნავთობპროდუქტები, ზედაპირულად აქტიური სინთეზური ორგანული ნაერთები, ნიტრატიონები და მძიმე ლითონები. ეკოლოგიური ინფორმაციისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი მაღრაძე მიიჩნევს, რომ ქალაქის მერიისა და ეკოლოგიური პოლიციის მიერ ერთობლივმა ღონისძიებებმა, შესაძლოა, შედეგი გამოიღოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეკოლოგიური ინფორმაციისა და განვითარების ცენტრის მონაცემებით, თბილისის ხევები, რომელთა რიცხვი ათეულს აჭარბებს, უკანონო ნაგავსაყრელებად იქცა. როგორც თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა გივი რუხაძემ განაცხადა, დედაქალაქის ქუჩებისა და ხევების დასუფთავებაზე თითოეული რაიონის კეთილმოწყობის სამსახურები უნდა ზრუნავდნენ. დედაქალაქის დაბინძურებული ხევები მდინარე მტკვარს უერთდება და, ეკოლოგიური თვალსაზრისით, საგანგაშო მდგომარეობა იქმნება. როგორც თბილისის მერიის პრესცენტრში გვაცნობეს, მდინარე მტკვარში ნაგვის ჩაყრა მკაცრად არის აკრძალული, მაგრამ ეს წესი, თითქმის, ყველგან იგნორირებულია. მსგავსმა ფაქტებმა სანიაღვრე კოლექტორების დაზიანებაც გამოიწვია. დასჯით კი მხოლოდ "დანაშაულში" შემჩნეული მეეზოვე ისჯება - მას სამსახურიდან ათავისუფლებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ქუჩებში კვლავ საცობები იქმნება. საცობებს, ძირითადად, მოძრაობის წესების დარღვევა ქმნის. ყველაზე მწვავე წერტილებია ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორია და კოსტავას ქუჩის რამდენიმე მონაკვეთი. თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ოთარ ჭიპაშვილის აზრით, ამ საცობებს არა სამგზავრო ტრანსპორტი, არამედ მოძრაობის საერთო მოუწესრიგებლობა ქმნის. დედაქალაქში ყოველდღიურად 130 ათასი სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს. მათგან სამგზავრო ტრანსპორტი მხოლოდ ხუთ ათას ერთეულს, ანუ სამ პროცენტს შეადგენს. კერძო ავტომანქანების მფლობელები არა მარტო მოძრაობის წესებს არღვევენ, არამედ მანქანებს აჩერებენ აკრძალულ ადგილებზე, რაც გზას ავიწროებს და უფრო მეტად აფერხებს მოძრაობას. ოთარ ჭიპაშვილის თქმით, საცობების პრობლემის აღმოფხვრა გზებზე საერთო წესრიგის დამყარებით არის შესაძლებელი და ამისთვის ყველა სამსახურის, უპირველესად კი ავტოინსპექციის ძალისხმევაა საჭირო. **მედია-ნიუსი**

სახელმწიფო ტურიზმს აძვირებს

სვანეთი - ძვირი სიამოვნება

შარშან სვანეთში, გერმანელი ტურისტების ჯგუფზე გახმაურებული თავდასხმა მოხდა. სამ მიკროავტობუსს, რომელსაც მესტიის სამძებროს უფროსი და ექვსი პოლიციელი მიჰყვებოდა, მესტია-ხაიშის მონაკვეთზე ტყიდან სროლა აუტეხეს. ამაზე გამცილებლებმაც სროლით უპასუხეს. ეტყობა, თავდამსხმელები ამას არ ელოდნენ და გაქცევა სცადეს. ისე მოხდა, რომ ერთი მიკროავტობუსი ჩამორჩა. თავდამსხმელებმა ისინი, ფაქტობრივად, მძევლებად აიყვანეს, მათთვის უსაფრთხო ადგილას მიიყვანეს, უცხოელებს ბოდიში ინგლისურად მოუხადეს და მანქანიდან გადავიდნენ.

მაკა ჭაიანი

ეს ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ. შარშან, შარშანწინ დააყაჩაღეს იაპონელებისა და ავსტრიელების ტურისტული ჯგუფები. საინტერესო რამ გადახდათ თავს ავსტრიელებს. დავით გარეჯში მათ ორი ყმაწვილი დაესხა თავს. ერთს, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გაღუნულლულიანი თოფი ეჭირა, მაგრამ ამას თავდასხმის მოწყობაში მისთვის ხელი არ შეუშლია. იაპონელების ამბავი მედიის ფართო განხილვის თემადაც იქცა. ამბობენ, რომ საქართველოში ჩამოსული ტურისტების დაყაჩაღების სხვა ფაქტებიც არსებობს, მაგრამ მათი გახმაურება დაზარალებულებმა არ ისურვეს.

საქართველოში ჩამოსული ტურისტების უსაფრთხოების საკითხი ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა მთავრობის სხდომაზე ჯერ კიდევ კახა თარგამაძის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს დასვა. შინაგან საქმეთა მინისტრის რეაქცია ასეთი იყო: ჩვენ დავიცავთ ტურისტებს, ოღონდ, ფირმებმა, რომლებიც ტურიზმით არიან დაკავებულნი, ამისთვის გარკვეული საფასური გაიღონ; ზოგადად, კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ, მაგრამ, ვითარებიდან გამომდინარე, ჯობს, ტურისტებს დაცვა გაჰყვესო. ამას მეტად საინტერესო გაგრძელება მოჰყვა.

გიგი ყუფარაძე, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე: "2001 წლის მაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტისგან პირველი წერილი მოგვივიდა. მათი მომსახურების პრეისკურანტი იყო. ფასები იმდენად დიდი აღმოჩნდა, ბოდიში თავად მოიხადეს, - შეგვეშალაო. 2002 წლის მაისში მეორე წერილი მივიღეთ შედარებით დაბალი ფასებით, თუმცა, როგორიც უნდა იყოს ფასი, როცა იძულებული ხარ, ტურისტულ ჯგუფს დაცვა აუყვანო, ტურიზმი ძვირდება. სააგენტო ამ ფულს ვერ გადაიხდის და იძულებული ხდება, ტარიფი ტურის ღირებულებაში, ტურისტის ხარჯებში ასახოს. ჩვენ ვთხოვეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიეთითებინა ის რაიონები, სადაც ტურისტების შეყვანა განსაკუთრებით საშიშია, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ ტურისტების გადასაადგილებლად სპეციალური დაცვის აყვანის წესად შემოღებას - გარდა იმისა, რომ ეს ფაქტი ტურიზმს აძვირებს და ტურისტების ნაკადს ამცირებს, ფაქტობრივად, გამორიცხავს საქართველოში ინდივიდუალური ტურიზმის განვითარებას."

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალური ტარიფი ტურისტული ჯგუფებისთვის ასეთია: ერთი ეკიპაჟი - ოთხი პოლიციელი, სპეც.ფორმით, რადიოკავშირებით, შეიარაღებითა და ტრანსპორტით, დღე-ღამის განმავლობაში, მარშრუტის გათვალისწინებით, ღირს:

თბილისი-თელავი-თბილისი - 235 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

თბილისი-ახალციხე(ვარძია)-თბილისი - 240 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

თბილისი-ონი-თბილისი - 235 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

თბილისი-მესტია-თბილისი - 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

ოფიციალური წერილის მიხედვით, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს დასაცავ ტურისტთა შესახებ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დროული ინფორმირება - ყველა საჭირო დეტალის გათვალისწინებით.

საქართველოში ჩამოსულ ტურისტულ ჯგუფებს, ძირითადად, მესტიაში აყაჩაღებენ. ამას თვითონ ტურისტულ სააგენტოებში ამბობენ. არადა, უცხოელებისთვის ყველაზე მიმზიდველი სწორედ ეს კუთხეა. სააგენტოები არჩევანის წინაშე დგანან - ან დაცვა დაიქირაონ და ტურისტული ჯგუფების მომსახურება გააძვირონ, ან უარი თქვან ბიზნესზე და უკეთეს დროს დაელოდონ. მეტ-ნაკლებ ზარალს საქართველოს ბიუჯეტი ორივე შემთხვევაში ნახულობს. იმ ქვეყნებმა, რომელთაც უსაფრთხოების, შიდაკონფლიქტების თუ ტერაქტების პრობლემა აქვთ, ეს უკვე გამოსცადეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არ მიიჩნევენ, რომ დაცვის აყვანა საქართველოში ტურიზმის განვითარებას რამენაირად გაართულებს. "დაცვის აყვანას არავის აიძულებენ, - ამბობს მინისტრის მოადგილე დავით თოდუა, - ვისაც უნდა, იმდენად რისკავს, რამდენადაც შეუძლია. დაცვის პოლიციას ყველა საშუალება აქვს, კარგად დაიცვას ნებისმიერი ობიექტი. თუ ტურისტულ სააგენტოს მათი აყვანა არ უნდა, ან ტურისტების შემოყვანა უნდა შეამციროს, ან საკუთარ რისკის ფასად უნდა შემოიყვანოს ისინი." შინაგან საქმეთა სამინისტროში არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ტურისტებისთვის დაცვის აყვანის აუცილებლობა სამართალდამცავების გაუმართავი მუშაობის შედეგია. "როგორც მუშაობს ქვეყანა, ისე მუშაობს პოლიცია," - აცხადებს დავით თოდუა.

საინტერესოა, რომ ყველაფერ ამას დიდ პრობლემად საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აღიქვამს. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარის, კახა სიხარულიძის აზრით, ტურისტული ჯგუფების უსაფრთხოებისთვის დაცვის დაქირავება ქვეყნის იმიჯს არაფრით უკავშირდება.

ხარისხიანი „ხელოვნება„ მომავალში თუ გვექნება

უახლოეს დღეებში ოფიციალურად გახდება ცნობილი ხელოვნებათმცოდნეებისა და ფსიქოლოგების სპეციალური დასკვნა იმ სასკოლო სახელმძღვანელოს შესახებ, რომელიც, განათლების სამინისტროს ნებართვით, უკვე რამდენიმე წელია, დაწყებით კლასებში ისწავლება. საუბარი ეხება "ხელოვნების" იმ სახელმძღვანელოს, რომელიც, ექსპერტთა წინასწარი შეფასებით, უვარგისია.

ეთერ მამულაშვილი

უკვე რვა წელია, რაც დაწყებით კლასებში ისწავლება საგანი - "ხელოვნება", თუმცა მისი სწავლება, როგორც განათლების სამინისტროში აგვიხსნეს, ხშირად ნებაყოფლობითი ხდება. იმ სკოლებში კი, რომლებსაც არ აქვთ მუსიკისა და ხატვის მასწავლებლის შტატი (ძირითადად, რეგიონის სკოლებს), დირექციას აქვს უფლება დაუშვას ხელოვნების საგნის სწავლება. "ხელოვნების" პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის სახელმძღვანელოები 1996 წელს დაიბეჭდა და იმავე წლიდან დაიწყო მისი სკოლებში სწავლება.

ამ წიგნის შეფასების დროს ყურადღებას, ძირითადად, მის შინაარსობრივ, ტექსტუალურ და პოლიგრაფიულ მხარეზე ამახვილებენ. ექსპერტთა შეფასებით, სახელმძღვანელოს სწავლების მეთოდიკა არასწორი და გაუმართავია. ხელოვნებათმცოდნეები აცხადებენ, რომ წიგნში არ არის დაცული მასალების თანმიმდევრობა და ბავშვებს ხელოვნების ისტორიის ერთმანეთთან დაუკავშირებელ პერიოდებს ასწავლიან.

კიდევ ერთი მიზეზი, რისთვისაც ხელოვნებათმცოდნეები ამ წიგნს იწუნებენ, მის ენობრივ სირთულეს ეხება. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები იმდენად ძნელია და მეოთხე კლასის ბავშვისთვის გაუგებარი ენით დაწერილი, რომ მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებას მოსწავლეები ხშირად იზეპირებენ.

სამხატვრო აკადემიის პრორექტორმა და მხატვარმა გია ბუღაძემ, რომელიც ხელოვნების სახელმძღვანელოს ძალიან კარგად იცნობს, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ წიგნი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. "ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ სუსტი ნამუშევარია და მძიმე ენით არის დაწერილი. ხელოვნების ამ წიგნში მოცემული ტექსტები ძალიან მშრალი და არაფრის მომცემია, არადა სკოლებში ამ საგნის სწავლება, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს სახელმძღვანელო სერიოზულ გადახედვას და დახვეწას საჭიროებს", - გვითხრა გია ბუღაძემ.

ექსპერტთა ამგვარ შეფასებას განათლების მუშაკთა პროფკავშირი "ერთობაც" ეთანხმება. ისინი მოითხოვენ სასწავლო პროგრამიდან ამ სახელმძღვანელოს სასწრაფოდ ამოღებას. პროფკავშირის მასწავლებლებს სახელმძღვანელოს ლეგალურობაც აეჭვებთ. "არ არსებობს წიგნის წარმომავლობის ოფიციალური დოკუმენტი. სახელმძღვანელოს არ გაუვლია სათანადო აპრობაცია. გარდა ამისა, ხელოვნება მხოლოდ მუსიკა, კინო და მხატვრობა არ არის, ამ წიგნში კი ბავშვებს მხოლოდ ამას ასწავლიან", - აცხადებენ პროფკავშირში.

განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ მართალია, სახელმძღვანელო არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ მისი ერთი ხელის მოქნევით სანაგვეზე გადაგდებაც არ შეიძლება. "უმაღლესი დონისა და ხარისხიანი წიგნების გამოცემას გარკვეული დრო და გამოცდილება სჭირდება, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის ისტორია ჩვენში სულ რამდენიმე წელს ითვლის", - განაცხადა განათლების მინისტრის მოადგილემ, ვოვა სანაძემ "24 საათთან" საუბრის დროს. სანაძისგან ისიც შევიტყეთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს "ხელოვნების" ახალ სახელმძღვანელოებზე მუშაობა, რომლებიც, სავარაუდოდ, 2005-2006 წლებისთვის იქნება მზად.

როგორ ვიცხოვროთ „ამხანაგობით„

საცხოვრებელი სახლების მოწესრიგებული, გაკრიალებული კარ-მიდამო, სხვადასხვა მცენარეებითა და ყვავილებით გალამაზებული ეზოები, რომლებიც ყველას ძალიან მოგვწონს, ძირითადად, განვითარებული ქვეყნების ფუფუნებაა. ეს ის შემთხვევაა, როცა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ისევე როგორც ხელისუფლება, ალბათ, ნაკლებადაა "დამნაშავე". ელემენტარული ჰიგიენის ნორმები საზოგადოებამ უნდა დაიცვას, საზოგადოების თითოეულ წევრზეა დამოკიდებული, ექნება თუ არა მას სუფთა, მოწესრიგებული კარ-მიდამო.

ირინე სანებლიძე

საქართველოში ამოქმედდა "საბინაო ამხანაგობის წესდება", რომლის დაარსებისთვის საკმარისია ერთი საცხოვრებელი სახლის მეზობლების უმრავლესობის სურვილი. "საბინაო ამხანაგობის" წესდება ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანომ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს. იურიდიულად გაფორმების შემდეგ კი მეზობლებმა საერთო კრება უნდა მოიწვიონ, რომელზეც "საბინაო ამხანაგობის" თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და ბუღალტერს აირჩევენ. კრებაზევე გაირკვევა და გადანაწილდება წევრთა უფლება-მოვალეობები, საცხოვრებელი სახლის მოვლა-პატრონობის პირობები და ლამაზად ცხოვრებისთვის შრომითი მონაწილეობის სხვა დეტალები.

აღსანიშნავია, რომ "საბინაო ამხანაგობა" საერთო სარგებლობის ადგილებში ტერიტორიის სანიტარულ დასუფთავებასა და სხვადასხვა მცენარეებითა და ყვავილებით ეზოს გალამაზებას უზრუნველყოფს.

საცხოვრებელ სახლში თითოეულ ოჯახზე დაწესებული, წინასწარ შეთანხმებული თვიური გადასახადის ხარჯზე, შესაძლებელია მესაკუთრეთა და მათი ოჯახის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით - ბიბლიოთეკებით, სამრეცხაოებით, საბავშვო, სათამაშო და სპორტული მოედნებით, მოსასვენებელი ადგილებით, ფიზკულტურ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებით უზრუნველყოფა.

ვიდრე აღნიშნულ ფუფუნებაზე ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ ოცნება შეუძლია, "საბინაო ამხანაგობის წესდება" მას რეალურ სამსახურს სთავაზობს. კომუნალურ საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შესაძლებელია ტექნიკური მომსახურებისა და მცირე სარემონტო სამუშაოების შესრულება.

ამ ხელშეკრულებებს "საბინაო ამხანაგობა" "სერვისულ ცენტრებთან" (იგივე სახლმართველობებთან) წელიწადში ერთხელ ნებაყოფლობით აფორმებს. მომსახურეობის გადასახადია ერთ კვადრატულ მეტრზე სამი თეთრი (100 კვადრატული მეტრი ბინის მფლობელებმა თვეში სამ ლარი უნდა გადაიხადონ). მომსახურეობის გადასახადის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს კაპიტალურ რემონტს თუ სხვადასხვა ძლიერი დაზიანებების შესაკეთებელ სამუშაოებს. ხელშეკრულების თანახმად, "სერვისული ცენტრების" თანამშრომლები მხოლოდ მსუბუქ დაზიანებებს აგვარებენ. "სერვისული ცენტრის" თანამშრომლის მომსახურება, მაგალითად, წყალსადენი მილის შეკეთებისას, უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ინდივიდუალურად მოწვეული ხელოსნის სამუშაო",- გვითხრა ვაკე-საბურთალოს რაიონის სტუდქალაქის "სერვისული ცენტრის" მთავარმა ინჟინერმა.

ომბუდსმენი და სამხედრო პროკურორი სასამართლო ბატალიებისთვის ემზადებიან

პირველი გვერდიდან

მან უკვე მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და გია ჯიქიას საქმის არაობიექტურად შესწავლისა და ჩეჩნების ექსტრადაციასთან დაკავშირებული დარღვევების გამო, სამხედრო პროკურორთან ერთად, გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაც მოითხოვა.

როგორც ცნობილია, ნანა დევდარიანი მთავარ სამხედრო პროკურორს კორუფციასა და დანაშაულებრივ სამყაროსთან გარიგებებში ადანაშაულებს, ხოლო ამის დასადასტურებლად არაერთი ფაქტი მოჰყავს. თუმცა, მის ბრალდებებს დაუპირისპირდა გენერალური პროკურატურის უშუალოდ ამ ბრალდებების გამოსაძიებლად შექმნილი კომისიის დასკვნა, რომლის თანახმადაც, ყველა წარდგენილ ბრალდებაში გია ჯიქია უბრალოა. ჯიქიამ, კოლეგა-პროკურორებისგან შემდგარი კომისიის მიერ გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, სასამართლოს მიმართა და ნანა დევდარიანისგან ბრალდებების საჯაროდ უარყოფა მოითხოვა. რაც შეეხება ბოდიშის მოხდას, სამხედრო პროკურორის ადვოკატის თქმით, სახალხო დამცველისგან ჯიქია ამას ჯენტლმენური მოსაზრებების გამო არ ითხოვს. მას ხომ საქმე სუსტი სქესის წარმომადგენელთან აქვს.

მთავარი სამხედრო პროკურორის სარჩელის არსებით განხილვამდე მოსამზადებელი სხდომის ჩატარება მოპასუხე დევდარიანის ადვოკატების, ზვიად კორძაძისა და თინათინ ხიდეშელის, ინიციატივით მოხდა. ამგვარი მოთხოვნის საფუძველი კი სარჩელში აღმოჩენილი უზუსტობები გახდა.

ზვიად კორძაძის თქმით: **“სარჩელში მითითებული მოპასუხის მისამართი არ შეესაბამება ნანა დევდარიანის არც ბინის, არც სამუშაო ადგილის მისამართს. გარდა ამისა, სარჩელი შედგენილია მოქალაქე ნანა დევდარიანის მიმართ. შესაბამისად, განსაზღვრული არ არის, ვის უჩივის ჯიქია: ნანა დევდარიანს, როგორც ომბუდსმენს, თუ როგორც რიგით მოქალაქეს. მოპასუხის სტატუსის განსაზღვრას საქმის არსებითად განხილვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს”.**

ზვიად კორძაძე, ნანა დევდარიანი და თინათინ ხიდაშელი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თავად ნანა დევდარიანი ამბობს, რომ ყველა მისი განცხადება, რომელიც გია ჯიქიასკენ იყო მიმართული, მან გააკეთა, როგორც ომბუდსმენმა და დოკუმენტები, რომლებიც მის სიმართლეს ადასტურებს, რიგით მოქალაქეს ვერ ჩაუვარდებოდა ხელში. საბოლოოდ მომჩივანი მხარის ადვოკატმა განმარტა, რომ სარჩელი ომბუდსმენის წინააღმდეგაა შეტანილი, ხოლო არაზუსტად მითითებული მისამართი, შესაძლოა, მექანიკური შეცდომაც კი იყოს; თუმცა, მათ ეს მონაცემები შესაბამისი ორგანიზაციიდან მიიღეს.

კონკრეტულ საკითხებზე ადვილად შეთანხმებული მხარეები არ აყვნენ მოსამართლე პაატა ნოზაძის შემრიგებლურ წამოწყებას და მორიგების გზით დავის გადაწყვეტაზე უარი განაცხადეს. საბოლოო გადაწყვეტილების თანახმად, მთავარი სამხედრო პროკურორის ადვოკატი ორშაბათისთვის სასამართლოს დაზუსტებულ სარჩელსა და იმ ვიდეო-ჩანაწერებს წარუდგენს, რომლებზეც, სარჩელის თანახმად, ნანა დევდარიანის მიერ გამოთქმული ცილისმწამებლური განცხადებებია დაფიქსირებული და რომლებსაც სასამართლომდე ამდენი ხანია, რატომღაც, არ მიუღწევიათ.

“კეთილი ინებოს ნანა დევდარიანმა და პასუხი აგოს იმ ცილისმწამებლური კამპანიისთვის, რომელიც ჩემს წინააღმდეგ ააგორა. მე არ მინდოდა ყველაფრისთვის ამგვარი სახე მიმეცა, ვცადე კიდეც, რომ სხვანაირად მომეგვარებინა კონფლიქტი – რამდენჯერმე მივმართე შეხვედრის თხოვნით, ბოლოს წერილობითაც კი გავაკეთე ეს. დევდარიანმა დიალოგზე წამოსვლა არ ისურვა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ ყოველივეს სულ სხვა სუნი უდის”, - ამბობს გია ჯიქია.

“ახლაც არ ვიცი, რატომ გამიკეთა გია ჯიქიამ ამ სასამართლოს სახით საჩუქარი. ეს შესანიშნავი საშუალება იქნება, რომ ხალხმა მისი მოღვაწეობის შესახებ ყველაფერი გაიგოს, - აცხადებს ნანა დევდარიანი, **- მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სამხედრო პროკურორი სარჩელის შეტანისას საკითხის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა. ის, უბრალოდ, ფიქრობდა, რომ მე იმუნიტეტს გამოვიყენებდი და სასამართლოს თავს ავარიდებდი. მაგრამ არ გამოუვიდა. მთელი უბედურება კი ის არის, რომ გია ჯიქიამ ძალიან კარგად იცის, რომ მე – ომბუდსმენს - ვერაფერს დამაკლებს, მაგრამ ეს სასამართლო საზოგადოებისა და პრესის დაშინებისკენ არის მიმართული, რათა ამიერიდან ვერავინ გაბედოს თანამდებობის პირთა ბნელი საქმეების გამოაშკარავება”.**

„კომანდოს„ ბატალიონიდან ოფიცერი გაიქცა

გუშინ საღამოსთვის არც სამხედრო ხელმძღვანელობასა და ვერც სამართალდამცველებს ჯერაც არ ჰყავდათ ნაპოვნი “კომანდოს” ბატალიონიდან გაქცეული ოფიცერი გიორგი შეყილაშვილი.

მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას თქმით, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მისი ადგილსამყოფელის დასადგენად, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ.

“კომანდოს” ბატალიონის მეორე ასეულის კაპრალმა გიორგი შეყილაშვილმა კრწანისის პოლიგონზე განლაგებული ბატალიონი სამშაბათს, საღამოს თვითნებურად დატოვა. ბატალიონის ხელმძღვანელობის შეშფოთება გასაგები იყო, რადგან უმცროსი ოფიცრის თვითნებობას თან იარაღის წაღებაც დაერთო. თუმცა, იარაღს გაქცეულის დეიდასთან მალევე მიაგნეს.

შეყილაშვილის გაქცევის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთის თანახმად, მას ბატალიონში ჩაგრავდნენ, სცემდნენ და შეურაცხყოფას ველარ გაუძლო. ამ ვერსიის უარყოფას სამხედრო პროკურორი ასეთი არგუმენტით ცდილობს:

“შეყილაშვილი ახალწვეული ხომ არ იყო. ის საკმაოდ გამოცდილი სამხედრო მოსამსახურეა - სამხედრო სამსახური 1996-98 წლებში აქვს გავლილი – შესაბამისად, იცის კიდეც, როგორ უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ, თანამომსახურემ ან ზემდგომმა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გაქცევით ხომ საქმეს ირთულებს”.

სხვა ვერსიის თანახმად, შეყილაშვილს ოჯახური პრობლემები აქვს, ამიტომ გაიქცა და მალევე დაბრუნდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს, ნოდარ ეფრემიძეს კი სამხედრო ნაწილში აცნობეს, რომ შეყილაშვილმა სამშაბათს დილით ასმეთაურს ცუდად ყოფნა შესჩივლა და საბრძოლო მომზადებიდან გათავისუფლება სთხოვა. ასმეთაური დათანხმებულა და ისიც უთქვამს, თუ საღამოსაც ვერ იგრძნობ თავს კარგად, ჰოსპიტალში დაწექიო. საღამოს კი შეყილაშვილი გაუჩინარებულა.

“ამ ვერსიის ნაკლებად მჯერა, - ამბობს ეფრემიძე, **- მაგრამ, სანამ შეყილაშვილი არ გამოჩნდება, რაიმეს გარკვევა ძნელია. ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება – რომ ის ბოროტმოქმედი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღს არ დატოვებდა, რომ შემდეგ სამხედრო ნაწილში მიეტანათ. დარწმუნებული ვარ, შეყილაშვილი მალე გამოჩნდება. მე ის უფრო მაფიქრებს, რომ ასეთი ინციდენტი “კომანდოს” ბატალიონში მოხდა, რაც მავან პოლიტიკოსს ამერიკული პროგრამის სიავეზე აალაპარაკებს. ეს ბატალიონი ხომ “წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამის ფარგლებშია შექმნილი”.**

ექსტრადირების გასაჩივრების პრეცედენტი - იმედი ექვსი ჩეჩენი პატიმრისა

ევროსასამართლომ ჩეჩნების ექსტრადირებასთან დაკავშირებული დარღვევების ნუსხა სახალხო დამცველისგანაც მიიღო

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოში უკვე შეიქმნა გენერალური პროკურატურის მიერ პატიმრის ექსტრადირების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების პრეცედენტი. ამიტომაც ადამიანის უფლებების ქართველი დამცველები აღარ შეუშინებია ევროსასამართლოს მხრიდან საქართველოში დარჩენილი ჩეჩენი პატიმრების ექსტრადირებაზე გამოცხადებული მორატორიუმის გაუქმებას.

4 ოქტომბერს ევროსასამართლოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის გამოგზავნილი რეკომენდაცია, დროებით შეაჩერონ თბილისის საპყრობილეში დარჩენილი ჩეჩენი პატიმრების ექსტრადირება, ძალაში აღარ არის. მეტიც, სტრასბურგის სასამართლო ამ საკითხის განხილვას აღარ მიუბრუნდება. ცხადია, ადამიანის უფლებების ევროპელ დამცველებს პოლიტიზირებულობას ვერავინ დასწამებს. მათ, უბრალოდ, იმ გადაწყვეტილების სამართლიანობაზე მსჯელობა არ სურთ, რომელიც ჯერ გამოტანილიც კი არ არის. სამაგიეროდ, დეკემბრის დასაწყისში ევროსასამართლო განიხილავს იმ 5 ჩეჩნის ექსტრადიციის კანონიერებას, რომლებიც უკვე რუსეთში იმყოფებიან.

რაც შეეხება, საქართველოში დარჩენილ ჩეჩნებს, მათი რიცხვი 8-დან 6-მდე შემცირდა. უფრო ზუსტად, გენერალურმა პროკურატურამ ბოლოს და ბოლოს დაასრულა ორი მათგანის ვინაობის დადგენის პროცედურა და დარწმუნდა, რომ ისინი ნამდვილად ქისტები და ნამდვილად საქართველოს მოქალაქეები არიან, რაც ავტომატურად ხსნის მათი ექსტრადირების საშიშროებას. რაც შეეხება ექვს ჩეჩენ პატიმარს, მათი ბრალეულობის დასადასტურებლად რუსეთის გენპროკურატურიდან მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტები უკვე მიიღეს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და ახლა, ოფიციალურ პირთა განცხადებით, მათი შესწავლა მიმდინარეობს. ჩეჩნების ექსტრადირების საკითხი ახლა მთლიანად საქართველოს მხარეზეა დამოკიდებული, ოღონდ - არა მხოლოდ პროკურატურაზე. საექსტრადიციოდ გამზადებულ პირს უფლება ეძლევა, რომ გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სულ ცოტა, ორ სასამართლო ინსტანციაში, სასამართლოების მხრიდან არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კი უკვე ისევ ხდება შესაძლებელი ევროსასამართლოსთვის მიმართვა. ამ შემთხვევაში მათ იგივე უფლებები ენიჭებათ, რაც უკვე ექსტრადირებულ ხუთ ჩეჩენს, რომელთა პროცესიც ევროსასამართლოში 5 დეკემბრისთვის არის ჩანიშნული. ამ პროცესში მესამე მხარედ ჩართვა ითხოვა საქართველოს სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა. იგი ახლახან იმყოფებოდა სტრასბურგში, სადაც სასამართლოს ჩეჩნების ექსტრადირებასთან დაკავშირებული დარღვევების დეტალური ნუსხა წარუდგინა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია ის უზუსტობები, რომლებიც დაკავებულთა ვინაობის დადგენაში არსებობს და რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს რუსეთში დანაშაულების ჩამდენი ჩეჩნების გაიგივებას საქართველოდან უკვე ექსტრადირებულ (თუ ჯერ კიდევ აქ მყოფ) პატიმრებთან. ამ უზუსტობების შესახებ “24 საათი” უკვე წერდა. ამას გარდა, ნანა დევდარიანის მიერ ევროსასამართლოში წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია: საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომელთა ზეპირი განმარტებით, რუსმა სამართალდამცველებმა საქართველოში დაკავებულ ჩეჩნებში მათ მიერ ძებნილი პირები ფოტოსურათების დახმარებით ამოიცნეს. ეს კი, სახალხო დამცველის აზრით, უკანონოა, რადგან ფოტოსურათით ამოცნობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოსაცნობად წარდგენილ პირთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეუძლებელია მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობისა და მასთან კონტაქტის შეუძლებლობის გამო. ქართული და რუსული მხარეების მიერ ამ მუხლის უგულებელყოფა ომბუდსმენს მინსკის კონვენციისა და რუსეთ-საქართველოს გენერალურ პროკურატურებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე დადებული ხელშეკრულების დარღვევად მიაჩნია.

გაითვალისწინებს თუ არა ევროსასამართლო საქართველოს ომბუდსმენის მიერ წარდგენილ დოკუმენტს, ამის შესახებ, ცხადია, სასამართლო პროცესის შემდეგ გახდება ცნობილი. რაც შეეხება დოკუმენტში დაფიქსირებულ დარღვევებს საქართველოს მხრიდან, ამის გამო ნანა დევდარიანი საქართველოს პარლამენტსაც მიმართავს. ჩეჩნებთან მიმართებაში დაშვებული შეცდომები ერთ-ერთია იმ საკითხთა შორის, რომელთა გამოც სახალხო დამცველი საქართველოს გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს.

ქუთაისის საპყრობილის დირექტორი და მისი ხელქვეითები პატიმართა გაქცევას გადააყოლეს

მიმდინარე წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან პატიმართა 15 გაქცევა მოხდა. გაქცევის 11 მცდელობა კი დაწესებულების თანამშრომლებმა აღკვეთეს. მართალია, იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ თითოეული ფაქტი ცალ-ცალკე შეისწავლა და ყველა თანამშრომელს, რომელთა დაუდევრობამ, სამსახურებრივმა გულგრილობამ თუ სხვა მიზეზებმა გაქცევას ხელი შეუწყო, შესაბამისი სასჯელებიც ჩამოურიგა (დისციპლინური სასჯელები დაეკისრა და სამსახურიდან დაითხოვეს ათობით თანამშრომელი), მაგრამ ქუთაისის N2 საპყრობილედან ბოლო პერიოდში მომხდარი სამი პატიმრის გაქცევის, თუ გაშვების ფაქტს სამინისტროს ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული შეფასება მისცა.

თამარ კაციტაძე

გუშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილეებმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გენერალური ინსპექციის მიერ საკუთარი თანამშრომლებისადმი შედგენილი საბრალდებო დასკვნა მოისმინეს.

როგორც გენერალური ინსპექციის უფროსმა გიორგი ღვინიაშვილმა აღნიშნა, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევმა, ამჟამად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებებისათვის განსასჯელებმა - ელვარდ გაბიანმა და ავთანდილ მჭედლიძემ მოსალოდნელ სასჯელს თავი წყალტუბოს ბადრაგირების სამსახურის თანამშრომელთა გულგრილობის წყალობით დააღწიეს. როგორც მოკვლევით დადგინდა, ბადრაგმა მინისტრის მიერ დადგენილი ბრძანებულება, ფაქტობრივად, არ შეასრულა. კანონით, ერთ განსასჯელს, ბადრაგირებისას, მინიმუმ, სამი თანამშრომელი უნდა იცავდეს. მაგრამ იმ დღეს, როდესაც გაქცევა მოხდა, 14 უმძიმესი დამნაშავეს, რომლებიც უზენაესი სასამართლოს გამსვლელ სხდომას უნდა გაესამართლებინა, ბადრაგის მხოლოდ 15-მა თანამშრომელი ახლდა თან. სხვათა შორის, ქუთაისის საპყრობილის ხელმძღვანელობამ მოგვიანებით თავის მართლება სწორედ კადრების უკმარისობით სცადა, მაგრამ, როგორც გენერალური ინსპექცია ირწმუნება, ამგვარი პრობლემა საპყრობილეში არ არსებობს (იქ ბადრაგის 75 თანამშრომელი ჰყავთ). საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. სასჯელაღსრულების დაწესებულებამ, თურმე, საპყრობილის ხელმძღვანელობას რამდენიმე თვით ადრე რამდენჯერმე შეატყობინა, გაბიანი და მისი თანამზრახველები სასამართლოს შენობიდან გაქცევისთვის ემზადებიან და განსაკუთრებულ კონტროლზე გყავდეთო. მაგრამ...

უშუალოდ გაქცევა ასეთ გარემოებაში მოხდა. ამონაწერი მოხსენებიდან: **“სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, ყარაულის უფროსის დადუნაშვილის მითითებით ყარაულის უფროსის თანაშემწე შვანგირაძემ, კაპანაძემ და ოთხმა ბადრაგმა ხელბორკილებდადებული ექვსი განსასჯელი სხდომის დარბაზიდან პატიმართა განთავსების საკანში გადაიყვანეს. მოგვიანებით შვანგირაძე განსასჯელებთან მარტო დარჩა. მან პატიმრებს ხელბორკილები შეხსნა და გაბისონია და მჭედლიძე ერთადერთ გუშაგს - ბიწაძეს პატიმართა განთავსების მეორე ოთახში გადასცა”** (სტილი დაცულია). სწორედ ამ დროს ორივე განსასჯელმა წინასწარ გადახერხილი ფანჯრის გისოსები გაღუნა (თუ ვინ გადახერხა გისოსები, პროკურატურა იძიებს) და გაიქცა. ორივე პატიმარი დღემდე იძებნება.

კიდევ უფრო საინტერესოდ დააღწია თავი პატიმრობას გიორგი აბესაძემ. როგორც გაირკვა, მას საჩხერის სასამართლო ხულიგნობისთვის, ხოლო ჭიათურისა — ყაჩაღობისთვის ასამართლებდა. 7 ნოემბერს საჩხერის სასამართლომ აბესაძე თავდებით გაათავისუფლა და განაჩენი აღსასრულებლად საპყრობილის ხელმძღვანელობას გადაუგზავნა. საპყრობილის უფროსს ტულუშსა და მის ქვემდგომთ კი, რატომღაც, არც გახსენებიათ, რომ აბესაძეს ჭიათურის სასამართლო უფრო მძიმე დანაშაულისთვის ასამართლებდა და იგი ოფიციალურად გაათავისუფლეს.

ერთი სიტყვით, ქუთაისის №2 საპყრობილის თანამშრომლები იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ სწორედ ზემოთ მოყვანილი ბრალდებების გამო “გაასამართლა”.

საბოლოო განაჩენით თანამდებობებს დაემშვიდობნენ საპყრობილის დირექტორი ტულუში და მისი მოადგილე ლომიძე. უფროსების ბედი გაიზიარეს წყალტუბოს ბადრაგის ხელმძღვანელობამ და იმ გუშაგებმა, ვისაც უშუალოდ ევალებოდათ განსასჯელთა დაცვა. თუმცა, სასჯელაღსრულების კანონდამრღვევ თანამშრომელთა დასჯა ამით არ მთავრდება. მათ საქმეს ქუთაისის საოლქო პროკურატურა იძიებს და არ არის გამორიცხული, რომ გაქცეულ პატიმართა ადგილები სწორედ მათ დაიკავონ.

ბრალმდებლის როლში გამოსულმა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კახა კობერიძემ გუშინ არც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ის მოადგილე დაინდო, რომელიც ბადრაგისა და უსაფრთხოების სფეროს კურირებს. ლევან გოგოლაურს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს. სხვათა შორის, პატიმრის გაქცევის გამო, ასეთი მაღალი თანამდებობის პირი პირველად დაისაჯა. რა შედეგს გამოიღებს სადამსჯელო ზომები, მომავალი გვიჩვენებს.

პოლიციურ ვესტერნს წმენდა მოჰყვება

ხათუნა ჯანგირაშვილი

“პოლიცია ის ორგანოა, რომელიც წესიერების, პატიოსნებისა და წესრიგის ნიმუში უნდა იყოს ყველასთვის, ულირსები და წესრიგის დამრღვევები უნდა დაისაჯონ”, – ასეთი კატეგორიულია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავას მოთხოვნა საკუთარი კოლეგების მიმართ. ჯინჯოლავას გათვლებით, დამნაშავე სამართალდამცველებისგან პოლიციის რიგები თანდათან გაიწმინდება და გათავისუფლდება. ეს ყველაფერი კი პატიოსანი, წესიერი და პროფესიონალი სამართალდამცველების გადაწყვეტილებით მოხდება.

გენერალური ინსპექციის უფროსი შინაგან საქმეთა მინისტრს ხოტბას ასხამს და ორი დღის შემდეგ ჩასატარებელი საგანგებო კოლეგიისთვის მას გორში მომხდარი პოლიციური ანგარიშსწორების ფაქტზე ჩატარებული მოკვლევის მასალებსა და დასასჯელ პოლიციელთა არც ისე მცირერიცხოვან სიას უმზადებს. ვის მიაყოლებენ გორში მომხდარი ინციდენტისთანავე თანამდებობიდან სასწრაფოდ მოხსნილ სამხარეო პოლიციის უფროსს ნოდარ დალაქიშვილს, ვის დასჯიან და ვის შეუნარჩუნებენ თანამდებობებს, ამას შინაგან საქმეთა მინისტრი პარასკევის საგანგებო კოლეგიაზე გადაწყვეტს.

დავით ჯინჯოლავას სამსახური საეჭვოდ მიიჩნევს გავრცელებულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ერთმანეთს დარეული პოლიციელების სისხლიანი შეტაკების მიზეზი უბრალო ავტო-საგზაო შემთხვევაა. **“ჩვენ სხვა, უფრო რეალურ ვერსიაზე ვმუშაობთ. გარკვეულმა გარემოებებმა ხელი შეგვიშალა, რომ მაშინვე დაგვედგინა, რა მოხდა სინამდვილეში”,** – აცხადებს გენერალური ინსპექციის უფროსი და ვერსიას, რომელზეც მისი სამსახური მუშაობს, ჯერჯერობით, მკაცრად ასაიდუმლოებს. **“ჩვენ ვართ იურისტები, გვაქვს საკუთარი მოსაზრებები, ინტუიცია და ინფორმაციები, რომელთა მიხედვითაც დავადგენთ სიმართლეს და დასასჯელს უმკაცრესად დავსჯით”,** – იმუქრება დავით ჯინჯოლავა და ამბობს, რომ ხელჩართული ჩხუბი კოლეგებს შორის არა მარტო პოლიციაში, არამედ სხვა უწყებებშიც ხშირად ხდება. **“თავ-ყბას სხვებიც უნგრევენ ერთმანეთს,”** - არც თუ ირონიის გარეშე შენიშნავს ჯინჯოლავა.

რაც შეეხება გორის ცენტრში ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოლიციელთა შორის მომხდარ შეტაკებას, მასში რვა სამართალდამცველი მონაწილეობდა. კონფლიქტის დაწყების ზუსტი დრო გენერალურ ინსპექციას უკვე დადგენილი აქვს. ჯინჯოლავა არ გამორიცხავს, რომ 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს, პოლიციელები ნასვამ მდგომარეობაშიც იყვნენ. ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული, მხოლოდ სამსახურებრივი იარაღებიდან გასროლით მიყენებული მძიმე ჭრილობებით მოათავსეს დაჭრილი კოლეგები საავადმყოფოებში, თუ სხვა იარაღიც იყო გამოყენებული. სამაგიეროდ, გენერალურმა ინსპექციამ გაარკვია, რომ თავდაპირველად სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გახსნეს ცეცხლი. ოთხი-ოთხზე – ასეთი იყო ძალთა შეფარდება.

გოჩა სიმონიშვილი და დავით ჯინჯოლავა

[illegible] გულაშვილის ფოტო

ჯინჯოლავას განცხადებით, შეტაკების რეალური მიზეზის ოპერატიულად დადგენას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ დაჭრას გადარჩენილი შეტაკების მონაწილე პოლიციელები მაშინვე მიიმალნენ. **“როგორც კი გაიგეს, რომ საქმეში გენერალური ინსპექცია ჩაერია, მაშინვე გამოჩნდნენ და აგვიხსნეს, სიტუაცია რომ არ გაგვერთულებინა, რაჭაში წავედითო. მათ უკვე მოგვცეს ახსნა-განმარტებები”,** – ასეთია გენერალური ინსპექციის მონაცემები ინციდენტიდან სამი დღის თავზე.

ერთი სიტყვით, ხვალ საღამოს გენერალური ინსპექციის უფროსს გორში მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების შესახებ დასკვნა მზად ექნება. ამ დასკვნას კი პოლიციური წმენდა მოჰყვება.

კრიმინალურ სამყაროსთან დაპირისპირება მკვლელობით დასრულდა

საქართველოში ბოლო პერიოდში საგრძნობლად გახშირდა საქმიანი გარჩევების მოტივით განხორციელებული მკვლელობები, რომელთა უმრავლესობაც, ძირითადად, გაუხსნელი რჩება. გაიხსნება თუ არა თელავში მომხდარი ბიზნესმენ ვლადიმერ გოშაშვილის მკვლელობა, წინასწარ ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ცხელ კვალზე მოპოვებული მასალები ამის იმედს ნაკლებად იძლევა.

ვლადიმერ გოშაშვილი, რომელიც წარსულში “ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაში” მუშაობდა, ამჟამად კი სხვადასხვა სახის მცირე ბიზნესით იყო დაკავებული, საკუთარი სახლის წინ ჩაცხრილეს. თვითმხილველთა თქმით, გოშაშვილს ორი პიროვნება ავტომატური იარაღიდან ესროდა.

ქალაქში გავრცელებული ხმებით, გარდაცვლილი კრიმინალურ სამყაროსთან დაპირისპირებას შეეწირა, რაც მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიწყო. თელავის პროკურორი ვაჟა მაღრაძე აღნიშნულ ვერსიას არ გამორიცხავს, თუმცა აღნიშნავს: “გამოძიება კიდევ რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, რომელთა დასახელებისგანაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე თავს შევიკავებ”. ორდღიანი მუშაობის შემდეგ გამოძიებას “აკს”-ის შვიდი მასრა და ერთი ტყვია გააჩნია, რომელიც შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს. არსებობს მკვლელობის თვითმხილველიც. პროკურორის თქმით, სამართალდამცველები ამჟამად დამნაშავეთა აღწერილობას ადგენენ და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში მკვლელების ვინაობაც გამოააშკარაონ.

ნავთობსადენი – კოლონიური არასრულფასოვნებისგან გათავისუფლების ტესტი

პირველი გვერდიდან

მეტოქეების ლიდერებმა იქვე დაინაწილეს ერთმანეთი საკამათოდ და ხუთწუთიანი შუალედებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. კორპორაციის შენობის წინ, დაახლოებით, ნახევარსაათიანი სპარინგი მძაფრად (ზოგჯერ გინების მოშველიებით) დაიწყო. მაგალითად, ასეთი ნერვიული დიალოგი:

აქციის მონაწილეები – მწერალი დავით ტურაშვილი და ჟურნალ "დრო მშვიდობისას" რედაქტორი ირაკლი კაკაბაძე: "გაურკვეველ აგენტებზე რომ ლაპარაკობს, თვითონ არის გია ჭანტურია რუსეთის აგენტი... წესიერად მოიქცეს. მაგან რაც თქვა, ეგ არის სწორედ მტრობა."

სნსკ-ს თანამშრომელი: "ამ დემონსტრაციებს თავი გაანებეთ. მაგან დაგვღუპა. ეგ აწყობს სწორედ რუსეთს."

აქციის მონაწილე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელის რეგიონული კოორდინატორი მანანა ქოჩლაძე: "ჩვენ მოვითხოვთ, უპირველესად, საქართველოს მთავრობისგან ჩვენი უფლებების დაცვას. ბატონმა გია ჭანტურიამ კი საკუთარ თავზე აიღო ღმერთზე მეტი ფუნქცია. რას ნიშნავს – რისკი იქნება ნოლს მინუს ერთი?"

სნსკ-ს აპარატის უფროსი გულნაზ გალდავა: "სწორედ ახლა "ბი-პის" ოფისში მიმდინარეობს განხილვა ყველა მხარის მონაწილეობით. მე გთავაზობთ, რომ წავიდეთ და იქ მოგეცემათ საშუალება, თქვენი შეხედულებები გამოთქვათ. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს."

მთელი ნახევარი საათი "ბორჯომის" გულშემატკივრები ნიდერლანდებისა თუ საფრანგეთის დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნებს იშველიებდნენ, სნსკ-ს თანამშრომლები კი - ამერიკელი თუ ბრიტანელი ექსპერტების რეკომენდაციებს. თან აქციის მონაწილეებს ჯერ მართვადობაში, მერე კი პრობლემის ზერელე ცოდნაში სდებდნენ ბრალს. გარემოსდაცვით არგუმენტებს პოლიტიკურით პასუხობდნენ. უცნაური იყო, რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (სნსკ) ოფისთან? მისი თავკაცის გია ჭანტურიას დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს ნავთობსადენის პროექტზე პასუხისმგებელ მხარეს. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა მათ განსაკუთრებული როლი მიუჩინა ამ საქმეში. უბრალოდ, პროექტის დამუშავების პერიოდში პრივილეგირებული მდგომარეობისა და აქტიურობის გამო, სნსკ "ბრიტიშ პეტროლიუმის" ადგილობრივ კონტრაქტორობას მოელის. ეს კი, საინვესტიციო თანხების მნიშვნელოვანი წილის განკარგვას ნიშნავს.

ბოლოს პაექრობა საქართველოსა და ჭეშმარიტების სიყვარულის დემონოპოლიზაციის აღიარებით დამთავრდა. ორივე მხარემ გადაწყვიტა "ბი-პის" ოფისთან გადანაცვლება. იქ მართლაც მიმდინარეობდა "ბრიტიშ პეტროლიუმის", გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მსოფლიო ბანკის საექსპერტო ჯგუფის, სნსკ-ისა და მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობის დილას დაწყებული განხილვა. როგორც მოსალოდნელი იყო, აქციის მონაწილეების წარმომადგენლობაც კი არ დაასწრეს შეხვედრას საკუთარი პოზიციის გამოსახატად. მათ პროტესტზე პასუხის გასაცემად, თითქმის ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ, სნსკ-ის პრეზიდენტი გია ჭანტურია და გარემოს დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე გამოვიდნენ.

საქართველოს პრეზიდენტის ფავორიტმა გია ჭანტურიამ მოკლე "ანგარიში ჩააბარა" მომხდურებს. კერძოდ, გუშინდელი განხილვა დაიწყეს მილსადენების მარშრუტებით და ლიად დაუტოვებიათ ყარა-ყაის სამხრეთ ფერდობის საკითხი, შესაძლო გვირაბის პროექტთან ერთად. სწორედ ყველაზე მწვავე – ალტერნატიული მარშრუტების განხილვა შედგება პარასკევს. შედგა ტელეხიდი ლონდონში მყოფ ექსპერტებთან, რომლებსაც გამოკითხეს რისკების შეფასების მეთოდოლოგია. გია ჭანტურიას თქმით, გამოიკვეთა სამი საკითხი: აგრარულ საქმიანობასთან თავსებადობა, მილსადენის კოროზიისგან თავდაცვა და მდინარეთა გადაკვეთის საინჟინრო გადაწყვეტა. პირველს ღრმა ჩამარხვით გადაჭრიან, მეორეს - დამატებითი შეფუთვით, შიდასადიაგნოსტიკო ელექტრონულ-ოპტიკური მოწყობილობებითა და შედუღების ავტომატიზაციით, რასაც შეერთების ადგილების რენტგენოგრამებით შეამოწმებენ. მდინარეების ყოველი გადაკვეთის ადგილისათვის კი ცალკე პროექტი შემუშავდება.

სნსკ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დღეს ამერიკელ ექსპერტებთან ტელეხიდის მეშვეობით დასრულდება გეოლოგიური და სეისმური საშიშროების საკითხების განხილვა. "ჰოლანდიელი და ფრანგი ექსპერტების დასკვნებში მითითებულ, განსაკუთრებით საფრთხილო კოდიანას მონაკვეთზე შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია," – განაცხადა გია ჭანტურიამ. რაც შეეხება ნავთობის დაღვრის პრობლემას, მან ახარა აქციის მონაწილეებს, რომ აქამდე გაუთვალისწინებელი (?) უზუსტესი სენსორების (აღმრიცხველების) სისტემა მთელი მილსადენის გასწვრივ დამონტაჟდება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე აქცენტს გადაწყვეტილების პასუხისმგებლობაზე აკეთებდა: "ბი-პისთვის" ოფიციალურად გადაცემულ 32 ფუნდამენტურ შეკითხვაზე ასევე ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია. ხუთშაბათს დილისთვის დაგვპირდნენ. ახლა მიმდინარეობს განხილვის ნორმალური პროცესი. ჩვენი ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის თანახმად, ჩვენმა ექსპერტებმა უნდა გააანალიზონ მიღებული პასუხები, რათა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები." მისი თქმით, 32-ივე კითხვაზე არადამაკმაყოფილებელი პასუხის შემთხვევაში, ისინი პირობებში გადანაცვლდება. თავის მხრივ, გია ჭანტურიამ დაადასტურა, რომ, ხელშეკრულების თანახმად, ნებართვა ავტომატურად კარგავს ძალას, თუკი ერთი პირობაც კი არ სრულდება. ეს კი მშენებლობის პროცესს შეაჩერებს, რაშიც "ბრიტიშ პეტროლიუმი" ძალიან არ არის დაინტერესებული. ნინო ჩხობაძემ განაცხადა, რომ 60 ქართველი ექსპერტიდან თითოეული გაფრთხილებულია და სისხლის სამართლის კოდექსის წინაშე პასუხისმგებელია საკუთარ ხელმოწერილ დასკვნაზე ისევე, როგორც თავად მინისტრი, თუკი ნებართვის გაცემისას ის რომელიმე (მათ შორის, უცხოელების) დასკვნას არ გაიზიარებს. მაგალითად, ნიდერლანდების დამოუკიდებელი კომისიის დასკვნა მზად არის და ითარგმნება. მინისტრი დაჰპირდა იქ მყოფებს, რომ 30 ნოემბერს ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს გასაცემი ნებართვისა და თანმხლები პირობების შესახებ.

ასეთი საუბრით გულმოცემულმა გია ჭანტურიამ კვლავ გაიმეორა რისკების ნულამდე დაყვანის რეალურობა. ამას აქციის მონაწილეთა ხელახალი აღშფოთება მოჰყვა. მათთვის აშკარად მიუღებელი იყო ეს არგუმენტები. გია ჭანტურიამ დაიწყო განმარტება, რომ ეს ტერმინი ნიშნავს არსებული რისკების მართვადობასა და კონტროლირებას, მაგრამ გვიანი იყო. კონფლიქტოლოგმა ირაკლი კაკაბაძემ და "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეამ" ალექსანდრე რუსეცკიმ მისგან მოითხოვეს ის დასკვნები და ავტორები, რაზე დაყრდნობითაც საქართველოს მხარემ უსაფრთხოდ ვერ სცნო ე.წ. ახალქალაქის უფრო იაფი მარშრუტი. აი, ამ მომენტში კი სნსკ-ს პრეზიდენტმა აღიარა, რომ ის მხოლოდ შეჯამებულ დასკვნას იცნობს და არ არის უფლებამოსილი პირი, ვისაც უნდა გააცნონ ცალკეული სამუშაო დოკუმენტი. თუმცა, ხშირად ახსენებდა "ჩვენს პარტნიორ ექსპერტებს" და "მათთან ერთობლივ მუშაობას". ალექსანდრე რუსეცკიმ პირდაპირ უთხრა, რომ სწორედ ასეთი ბუნდოვანი და უმისამართო არგუმენტები არის მოშველიებული ახალქალაქის მარშრუტის უარსაყოფად. გია ჭანტურიამ ახსენა რუსეთის ბაზის არსებობით გამოწვეული რისკი და იქვე მიიღო კითხვა: "საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს ბაზის გაყვანას?" რა თქმა უნდა, მან უპასუხა, რომ ის არ წყვეტს ამ საკითხს. მაშინ მოსთხოვეს, დაესახელებინა ამ იდუმალებით მოცულ დასკვნებსა თუ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და ადამიანები. გია ჭანტურიას აღარაფერი დარჩენოდა, იმის გარდა, რომ ეთქვა: "თქვენ გინდათ, რომ ვთქვა – რაც ქვეყანაში ხდება, პრეზიდენტის ბრალია? დიახ, პრეზიდენტის და, საერთოდ, ხელისუფლების. განა თავად არ ამბობენ?" ერთის მხრივ, ბორჯომის ეკოლოგიური საფრთხის შემცირებასა და, მეორეს მხრივ, ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში მჭიდრო გაერთიანების აუცილებლობაზე საუბრისას მანანა ქოჩლაძემ ეუთო-სა და ევროკავშირის რეკომენდაციებიც მოიშველია. ჩიხში შესულმა გია ჭანტურიამ, რომელსაც აშკარად არ სურდა საკუთარი პერსონის ბოლომდე ჩრდილში გაწევა, გამოსავალი იპოვა: "მე ხვალვე დავუკავშირდები ჩვენს უცხოელ პარტნიორებსა და ექსპერტებს უსაფრთხოების დარგში. გპირდებით, რომ ორგანიზებას გავუკეთებ თქვენთვის ამ შეფასებებისა და მათი საფუძვლების უსწრაფესად გაცნობას. სომეხი მოსახლეობის აუცილებელ ინტეგრაციაზე მეც დიდი ხანია ვსაუბრობ და ახლა ამ აქტიურობით თქვენ, პრაქტიკულად, მხარდაჭერა გამიწიეთ."(?)

უცნაურია, რომ მთელი სამსაათიანი კამათის დროს აქციის არც ერთმა მონაწილემ არ დასვა კითხვა: რამდენი მილიონი დოლარით მცირდება საინვესტიციო ბიუჯეტი ახალქალაქის 20-25 კილომეტრით მოკლე მარშრუტის დამტკიცების შემთხვევაში? არადა, უხეში გათვლებითაც კი, "ბი-პის" მომავალი კონტრაქტორისთვის ეს თანხა ათეულობით მილიონი დოლარით მცირდება. საქართველოს სახელმწიფოსა და მისი პრეზიდენტისათვის კი - მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აღებული ვალდებულებისათვის იმაზე მეტ შრომას, ვიდრე ახლა.

ნავთობის დაღვრით გამოწვეული კატასტროფები

2002 წლის ივლისი. ნიგერია ნავთობსადენზე მომხდარი ავარიის შედეგები.

2002 წლის ნოემბერი. ესპანეთის სანაპირო, ტანკერ "პრესტიჟის" ჩაძირვის შემდეგ

კომენტარი

ნინო ბურჯანაძე (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე) - რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტია, რომ ისეთ რეგიონებს, როგორიც არის ბორჯომი, ასცდეს ნავთობსადენი, გაზსადენი. სასურველია, რომ ამ ტიპის მშენებლობები ნაკრძალებიდან შორს იყოს, მაგრამ იყო გარკვეული ობიექტური მიზეზები, რომლის გამოც სწორედ ეს ტრასა აირჩიეს.

მე საქმის კურსში ვარ მთელ რიგ პოლიტიკურ მომენტებთან დაკავშირებით, თუ რატომ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული. ძალიან ბევრი ექსპერტი მუშაობდა ამ მიმართულებით. მე მიჭირს გადაჭრით თქმა იმისა, იყო თუ არა თუნდაც უმცირესი შანსი, მთელი არსებული ვითარების გათვალისწინებით, შეცვლილიყო ამ ტრასის მიმართულება. მე ვესაუბრე ბატონ გია ჭანტურიას, რომელმაც მითხრა, რომ ახლა საკმაოდ სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საუბარია, პრაქტიკულად, გაათმაგებაზე იმ ეკოლოგიური სტანდარტებისა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მაღალ სტანდარტებადაა მიჩნეული.

ერთი რამ ფაქტია – ჩვენ ერთი მხრივ უარს ნამდვილად ვერ ვიტყვით ნავთობსადენის გაყვანაზე, რადგან, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ნავთობსადენი არ არის საქართველოსთვის მხოლოდ ეკონომიკური ინტერესის სფერო. ეს არის რეალურად მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი გარანტი ხვალინდელი უსაფრთხოებისა, რომ საქართველო არა მხოლოდ ენერგორესურსების თვალსაზრისით არ იქნება ვინმეზე დამოკიდებული, არამედ საქართველოში სტაბილურობით მსოფლიოში ძალიან დიდი და სერიოზული ქვეყნებიც იქნებიან დაინტერესებულნი. ამიტომ ჩვენ ნავთობსადენის გაყვანაზე უარს ვერ ვიტყვით, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ ვერ გავცემთ ისეთ თანხმობას, რომელიც რამენაირად ეჭვქვეშ დააყენებს ეკოლოგიურ საკითხებს, მით უმეტეს - ბორჯომის ხეობაში.

ამდენად, პრაქტიკულად, ყველაფერი უნდა იყოს გათვლილი. საბოლოო გადაწყვეტილება მას მერე უნდა იქნას მიღებული, რაც მსოფლიო დონის დამოუკიდებელი ექსპერტები, მათ შორის ჩვენი ექსპერტებიც, რომლებიც თავისი დონით ნამდვილად არავის ჩამოუვარდებიან, საბოლოო სიტყვას იტყვიან და დაგვარწმუნებენ, რომ ყველანაირი ზომები უსაფრთხოებისა მაქსიმალურად დაცულია.

მე ვიცი, რომ ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება იმ მონაკვეთის თაობაზე, რომელიც მეწყერსაშიშია. შეიძლება საჭირო გახდეს, ტექნოლოგიურად სხვაგვარი სამუშაოების შესრულება, რაც ამ პროექტს გააძვირებს, მაგრამ ამავე დროს ვიცი, რომ მეორე მხარე თანახმაა, გაძვირდეს პროექტი, მაგრამ მაქსიმალურად იყოს დაცული ეკოლოგიური უსაფრთხოება.

მე, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად შევეცდები, თვალი მივადევნო ამ პროექტის განხორციელებას, თუმცა ექსპერტი ამ დარგში ნამდვილად არ ვარ. ბუნებრივია, გავითვალისწინებ იმ ადამიანების აზრს, ვინც ამ საქმეში კომპეტენტურნი არიან.

კოტე კემულარია (ნაციონალური მოძრაობა) – აუცილებლად უნდა მომზადდეს კომპეტენტური ეკოლოგიური დასკვნა და შემდგომ ეს დასკვნა გახდეს საზოგადოების მსჯელობის საგანი. ბორჯომს არ შეიძლება, რამე დაემუქროს. ეს არ არის მხოლოდ მინერალური წყალი, ბორჯომის ხეობა არის საგანძური, რომლის პოტენციალიც სულ რაღაც ათი პროცენტით არის გამოყენებული. ყველანაირი რისკი უნდა იყოს გამორიცხული. შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები რომ გაერთიანდნენ, ეს მაინც არ უნდა გახდეს ჩვენი მხრიდან დათმობის საბაბი. ჩვენ, ქართველებმა, ყველამ ერთად უნდა დავიცვათ ბორჯომი. ნაციონალური მოძრაობა არ დაუჭერს მხარს ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლას, თუ ვერ დაგვარწმუნებენ, რომ ეს ასი პროცენტით უსაფრთხო იქნება.

ვაჟა ლორთქიფანიძე (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) – ბორჯომის ხეობას, ნავთობსადენის გამო, ხიფათი არ უნდა შეექმნას. საუბარი იმაზე, რომ დრო არ გვაქვს მეტი და ა.შ., უნდა გამოირიცხოს, ყველაფერი უნდა აიწონ-დაიწონოს და გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მივიღოთ. არავითარი ზეწოლის გამო არ უნდა დავუშვათ შესაძლო ეკოლოგიური საფრთხე. ცუდია, რომ ეს პრობლემა აქამდე მოვიდა. პირადად მე ვიცოდი, რომ იმ 20 კილომეტრიანი მონაკვეთის შეცვლა დასაშვები იყო; დღეს ირკვევა, რომ ეს ასე არ არის. ეს ძალიან ცუდია. ბორჯომი დღეს საქართველოსთვის სტრატეგიული ნედლეულია და არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით, ვიდრე ეს ნავთობსადენი, ამიტომ ხეობის უსაფრთხოებისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. მიმაჩნია, რომ ნავთობსადენის ახალქალაქზე გატარება ძალიან ბევრი თვალსაზრისით იქნებოდა მომგებიანი. ეს არ არის მხოლოდ მილების ჩაყრა, ნავთობსადენი რეგიონში თავისი ინფრასტრუქტურით შედის და ეს ჯავახეთის უფრო მჭიდრო ინტეგრირების საფუძველი გახდებოდა. ჩემთვის გაუგებარია ის არგუმენტები, რის გამოც ამ მარშრუტზე ითქვა უარი.

გიორგი გაბაშვილი (გაერთიანებული დემოკრატები) – მოვისმინე არგუმენტები, თუ რატომ არ შეიძლებოდა, აგვეცილებინა ეს მარშრუტი ბორჯომის ხეობისთვის და მას გაევლო ახალქალაქზე. მათ ბოლომდე ვერ დამარწმუნეს. მე ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ეთნიკური უმცირესობის კომპაქტურად განსახლების ადგილზე არ შეიძლება განხორციელდეს ასეთი პროექტი. ამის მიხედვით არ უნდა წყდებოდეს ასეთი საკითხები. მით უმეტეს, რომ ეს პროექტი ჩვენ შეიძლებოდა რეგიონის განვითარებისა და ადამიანების დასაქმებისათვის გამოგვეყენებინა, რაც ავტომატურად მოხსნიდა იქიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მე ახლა არ მაქვს ინფორმაცია, კიდევ შეიძლება თუ არა რაიმეს შეცვლა. მგონია, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ დავაგვიანეთ.

ვახტანგ ხმალაძე (ლიბერალური პარტია) – დღევანდელ ვითარებაში სხვა მარშრუტის არჩევა სახიფათო იქნებოდა. ახალქალაქში არის რუსეთის სამხედრო ბაზა და ეს ინვესტორებისთვის, რომლებიც აპირებენ ამ ნავთობსადენში ძალიან დიდი ფულის ჩადებას, მიუღებელი იყო. რისკის ფაქტორი ბორჯომის ხეობაშიც არის; თუმცა, ახალქალაქთან შედარებით, უფრო მცირე. მგონია, რომ ჩვენ ახლა უნდა მივაღწიოთ "ბრიტიშ პეტროლიუმთან" შეთანხმებას: როცა ახლაქალაქის მარშრუტზე რისკის შესაძლებლობა მოიხსნება, ანუ გავა რუსეთის სამხედრო ბაზა, ეს მარშრუტი შეიცვალოს და ბორჯომის ხეობიდან ახალქალაქისკენ გადაინაცვლოს. ეს, ალბათ, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ამ სიტუაციიდან. დღეს მარშრუტის შეცვლა ჩვენთვისაც უხერხული მომენტია, რადგან ამ ნავთობსადენის პოლიტიკური წონა ამჯერად გაცილებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

დიდი ნავთობის პროტაგონისტები და საზოგადოება

პირველი გვერდიდან

მაგრამ ამ წერილის მიზნებში არ შედის ამ პროექტის ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური საფასურის დადგენა. აქ იმის დემონსტრირებას მოვახდენთ, თუ რამდენად არ არსებობს ჩვენს საზოგადოებაში კრიტიკული აზროვნების არათუ ტრადიცია ან იმპულსი, არამედ ნებისმიერი საზოგადოებისათვის ამ საარსებო ფენომენის აუცილებლობის შეგრძნებაც კი.

ცნობილია, რომ მაქსიმალური გამდიდრების სურვილით მართული კაპიტალიზმი აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოს მიერ შექმნილ ბარიერებსა და შეზღუდვებს, რომლებიც კერძოსა და საზოგადოებრივ ინტერესს ერთიმეორის საზარალოდ არსებობის უფლებას არ მისცემს. აგრეთვე ცნობილია, რომ სამართლებრივი ან საზოგადოებრივი ლიმიტებისაგან თავისუფალ სივრცეში მოქმედი კაპიტალიზმი არსებული სიტუაციის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობს. მას ასეთ რეჟიმში არ გააჩნია ის მთავარი მოტივაცია საზოგადოებრივად მომგებიანი ქმედების ჩასადენად, რაც არსებობს დემოკრატიულ ქვეყნებში – ანუ, თუ ესა თუ ის ადმინისტრაცია არ გაითვალისწინებს საკუთარ მოქალაქეთა ინტერესებს და მისი გულის მოსაგებად არ იმუშავებს, მას აუცილებლად გადაირჩევენ. ხალხს, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა კონკრეტული კორპორაციის ქმედება, არ ძალუძს მისი ძალაუფლების განეიტრალება. ამდენად, საზოგადოების ინტერესის დამცველის როლს დემოკრატიულ ქვეყნებში სახელისუფლებო სისტემა (კანონმდებელი, სასამართლოები, მარეგულირებელი ორგანოები და ა.შ.) თამაშობს.

არ არის საიდუმლო, რომ ასეთი ეფექტიანი, ფუნქციონირებადი სისტემა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. უფრო მეტიც, არსებულ სიტუაციაში ჩვენი ხელისუფლება კონკრეტულ ნავთობკორპორაციათა პოზიციასა და სურვილებს შეერთებული შტატების ხელისუფლების პოზიციებთანაც კი აიგივებს, რაც სიმართლისაგან ისევე განსხვავდება, როგორც დღისაგან – ღამე.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას, რა თქმა უნდა, გააჩნია პოლიტიკური ინტერესი იმ თვალსაზრისით, რომ კავკასიის რეგიონში ამერიკული კერძო სექტორის უძლიერესმა წარმომადგენლებმა ფეხი მოიკიდონ, შესაბამისად კი, ამერიკის გავლენის სფერო მნიშვნელოვნად გააფართოვონ, და იგი ხელსაც უწყობს ამ პროცესს. მაგრამ ამერიკულ ადმინისტრაციას ნამდვილად არ აქვს მიზნად, რომ მან აზარალოს ან დაიცვას საქართველოს ინტერესები, ამ შემთხვევაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი სისუფთავის სფეროში. იგი ნამდვილად ვერ (და არ) ჩაერევა დიდი ნავთობ-კორპორაციების მტაცებლური პრაქტიკის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური სისუფთავისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ამდენად, ძალიან მცდარია ამერიკის შეერთებული შტატების "ბრიტიშ პეტროლიუმთან," "ამოკოსთან," "შევრონთან," "ექსონსა" და სხვებთან პირდაპირ, ასე ბრმად ასოცირება და იდენტიფიკაცია; ან იმის მტკიცება, რომ თუ, სიტყვაზე, ჩვენი კანონიერი მოთხოვნით გავანაწყენებთ "ბრიტიშ პეტროლიუმს," ამით გავანაწყენებთ ამერიკის მთავრობას, რომელიც, ვიმეორებთ, წარმოადგენს ამერიკელი ხალხის, და არა ნავთობ-კორპორაციების, ინტერესებს. მას ეს, ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, ძალიან გაუჭირდება, განსაკუთრებით დღეს, როდესაც დიდ კორპორაციათა მხრიდან აქამდე არნახული კანონდარღვევების წინააღმდეგ ("ენრონი," "არტურ ანდერსენი," "გოლდმან საქსი," "ჰალიბარტონი," "უორლდკომი," "ადელფია კომუნიკეიშნი" და ა.შ.) ამერიკის ხელისუფლებამ ნამდვილი ჯვაროსნული ომი წამოიწყო.

ამდენად, ვურჩევთ ამ პროცესებში ჩართულ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ შეწყვიტონ კერძო ინტერესით მართულ კორპორაციათა სურვილების ამერიკის მთავრობის ოფიციალურ პოზიციად გასაღების ამაო მცდელობანი. მათვე ვუსურვებდით ახლო წარსულში ერთი ბატონისადმი მონური მორჩილების ნოსტალგიის გამო ახალ ბატონთა ძიების ასევე მონური ინსტინქტებისაგან გათავისუფლებას. შეერთებულ შტატებს, როგორც თავისუფალ, საღი აზრითა და კანონით მართულ ქვეყანას, მონები კი არ სჭირდება, არამედ ღირსეული და საიმედო მოკავშირეები. საქართველოს კი ნამდვილად აღარ სჭირდება ახალი ბატონი.

ფონდი ევრაზია
"თანამშრომლობის პროგრამა
სამხრეთ კავკასიაში"

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტების განვითარების ინიციატივის ფარგლებში ევრაზიის ფონდის "თანამშრომლობის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში" აცხადებს კონკურსს, რომლის მიზანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური კვლევებისა და საკანონმდებლო რეკომენდაციების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროპულ კონვენციებსა და ნორმებთან ინტეგრირებისთვის. კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ოფიციალურად რეგისტრირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ შედარებითი კვლევა/ანალიზისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების სფეროში. განაცხადები მიიღება როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული ორგანიზაციებისგან.

განაცხადის მომზადებისთვის აუცილებელი საბუთების პაკეტისა და კონსულტაციების მიღება შესაძლებელია ევრაზიის ფონდის "თანამშრომლობის პროგრამის" თბილისის ოფისში. ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას ვიწვევთ განაცხადების მოსამზადებელ სემინარზე დასასწრებად, რომელიც ჩატარდება 2002 წლის 17 დეკემბერს 15:00 საათზე ევრაზიის ფონდის თბილისის ოფისში.

კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად განაცხადები წარმოდგენილი უნდა იქნას "თანამშრომლობის პროგრამის" თბილისის ოფისში არაუგვიანეს 2003 წლის 27 იანვრის 17:00 საათისა მისამართზე:

კავსაძის 3, თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: (99532) 22-32-64, 25-39-42, 25-39-43

დაგვიანებული ან არასრული განაცხადები არ განიხილება.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები გამოცხადდება **2003 წლის 12 თებერვალს**.

როცა ასეთი სილამაზე და სიყვარულია... B2

TV პროგრამა B6

ქართული "სუპერკლასიკოს" მოკრძალებული ხიბლი B7

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

თუ არაფერი შეიცვალა, BP-ს წინააღმდეგ სერიოზულ კამპანიას დავიწყებთ

საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, თანაც იმდენად, რომ სასაცილო იქნებოდა - ეს ქვეყანა ჩვენი რომ არ იყოს. არც თუ შორეულ წარსულში, დამოუკიდებლობის მოპოვებისას, ყველაზე ძლიერი და პოპულარული არგუმენტი ასე ჟღერდა: - "ციტრუსი, ჩაი და ბორჯომი გვაცხოვრებს..." ციტრუსი და ჩაი, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ ველარ გვაცხოვრებს. ახლა კი, ისე გამოდის, რომ "ბორჯომი" და საერთოდაც, ბორჯომის ხეობა, ჩვენს კეთილდღეობას საფრთხეს უქმნის... ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის 17 000 კილომეტრიანი მილიდან მხოლოდ 17 კილომეტრია სადაო. და ეს 17 კილომეტრი, არც ბაქოშია, არც ჯეიჰანში და თქვენ წარმოიდგინეთ, არც თბილისში. ის სწორედ ჩვენს ერთადერთ გადამრჩენელ "არგუმენტზე" - ბორჯომის ხეობაზე გადის. ბევრი ფიქრი არ უნდა იმას, თუ რა საფრთხეს მოუტანს ბევრი "შავი ოქრო" ანკარა ბორჯომის წყაროებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ან ავარიის, ან ტერორისტული აქტის, ან მეწყერის, ან დიდთოვლობის გამო, ბორჯომ-პარკში, 7000-დან 10 000 ტონამდე ნავთობი მოხვდება... თუმცა, BP-ს (კომპანია, რომელიც მილსადენს აშენებს) ექსპერტები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ბორჯომის ხეობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება... ამ არგუმენტში საქართველოს სახელმწიფოს (პასუხისმგებელს მილსადენის უსაფრთხოებაზე) ეჭვი არ შეპარვია. ნულოვან საფრთხეს (რომელიც, სხვათა შორის ბუნებაში არ შეიძლება არსებობდეს) ითხოვს მხოლოდ კომპანია, რომელიც ბორჯომის წყლის ბიზნესით არის დაკავებული და რომლის წარმოებულ პროდუქციას საქართველოს მთლიანი ექსპორტის 10 პროცენტი უჭირავს.

მამუკა ხაზარაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაია ჭალაგანიძე

- პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ ამ მილსადენის მნიშვნელობაზე არავინ დაობს. ეს სისულელე იქნებოდა. მაგრამ არ მჯერა, რომ საქართველოში არ არის ტრასის ამ მონაკვეთის ალტერნატივა. მთელი ეს პრესი კი იმიტომაა, რომ წარმოადგინონ, თითქოს, ჩვენ ვართ ყველაზე ცუდი ბიჭები, რომელთაც შეიძლება საუკუნის პროექტი ჩაშალონ. საკითხის ასე დაყენება - ან ბორჯომი, ან საქართველოს დამოუკიდებლობა - არასერიოზული განცხადებაა.

დღეს ბორჯომის, მისი სახელის მნიშვნელობაზე ჩემგან საუბარი ზედმეტია. ეს არამხოლოდ საქართველოს მოსახლეობამ, არამედ, პრაქტიკულად, მთელმა მსოფლიომ იცის. "ბორჯომის" ბაზარი ძლიერი ბრენდია იქ, სადაც ის არის. ასეთი კი 25 ქვეყანაა. ჩვენ დავიწყეთ ბიზნესი, როცა ბორჯომის წარმოება თითქმის ნულის ტოლფასი იყო. სტატისტიკურ ციფრებს შეგახსენებთ: 1995 წელს მთელი ბორჯომის წარმოება 5 მილიონი ბოთლი იყო, როცა 80-იან წლებში ბორჯომის პიკური წარმოება 400 მილიონი ბოთლი გახდა. პარტნიორებთან ერთად სერიოზული ინვესტირება განვახორციელეთ, გადავიარეთ ბევრი სირთულე...

- რა სირთულეებზე საუბრობთ?

- ძირითადად, იურიდიულზე. თუ გახსოვთ, ბორჯომის წყლების ქარხნები სახელმწიფომ, როგორც ტენდერში გამარჯვებულს, მართვის უფლებით გადმოგვცა. შემდგომ, აღმოჩნდა, რომ ეს ქარხნები სახელმწიფოს სულაც არ ეკუთვნოდა. ქარხნები 18 მილიონ კუპონად სხვადასხვა პიროვნებებს ჰქონდათ ნაყიდი. აღმოვჩნდით აბსოლუტურად ვაკუუმურ სივრცეში და ა.შ. ეს პრობლემები უკან მოვიტოვეთ, მაგრამ ამან წაიღო საკმაოდ დიდი ენერგია და დიდი ფინანსები, პრაქტიკულად, ყველა იმ დავალიანებაზე გავხდით პასუხისმგებლები, რომელიც "ბორჯომს" ჰქონდა დატოვებული. ბანკროტულ ზღვრამდე ვიყავით მისული, მაგრამ დიდი შრომისა და ახალი კაპიტალის მოზიდვით ეს პრობლემები დავძლიეთ.

- ძირითადი ბაზარი სად არის?

- ისევ დსთ-ს სივრცეზეა. ამას დაემატა აშშ, ისრაელი, აღმოსავლეთ ევროპა, აზიური ქვეყნებიც კი და ეს მზარდი მაჩვენებლებია.

- ვინ თამაშობდა თქვენს წინააღმდეგ?

- ძირითადი პრობლემა წყლის ლიცენზიასთან დაკავშირებით იყო, ჩვენი მოპოვებული წყლის ლიცენზია 16 საწარმოს დაურიგეს.

- ეს ალბათ, წვრილი საწარმოები იყო.

- იმ დროისთვის ზოგიერთი ჩვენზე დიდიც გახლდათ. აღმოვჩნდით ისეთ სიტუაციაში, რომ ბორჯომს "ნამდვილი ბორჯომი" დავარქვით. ეს იყო მარკეტინგული ხერხი, რათა მოსახლეობისთვის გვეთქვა, რომ არსებობს სხვა ბორჯომი და ფალსიფიკაცია... ამით ავიღეთ პასუხისმგებლობა იმის ხარისხზე, რასაც ვაწარმოებთ.

- ახლა თქვენ ერთადერთი კომპანია ხართ, ვისაც ლიცენზიების გაცემა შეუძლია. რატომ აძლევთ წვრილ საწარმოებს ერთი წლით ამ ლიცენზიებს, რატომ არ აძლევთ განვითარების, გრძელვადიანი გეგმების განხორციელების საშუალებას?

- არ დაგეთანხმებით. კანონის შესაბამისად, უნდა არსებობდეს ერთი ლიცენზია და ამას უნდა იძლეოდეს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. ხდებოდა შემდეგი რამ: კომპანიას ჰქონდა 3 წლიანი ლიცენზია და როცა მათ ვერ შეძლეს წარმოება, მას ჩაენაცვლა სხვა და ეს დაუსრულებელ პროცესად იქცა. გარდა ამისა, ვერანაირად მივაღწიეთ იმას, რომ ერთიან ლაბორატორიას დამორჩილებოდა ყველა ეს წარმოება; ვერ მივაღწიეთ იმას, რომ რეკლამაში, რომელშიც ჩვენ მილიონებს ვიხდით, სიმბოლურად მაინც შემოსულიყვნენ... ვერ მივაღწიეთ არადემპინგურ ფასებს. ბევრმა მწარმოებელმა ფასი დააგდო. ფასის დაგდება კი მხოლოდ გადასახადების თავიდან აცილების გზით ხდება.

და რაც მთავარია, გადასახადები. ჩვენ არ ვართ საგადასახადო ინსპექცია, მაგრამ გვაინტერესებს, რა შეაქვთ ამ კომპანიებს ბიუჯეტში, რათა ვიცოდეთ, რამდენად ჯანსაღი კონკურენციაა. ჩვენ მათ ამხელა ქოლგას ვაძლევთ - ამხელა სარეკლამო უზრუნველყოფას და ყოველთვის იმ მდგომარეობაში ყოფნა, რომ ჩვენ ვიღაცას ვავიწროვებთ, უბრალოდ, უსამართლობაა.

ეს საკითხები სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს. ჩვენ დროებითი ლიცენზია გვაქვს და არ ვიცით, რა მოხდება 2007 წელს, როგორ შეიცვლება პოლიტიკური სიტუაცია. ვიღაცამ შეიძლება პოლიტიკური გადაწყვეტილებაც მიიღოს და გვითხრას - დიდი მადლობა, 10 წლის განმავლობაში კარგად იმუშავეთ და ახლა წადითო.

- ეს შეიძლება დაგემართოთ?

როგორ არ შეიძლება? წყალი სახელმწიფოს ეკუთვნის...

- კანონმდებლობაში თუა რამე, რაც გაწეული მუშაობის დაცვის საშუალებას მოგცემთ.

- სამწუხაროდ, არაფერი. ეს დაახლოებით ქარხნების გადმოცემის მსგავსი სიტუაციაა. როცა სახელმწიფომ ქარხნები გადმოგვცა, გვითხრა, რომ 5 წლით შეგვეძლო მართვა... აღმოჩნდა, რომ ეს ქარხნები არ ეკუთვნოდა სახელმწიფოს, არადა, ფული ჩადებული გვქონდა

- გამოდის, სახელმწიფომ მოგატყუათ?

- დიახ. ჩვენც ამ აქციების სათითაოდ გამოსყიდვა დავიწყეთ. გამოვიდა, რომ ორჯერ და სამჯერ ვიყიდეთ ერთი და იგივე რამ. ჩვენ ეს რომ თავიდანვე გვცოდნოდა, არ ავიღებდით ჩვენს თავზე დავალიანების გასტუმრებას... სახელმწიფომ რამდენჯერმე მოგვატყუა - ქარხნებთან მიმართებაში, წყალთან მიმართებაში და ა.შ.

- მართალია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში "ბორჯომი" აფთიაქში იყიდება?

- დიახ, ეს მართალია. რუსეთში სპეციალურად შევიტანეთ აფთიაქებში...

- რამდენ ხანს იდინებს ბორჯომი? რას ამბობენ ექსპერტები?

- ეს არის მუდმივი, განახლებადი რესურსი. მისი კლება, 1000 წელზე მეტია, რაც არ დაფიქსირებულა.

- რა საკითხებში ვერ თანხმდებით თქვენ და "British petrolium"-ი?

- ჩვენ დაგვაბრალეს, რომ მხოლოდ ამ ბოლო ორი კვირის წინ დავიწყეთ პროტესტის გამოთქმა. მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ პროექტის მარშრუტი 2 წლის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო საზოგადოებისთვის. არ მესმის, ჩვენთვის რატომ იყო გასაიდუმლოებული. აქ საუბარია არა კომპანიაზე, არამედ წყალზე და ბუნებაზე. ბაქოდან ჯეიჰანამდე ეკოლოგიურად ფაქიზი ასეთი მონაკვეთი არ არსებობს. ამ პროექტის განხილვაში, ივლისის ბოლოს ჩაგვრთეს. ოფიციალურად მოგვწერეს საქართველოს საერთაშორისო ნავთობკომპანიიდან და გვაცნობეს, რომ რადგანაც მილი ჩვენს ინტერესთა არეალზე გადიოდა, შეგვეძლო გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრებები. ამის შემდეგ, მათთან ერთად, ვერტმფრენით მოვინახულეთ ტრასა. შემდეგ, საფრანგეთიდან დამოუკიდებელი ექსპერტები ჩამოვიყვანეთ და 3 თვეში ჩვენი დასკვნა დავდეთ.

- რა წერია ამ დასკვნაში?

- დასკვნა მარტივია - ყველანაირი ნორმებიდან გამომდინარე, ასეთი მილის გატარება ასეთ ადგილზე - დაუშვებელია. ამ დასკვნას ახლავს თავად BP-ის დასკვნა, რომელიც არ გამორიცხავს ავარიის შესაძლებლობას.

- BP არ იღებს პასუხისმგებლობას?

- ის ამბობს, რომ მილს სატელიტით დაიცავს და ა.შ. მაგრამ, რომ გვეუბნებიან, გარანტირებულიაო, არ არის მართალი. ეს მსოფლიოში მოცულობით ყველაზე დიდი მილია... ჩვენ არ ვსაუბრობთ ბორჯომის წყალზე. ვსაუბრობთ ბორჯომის ნაკრძალზე და ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკზე, რეკრეაციულ ზონაზე, ველურ ბუნებაზე. მაშინ აზრს კარგავს გერმანელების ის დახმარება, რომელიც ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკს ეძლევა.

დავანებოთ თავი იმას, რომ "ბორჯომის" პოზიციიდან გამოვდივარ. არ მესმის ლოგიკა: თუ ამხელა საქართველოში, ამ მილისთვის სხვა დერეფანი ვერ გამოიძებნა, მაშინ, ძალზე საბედისწერო მდგომარეობაში ვართ, როგორც სახელმწიფო. მე სხვა დასკვნას ვერ ვაკეთებ. ასეთი თეორიული პრობლემა არ უნდა დაუყენო კუთხეს, რომელიც ქვეყნისთვის უზარმაზარ იმიჯს ქმნის.

- ალტერნატიული ტრასა თუ წარმოადგინეთ?

- როცა მილის გაყვანაზე ამდენი ფული იხარჯება, ყოველთვის არის ალტერნატივა - სხვაგვარად არ არსებობს. სხვა ქვეყნებშიც გადის ეს მილი ეკოლოგიურ ზონებში, მაგრამ - ჰორიზონტალურ სიბრტყეში. ჩვენთან, ბორჯომის საბადოს თავზე ადევს მილი, რომელშიც წნევა 107 ბარია; კვეთს 8 მდინარეს, მათ შორის, ბორჯომულას და ამავე დროს - პალეობორჯომულას კალაპოტს, რომელიც ოდითგან არსებობს და ახლა ჩასილულია (ეს არის BP-ს დასკვნა, რომელსაც ჩვენი ექსპერტებიც ეთანხმებიან). და ასეთ ვითარებაში, BP ირწმუნება, რომ ავარიის შემთხვევაში ბორჯომს ნავთობი არ შეერევა...

- ვისზეა ბოლო სიტყვა?

- საქართველოს სახელმწიფოზე, რომელმაც პრინციპული პოზიცია უნდა დაიკავოს. ვფიქრობ, სახელმწიფომ ყველა დაინტერესებული მხარე უნდა შეკრიბოს [illegible] ჩვენ 101 პროცენტით არ ვიქნებით დარწმუნებულები უსაფრთხოებაში, მილს [illegible]ლოთ.

- სხვა რეგიონებშიც ხომ არსებობს მსგავსი ეკოლოგიური საფრთხე?

- ვთქვათ, გორთან რომ დაიღვაროს ნავთობი, დანაკარგი, საბოლოო ჯამში, ასატანი შეიძლება იყოს, თუმცა იქაც მძიმე შედეგები მოჰყვება. ბორჯომის [illegible] ფერდობზე [illegible] ქვემოთ [illegible] ექსპერტების [illegible] ვარიანტი [illegible] ნავთობი [illegible] რეზერვუარ[illegible] ისინი [illegible]

[illegible] ქვეყანას აქვს.

- ორ ქართულ მხარეს - თქვენ და გია ჭანტურიას - არ გისაუბრიათ ამ პრობლემებზე?

- რა თქმა უნდა, გვისაუბრია. პატიოსნად და ღიად ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, დავაფიქსირე BP-ს ექსპერტებთან, პრეზიდენტთან, "ჯიოსთან" - აქ კომპრომისი არ შეიძლება.

ჩვენ გვაბრალებენ, რომ ყველაზე მეტს ვითხოვთ, რაღაც კომპენსაცია გვინდა... დამერწმუნეთ - თუ მილს გადაიტანენ, არაფერი არ გვჭირდება. ასე რომ არ იყოს, გადატანას კი არ მოვთხოვდით, პირიქით - ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებდით.

- ფიქრობთ, რომ თქვენი წინააღმდეგობა საკმარისი იქნება?

- რა თქმა უნდა, არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ მარტო არ ვართ. თუ ამ პროექტის გამო ყველაფერი უგულებელყოფილი იქნება, ჩვენ არ დავთმობთ პოზიციას და არა იმიტომ, რომ კომპანიაზეა საუბარი. აქ საუბარია წყალზე. ჩვენ დღეს ვართ ამ კომპანიის მესაკუთრეები, ხვალ შეიძლება სხვა იყოს.

უბრალო კალკულაცია - წელს ქვეყანაში შემოვიტანეთ 3 მილიონ დოლარი. ამ ზრდის პირობებში, რასაც ჩვენ დღეს ვაფიქსირებთ, თუ ფინანსური კატაკლიზმები არ დაემთხვა - 3 წლის შემდეგ 10 მილიონ დოლარს შემოვიტანთ, რაც ჩვენი ქვეყნის სიმყარის უპირველესი საფუძველია. რა თქმა უნდა, ბიზნესიც გვაინტერესებს და ფინანსური მხარეც.

- ისე ჩანს, რომ ნინო ჩხობაძე პოზიციებს თმობს. მისი დასკვნა კი სახელმწიფოს პოზიციაა... როგორ გგონიათ, ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის მინისტრი განიცდის ზეწოლას?

- რა თქმა უნდა, განიცდის. ჩემი ინფორმაციით, უწყებაში [illegible] თვის ბოლოს მიიღონ დასკვნა. მხოლოდ 3-4 დღე დარჩა.

მამუკა ხაზარაძეზე და მის კომპანიაზე არ უნდა იყოს საუბარი, აქ სახელმწიფოს ნება უნდა ჩანდეს. სამწუხაროდ, სახელმწიფო კრიტიკულ მომენტებში ვერ ავლენს ხოლმე თავის ნებას. ბორჯომი უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ როგორც წყალი, არამედ მთელი რეგიონალური ზონა. წყალი და ხეობა ერთი სახელის მატარებელია. ხეობას მიადგება ზიანი თუ წყალს - ამას მნიშვნელობა არ აქვს. არ არის საჭირო ასეთი ზეწოლა ჩვენზე: "თუ წინააღმდეგი ხართ, მაშინ პროექტი ჩაიშლება" - საკითხი ასე არ უნდა იდგეს. საოცრებაა - BP ამბობს, რომ რისკი არსებობს და ქართველები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

- უკეთეს შემთხვევაში რა უნდა მოხდეს?

- ვიღაცამ უნდა თქვას, რომ ავარია არ მოხდება. ეს ვიღაცამ უნდა გამორიცხოს... ამას კი ვერავინ იღებს საკუთარ თავზე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ იმ მონაკვეთზე მაინც გაკეთდეს დამატებითი უსაფრთხოება... მათ ამის შესახებ საუბარიც არ სურთ. ჩვენ არ ვართ საკითხის გადამწყვეტი, მაგრამ იმ საღი აზრის იმედი მაქვს, რომელიც ქვეყანაში არსებობს.

- ვთქვათ, არ მოხდა ის, რასაც ითხოვთ, მაშინ?

- თუ არაფერი შეიცვალა და დამატებითი უსაფრთხოების გარანტიები ვერ მივიღეთ, დავიწყებთ ძალზე სერიოზულ კამპანიას BP-ს წინააღმდეგ. იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც ენანება, რომ 17000 კილომეტრში, 17 კილომეტრი გააკეთოს განსაკუთრებული... საბოლოო ჯამში, აქ საუბარია ბიზნესზე. 3 მილიარდიან პროექტში დამატებით 20-30 მილიონს მნიშვნელობა არ აქვს.

ჩვენ არ გვაქვს [illegible] ბიზნესი, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ადგილზე გადაიტანო და იქ ჩამოასხა. აქ საუბარია რესურსის ბიზნესზე, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში უფრო სახელმწიფო ინტერესზე ვსაუბრობთ, ვიდრე საკუთარზე. ეს ის შემთხვევაა, როცა პირადი ინტერესი თანხვედრაშია სახელმწიფოს ინტერესებთან. [illegible]

- გავრცელდა ხმები, თითქოს "ბორჯომის" აქციები იყიდება.

- არ არის დასამალი, ჩვენ ყოველთვის გვქონდა რამდენიმე საერთაშორისო კომპანიასთან მოლაპარაკების მცდელობა. ამას სტრატეგიული პარტნიორის ძებნა ჰქვია. მაგრამ, არა მგონია, რომ ეს მოლაპარაკებები გაგრძელდეს. [illegible] ვსაუბრობთ ისეთ სიდიდის კომპანიაზე, როგორიც მსოფლიოში 3 ან 4 არსებობს. [illegible]

ჩემი მიზანი იყო ბორჯომის ტრანსნაციონალურ კომპანიად გარდაქმნა. მინდოდა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მენიუში და მაღაზიის დახლზე "ბორჯომი" გვეხილა - ეს არის ნამდვილი გამარჯვება.

- თქვენ არ გყავთ პოლიტიკური ლობი?

- მეგობრები, ამდენი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები რატომ დუმან... მე არ ვფიქრობდი, რომ პოლიტიკური ლობებით გადასაწყვეტ საკითხს ვიხილავთ. არ არის ეს ვიწრო საკითხი, ან კანონმდებლობის შეცვლა და ვიღაცის კონკრეტული ინტერესი. მჯერა, რომ ბორჯომი, როგორც სახელმწიფო რესურსი - ყველას უნდა აწუხებდეს. ვიღაცის წინააღმდეგ გალაშქრება, ამ ეტაპზე, ზედმეტად მიმაჩნია. ყველაფერი მაგიდაზე დევს - არსებობს ქართველი, ფრანგი, ჰოლანდიელი მეცნიერების დასკვნა და, მეორე მხრივ, არსებობს ერთი უზარმაზარი ორგანიზაცია BP. სიმართლე გითხრათ, რაც უნდა პატარა, გაჭირვებულ და ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოვადგენდე, არანაირი შიში არ მაქვს დიდი სახელების წინაშე. მინდა იგივე სტანდარტი, იგივე უსაფრთხოება, რასაც სხვა ქვეყნები ითხოვენ.

- დღეს უშიშროების საბჭოს გასვლითი სხდომაა ბორჯომში. თუ არ ვცდები, ესეც თქვენი მოთხოვნით არის, ოღონდ, ახლა უკვე ხე-ტყის საკითხზე...

- უშიშროების საბჭოში შევიტანე წერილი, რომ რეგიონში ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებით აბსოლუტური განუკითხაობაა. უშიშროების საბჭო ძალზე აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში და იმედი მაქვს, რომ გულწრფელად სურთ ამ საქმის მოგვარება.

ეს განუკითხაობა წლების განმავლობაში გრძელდება. ახალი გამგებელი კი ამასთან ბრძოლაში აბსოლუტურად მარტოა. მან გზები გადაკეტა და იქ გამოჩნდნენ ყველა, ვინც ამ ბიზნესშია. [illegible] აბსოლუტურად ყველა უწყება - სამართალდამცველი, ძალოვანი, და ა.შ. ამ სისტემაში ფულის დისტრიბუცია [illegible] დონეზეა. [illegible] ფულის ასეთ ნაკადს გადანაწილება, თანხების გადაადგილება... აბსოლუტურად გამართული სისტემაა, სადაც ყველამ ყველაფერი იცის და ერთმანეთს არავინ არაფერს შეარჩენს. შედეგად კი - [illegible] ბორჯომის წყალს [illegible] - ის მას [illegible] და პირიქით... ტყის გაჩეხვით [illegible] მეწყერები, [illegible] ნაპრალები და [illegible] ყველაფერი. წარმოიდგინეთ, ხეობაში, 250 მარტო რეგისტრირებული სახერხი დგას.

ასეთი სისტემის დაშლა ერთი ხელის მოსმითაა შესაძლებელი. სანამ პარლამენტი საჭირო კანონს მიაგნებს, უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი ხის ჭრაზე - თუ მთელ საქართველოში არა, საკურორტო ზონებში მაინც.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თუ ასე გაგრძელდა, 2 წლიწადში ბორჯომი აღარ იარსებებს.





როცა ასეთი სილამაზე და სიყვარულია...

"რომეო და ჯულიეტა" ვენის შტაატსოპერაში

ნინო პირველი
ვენიდან

ამ დღეს დიდხანს ველოდი ანგელოზური მოთმინებით. ჯერ კიდევ მაისში ვიცოდი, რომ შემოდგომაზე ვენის შტაატსოპერაში იტალიელი ტენორი ჯუზეპე საბატინი და უნგრელი სოპრანო ანდრეა როშტი გუნოს "რომეო და ჯულიეტას" იმღერებდნენ და მთელი არსებით მსურდა ამ სპექტაკლზე მოხვედრა. ვენაში ჩავედი თუ არა, მაშინვე ოპერაში გავიქეცი და დაუნანაებლად გადავიხადე 157 ევრო ბილეთში - როცა რაღაც ძალიან გინდა, ფულზე აღარ უნდა იფიქრო.

დრო სასტიკად ნელა გადიოდა. ოქროსფერი შემოდგომის მიწურულს, როცა ვენის ყველა ეგზოტიკური ღირსშესანიშნაობა უკვე ათვისებული მქონდა, იქნებოდა ეს ვენის ტყის საოცარი წითელ-ყვითელი ფერები თუ შტეფანსპლაცზე დაბანაკებული, ნაირ-ნაირ კარეტებში შებმული მორჩილი ცხენების სუნი, ნანატრი დღეც დადგა. სპექტაკლისთვის მზადება ორი საათით ადრე დავიწყე. თვალისმომჭრელი საღამოს კაბა, საგულდაგულოდ შერჩეული ვარცხნილობა, მოკრძალებული მაკიაჟი და ამ ყველაფერმა ისე გამართო, რომ ვერც კი გავიგე, როგორ გავიდა დრო. როცა სპეციალურად ამ საღამოსთვის ნაყიდი გრძელი შავი პალტო ჩავიცვი და საათს დავხედე, გაოგნებული თავპირის მტვრევით გავიქეცი ლიფტისკენ - სპექტაკლის დაწყებამდე სულ რაღაც ნახევარი საათი რჩებოდა, მე კი ორი ტრანსპორტის გამოცვლა მჭირდებოდა ოპერამდე მისასვლელად!

რვის ოცდახუთ წუთზე სირბილით შევედი ფოიეში, სასწრაფოდ ჩავაბარე პალტო, ავიღე ბინოკლი და პარტერისკენ გავემართე. დავჯექი თუ არა, დარბაზში სიბნელე ჩამოწვა. ახალგაზრდა დირიჟორი ბერტრან დე ბილი აპლოდისმენტების თანხლებით გაემართა კუთვნილი ადგილისკენ და ინგლისელი გენიოსის მიერ შექმნილი იტალიური წყვილის ტრაგიკული ისტორიის ფრანგული ვერსიაც დაიწყო.

სპექტაკლი რომ საოცრად ორიგინალური იქნებოდა, ეს რეჟისორმა იურგენ ფლიმმა პროლოგის შემზარავი ინტერპრეტაციიდანვე გვავგრძნობინა - სანთლებით განათებულ სცენაზე სუდარაგადაფარებული ორი საკაცე დგას, საიდანაც შემაძრწუნებლად მოჩანს მიცვალებულთა შიშველი ტერფები, შავებში ჩაცმული ქორო კი მსენელს მონტეკების და კაპულეტების უაზრო მტრობის შესახებ უყვება... მძიმე, დამრთგუნველი განწყობა იქმნება, რომელსაც უცებ ანეიტრალებს პირველი მოქმედების პირველი სურათი - მეჯლისი კაპულეტების სასახლეში. აქ არც კონკრეტული დრო არსებობს და არც ადგილი. კოსტიუმები საოცრად ეკლექტურია - შუასაუკუნეების სამოსსაც შეხვდებით და თანამედროვესაც. ქორეოგრაფია შესანიშნავია და ეს არც არის გასაკვირი - შტაატსოპერას მოძრავ სამყაროს ხომ თვით დიდებული რენატო ძანელა განაგებს. მოუთმენლად ველოდები ჯულიეტას გამოჩენას და აი ისიც - მამა კაპულეტი სტუმრებს თავის ქალიშვილს წარუდგენს. ვიწრო ვერცხლისფერ საღამოს კაბაში გამოწყობილი ჯულიეტა კეკლუცად მოირწევა ავანსცენისკენ. უნებურად ოსკარით დაჯილდოვების ცერემონია მახსენდება, სადაც ჰოლივუდის კინოვარსკვლავები ასეთივე დაზეპირებული პრანჭვა-გრეხით მინარნარებენ პოდიუმად ქცეულ ხალიჩაზე. ჯულიეტაც ვარსკვლავია, მეჯლისის ვარსკვლავი. პაპარაცოები სურათებს უღებენ, აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები ფეხქვეშ ვარდებს უყრიან, ყველა მოხიბლულია მისით. ჯულიეტა რამპასთან მიდის და მიკროფონს იმარჯვებს - მეჯლისის მრავალრიცხოვან სტუმრებს მასპინძლის ქალიშვილი მიკროფონით ესალმება. მიზანსცენა არც თუ ისე აზრიანია, მაგრამ ლამაზი და ეფექტური. საერთოდ ეს სპექტაკლი მდიდარია თვალისმომჭრელი ეფექტებით - ხან შუშხუნების წვიმა მოდის ციდან, ხან ფოიერვერკი სცენის სიღრმიდან იწყება, ხანაც შუქ-ჩრდილების საოცარი თამაში აჯადოვებს მაყურებელს. მხოლოდ დიდ თეატრს თუ შეუძლია საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლება მისცეს...

საყოველთაო ყურადღების ცენტრში მომხიბვლელად მომღიმარი ცისფერთვალება ჯულიეტაა, რომელიც ავსტრიული პუბლიკის ნებიერა გახლავთ. უნგრელ ანდრეა როშტს საქართველოშიც კარგად იცნობენ, მაგრამ მის გვარს რატომღაც ყოველთვის დამახინჯებით წარმოთქვამენ - როსტი, რაც უხეში შეცდომაა. ეს საოცარი სოპრანო ქართველ ოპერის მოყვარულებს კარგად უნდა ახსოვდეთ - ის 1998 წელს პაატა ბურჭულაძის მიერ ორგანიზირებულ საოპერო მუსიკის ფესტივალ "ბრავოს!" სტუმარი იყო და მაშინ მისმა ჯილდამ თბილისში მართლაც რომ ფურორი მოახდინა. იმ დღის მერე ანდრეა როშტი ჩემი უსაყვარლესი მომღეალია და თუ შესაძლებლობა მაქვს, ყოველთვის მივდივარ მის მოსასმენად. ისიც არასოდეს მიცრუებს იმედს და მუდამ არაჩვეულებრივია. ჯულიეტას პარტიაში ანდრეა როშტი შესანიშნავია. ეს როლი მისთვის მეტად მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ 1989 წელს მისი საოპერო დებიუტი ბუდაპეშტის ალამი ოპერა ჰაზში სწორედ გუნოს "რომეო და ჯულიეტაში" შედგა....

საოცრად კარგი იყო ჯუზეპე საბატინიც, უნგრელი ჯულიეტას იტალიელი რომეო. ორივე ისე ლამაზად, ისეთი საოცარი გრძნობით და გულწრფელობით მღეროდა, რომ სულაც არ მეხამუშებოდა მოკლე პენუარიანი, კისრამდე თმაშემოჭრილი ფეხშიშველი ჯულიეტა, შავშარვლიანი რომეო, ყვითელ სათვალიანი, ოქროსფერ შლაქსებში გამოწყობილი ტიბალდი, ველოსიპედზე შემომჯდარი სტეფანო თუ სექსუალური ძიძა ჰერტრუდა... გარეგნულად ყველაფერი ისე იყო, როგორც არ უნდა ყოფილიყო, როგორც არანაირად არ უგულისხმია შექსპირს და რაც თანამედროვე რეჟისორთა მძიმე სენია, მაგრამ ბრწყინვალე მომღერლებით მოხიბლული, ამ გადახრებს უკვე ველარ ვამჩნევდი. მერე რა, რომ პატრი ლორენცო ღირსეული წმინდა მამა კი არა, ოდნავ მოყეყეჩო სოფლის მღვდელი იყო და ჯულიეტა ჯვრისწერაზე მოკლე მწვანე კაბით გამოცხადდა, რაც სასტიკად არ უხდებოდა; მერე რა, რომ ჯვრისწერა კომედია უფრო გამოვიდა, ვიდრე ამაღლებული საეკლესიო რიტუალი, ეს ყველაფერი ხომ უბრალოდ მეორეხარისხოვანია...

დიდებული იყო ჯულიეტას მეორე არია - რა ჯობია, დასაძინებელი წამლის დალევა თუ პარისზე გათხოვება? რა თქმა უნდა პირველი ვარიანტი, მაგრამ რომეოს მოსვალმდე რომ გამოეღვიძოს

ჯუზეპე საბატინი

ანდრეა როშტი

აკლდამაში მკვდრებს შორის? მაგრამ არა, შორს სულებო და მოჩვენებებო! რომეო, შენს სადღეგრძელოს ვსვამ! არაჩვეულებრივია!

და ეს ფინალი? რა შეუბრალებელი კაცი ყოფილა შარლ ფრანსუა გუნო?! როგორ შეეძლო ასეთი სასტიკი ფინალის შექმნა? შექსპირისეული ორიგინალი სართოდ ამოტრიალებულია. რომეო საწამლავს სვამს და სწორედ ამ დროს ჯულიეტა იღვიძებს. ოო, წავიდეთ, გავიქცეთ აქედან, წინ ბედნიერება გველოდება! მაგრამ ბედნიერება მათთვის არ არსებობს. რომეოს ღონე აკლდება, სასოწარკვეთილი ჯულიეტა კი ხმლით ისერავს ვენებს. დასუსტებული შეყვარებულები უკანასკნელ ძალას იკრეფენ და ხოხვით უახლოვდებიან ერთმანეთს, ჩახვეულნი ერთად ტოვებენ სასტიკ ქალაქ ვერონას...

ფარდა ეშვება. თავდავიწყებით ვუკრავ ტაშს და ამ გზით ვცდილობ ემოციებისგან გათავისუფლებას. ანდრეა როშტი და ჯუზეპე საბატინი ავანსცენაზე გამოდიან. ორივეს კარგად ეტყობა გადატანილი მღელვარების კვალი, ვერც ერთი ვერ ახერხებს დარბაზისთვის სავალდებულო ღიმილის ჩუქებას. დარბაზი კი გუგუნებს, ბორგავს, მთელ დასს, გუნდს და ორკესტრს აღფრთოვანებული ტაშით აჯილდოვებს. ბოლოს და ბოლოს, როცა მაყურებელმა მომღერლები მეშვიდედ თუ მერვედ გამოიხმო ავანსცენაზე, ჯუზეპე საბატინის სახეზე ღიმილი აისახა, ანდრეა როშტი კი კვლავაც სერიოზულია.

იტალიელი ტენორი თაყვანისმცემლებთან შეხვედრისასაც საოცრად ხალისიანი და მხიარულია. დაუზარებლად არიგებს ავტოგრაფებს და სიამოვნებით იღებს სურათებს ყველასთან, ვისაც კი ამის სურვილი აქვს. მეც უაღრესად თავაზიანად მხვდება და აშკარად უხარია, რომ იტალიურად ველაპარაკები. გერმანული მგონი საერთოდ არ იცის. სინიორ საბატინი მოღვაწეობას ამთავრებს და ასპარეზს ანდრეა როშტს უთმობს. საბატინისგან განსხვავებით, ჩემი უნგრული ქალბატონ როშტზე დიდ შტაბეჭდილებას ნამდვილად ვერ ახდენს. მაშინვე ხვდება, რომ უნგრელი არ ვარ და პასუხს გერმანულად მაძლევს. თუმცა უნგრულად ნათქვამი კომპლიმენტი მაინც სასიკეთოდ მადგება - პრიმადონა ავტოგრაფსაც მაძლევს და არც ჩემთან ერთად სურათის გადაღებაზე ამბობს უარს. ბედნიერი და კმაყოფილი გამოვდივარ გარეთ. ალეწილ ლოყებს სასიამოვნოდ ხვდება ღამის სიგრილე. რა საოცარი დღე იყო! კიდევ ერთხელ მინდა ამ სპექტაკლის ნახვა, ოღონდ ამჯერად პარტერში ჯდომის ნაცვლად ფეხზე დგომა მომიწევს... "სიმონ ბოკანეგრაც" მინდა, "ტურანდოტიც"... ღმერთო, რამდენი რამეა! მშვენიერია ასეთ ქალაქში ცხოვრება...

კედლის ლიდერები გალერეაში

"ტროპიზმის" მეოთხე გამოფენა "ჰობიში" გაიმართა

გუშინ გალერეა "ჰობიში" ახალგაზრდული აღტკინებითა და ილუზიებით მორიგი გამოფენა გაიხსნა. "ტროპიზმის" გარშემო გაერთიანებული ახალგაზრდა მხატვრების გუშინდელ ნამუშევრებს ძირითადად, თანატოლები აფასებდნენ. ფინანსურ და მორალურ მხარდამჭერთაგან კი გახსნას "ორიფლეიმის" წარმომადგენლები და სამახატვრო აკადემიის პრორექტორი, მხატვარი გია ბუღაძე დაესწრნენ.

ვერა ნეფარიძე

"დღეს, როდესაც უკვე შესაძლებელია ძროხამ მოიგოს ბიზონი ისე, რომ თვალითაც არ ენახოს მანამდე სხვა ბიზონი ან სულაც ძროხა, და ვიღაც ბიოლოგი იყოს მისთვის ერთადერთი ბიოლოგიური არსება, რომელიც კი ოდესმე უნახავს მას, სხვა გზა არ გვრჩება გარდა იმისა, რომ ვაღიაროთ: ოცდამეერთე საუკუნე ჭეშმარიტად გენური ინჟინერიის საუკუნეა!!!", - ეს ნაწყვეტი "ტროპისტების" მანიფესტიდანაა, სადაც ავტორები საკუთარი შემოქმედებისა და მათივე გაერთიანების ძირითად მიზანს წარმოაჩენენ.

"ტროპისტების" იდეას სამი ახალგაზრდა მხატვარი: ლაშა ძიძიკაშვილი, ბესა ქართლელიშვილი და გიგლა ხუტაშვილი იზიარებენ. ისინი თბილისის სამხატვრო აკადემიის, მონუმენტური მხატვრობისა და ფერწერის სტუდენტები არიან. მათ გუშინ "ტროპიზმის" სახელწოდების ქვეშ თბილისში მეოთხე გამოფენა მოაწყვეს. "ტროპიზმი ოცდამეერთე საუკუნის ხელოვნებაა, რომელიც ძირითადად ფაქტურებზეა აგებული. ფაქტურას ჩვენთან იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ფერწერას", - გვიხსნის ერთ-ერთი ტროპისტი ლაშა ძიძიკაშვილი. "ტროპისტები" დარწმუნებულები არიან, მათი ნამუშევრები გასული საუკუნის მიგნებების შეჯამებაა. ხოლო, საკუთარი შემოქმედებითი გაერთიანება ხელოვნებაში უკანასკნელი "იზმი" რომ იქნება, ეჭვი არც ამაში ეპარებათ".

"ტროპისტები" აღიარებენ, რომ იდეების სიახლით ვერ გააოცებენ საზოგადოებას. სამაგიეროდ, არსებობს ფორმა - "შთამბეჭდავი ზომისა და ფორმის ფაქტურა" (როგორც მათივე მანიფესტში წერია); ანუ ის, რაც განსაკუთრებულად ეჩვენებათ ახალგაზრდების ნამუშევრებში. "ფაქტურის ელემენტი, რომელიც შემოდის ამ ნამუშევრებში იმ გაგებით, რა გაგებითაც იყენებენ, მართლაც უცხოა. ამით რელიეფი ფაქტობრივად, ნახატს იმეორებს და სხვა ნახატს ქმნის", - ამბობს გია ბუღაძე. ცნობილი მხატვრის ყურადღება "ტროპისტებმა" თურმე რამდენიმე ხნის წინათ მიიპყრეს. მათ შესაძლებლობებში კი სამხატვრო აკადემიის პრორექტორი ცნობილი კედლის მოხატვისას დარწმუნდა. "კედლის ურთულესი ნაწილები მათ აითვისეს. ისინი შესანიშნავად მუშაობენ დიდ ფორმატებზე და ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს", - გაგვიმხილა კედლის იდეის ერთ-ერთმა ავტორმა გია ბუღაძემ. ახალგაზრდების თვითმარქვიობას კი მათი უფროსი კოლეგა ცოტა არასერიოზულად აღიქვამს და მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი უფრო ახალგაზრდული ილუზია და კარგი ოცნებაა; ახალგაზრდული ჟინი, გამოიგონონ რაიმე ახალი. გამოცდილი მხატვრისთვის უფრო მთავარია ის ტემპერამენტი და კეთილსინდისიერი პროფესიონალიზმი, რითაც "ტროპისტები" გამოირჩევიან.

გუშინდელ გამოფენაზე ძირითადად, "ტროპისტების" ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები ჭარბობდა. თუმცა, იყო ისეთი აბსტრაქტული თემები, როგორიცაა: "ყველაფერი გამჭვირვალეა ყველასათვის" ან "ღამე". შეიძლება ითქვას, რომ ავტორები მიზანს, ფაქტურა არ შეიმჩნეოდეს ტილოზე, ამ ნამუშევრებში მეტ-ნაკლებად აღწევენ. ფერწერულ ტილოებს მათთვის სასურველ ფორმას სხვადასხვა დრეკადი ნივთების (ზამბარები, რეზინის ქოშები, რეზინის ნაჭრები) აძლევენ. რაც მთავარია ავტორებისთვის, გამოფენა თანატოლებთან ერთად გამოცდილმა კოლეგებმაც მოუწონეს. ამ ყველაფრის დათვალიერების შემდეგ გია ბუღაძემ თითქოს აღუთქვა ახალგაზრდებს: "აკადემია იყო და დარჩება ლიბერალიზმისა და თავისუფალი შემოქმედების კერად". უახლოესი სამომავლო გეგმის სახით კი გაუმხილა საზოგადოებას, რომ მალე აკადემიაში თემატური ჯგუფები შეიკრიბება, სადაც ერთი კონცეფციის გარშემო სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები იმუშავებენ. ამ ყველაფრის მიზანი კი ერთი - ჩვენი ნაცრისფერი ქალაქის გალამაზება იქნება.

ბესო გულაშვილის ფოტო

"ტროპიზმის" თაყვანისმცემლები

კალენდარი

28 ნოემბერი



"ადამიანი, რომელსაც სურვილი აქვს და არ მოქმედებს, გადამდებია" - ეს სიტყვები ინგლისელ პოეტს - უილიამ ბლეიკს ეკუთვნის. უილიამ ბლეიკის პოეზია XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში რომანტიზმის მიმდინარეობას დაედო საფუძვლად. ბლეიკის პოეზია შემოქმედებით სტილთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ის ერთდროულად მხატვარიცაა, ლირიკოსი პოეტიც და ბრწყინვალე მისტიკოსიც, ავტორი მარტივი და ლირიკული "უმანკოებისა და განცდის სიმღერებისა" და ორაზროვანი "სამოთხისა და ჯოჯოხეთის ქორწინებისა". ბლეიკის პოეტური ნიმუშები მომაჯადოებელია, დამაინტრიგებელი და ზოგჯერ თავგზასაც კი უბნევს მკითხველს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მოყოლებული ბლეიკის მკითხველებს ერთი შეკითხვა არ ასვენებდათ: იყო კი პოეტი საღ გონებაზე, თუ მთელი მისი შემოქმედება შეშლილი გონის ნაყოფს წარმოადგენდა? ერთი პოეტი წერდა კიდეც: ეს კაცი ნამდვილად შეშლილი იყო, მაგრამ ამას ხომ მნიშვნელობა არა აქვს; ბლეიკის პოეზიაში არის ის რაღაც, რაც ბევრად უფრო მაინტერესებს, ვიდრე ე.წ. ჯანმრთელი პოეტების - ბაირონისა და სკოტის მხატვრული სახეებიო.

რაც დრო გადის, ბლეიკის პოეზია, ცოტა არ იყოს, ძნელად აღსაქმელი ხდება, ეს იმიტომ, რომ ინგლისელი პოეტი დამკვიდრებული მხატვრული სახეებით კი არ აზროვნებს, არამედ საკუთარი სიმბოლოები შემოაქვს.

უილიამ ბლეიკი 1757 წლის 28 ნოემბერს დაიბადა.

ფრენკ გარის პროექტი იერუსალიმში

ნინო ჟანიშვილი

სიმონ ვიზენტალის ცენტრი, რომელიც ლოს ანჟელესში მდებარეობს, იერუსალიმში გრანდიოზული ფილიალის გახსნას გეგმავს. ეს იქნება შემწყნარებლობის მუზეუმი, რომელიც ქალაქის შუაგულში აღიმართება. მუზეუმს ამ საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი 150 მილიონიანი გრანტით ცნობილი ამერიკელი არქიტექტორი, ფრენკ გარი ააშენებს. ფრენკ გარის არქიტექტორული პროექტები, რომელთა შორისაა გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში, გრანდიოზული საკონცერტო დარბაზი "სუპერბოული" კალიფორნიაში და სხვა მრავალი, აშენებისთანავე ტურისტულ ატრაქციონებად იქცევა ხოლმე.

ახალი მუზეუმის შენობა გრანდიოზული იქნება – 48 ათასი კვადრატული მეტრი, აგებული მთლიანად მინისგან, ფოლადისგან, ცისფერი ტიტანისგან და ადგილობრივი კირქვისგან. შიგნით ყველაფერი ტოლერანტობის პროპაგანდისთვის გაიმართება – დიდი საკონფერენციო დარბაზი, საგამოფენო მოედნები, ბიბლიოთეკა, თეატრი, ბარები.

სიმონ ვიზენტალის ცენტრი 1977 წლიდან მუშაობს. შემწყნარებლობის ერთი მუზეუმი ამ ორგანიზაციას უკვე დაარსებული აქვს – კალიფორნიაში. ცენტრის მთავარი მიზანი კი არის სასტიკი და უკომპრომისო ბრძოლა არატოლერანტობასთან, ახლო აღმოსავლეთის ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან, ნეონაციზმთან, ცენტრის სურვილია ინტერნეტში ზნეობრივი ცენზურის განხორციელება და რაც მთავარია საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელება ჰოლოკოსტისა და სიმონ ვიზენტალის ცენტრის მოღვაწეობის შესახებ.

თავად ამ ორგანიზაციის ფუძემდებელი სასწაულით გადაურჩა თავიდან რუსების, შემდეგ კი გერმანელების მიერ ოკუპირებულ ლვოვს. მოხვდა რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკში, საიდანაც ასევე უვნებელი გამოვიდა. ომის შემდეგ კი მთელი თავისი ცხოვრება ნაცისტების ძებნას და მათ გასამართლებას მიუძღვნა. რომ არა ვიზენტალის დახმარება, ამერიკელთა გლობალური ნადირობა პენსიონერ ნაცისტებზე წარუმატებელი გამოდგებოდა. ხოლო როცა შემდგომ ამერიკელები ცივ ომზე გადაერთვნენ, ვიზენტალმა თანამშრომლობა ისრაელთან და დასავლეთ გერმანიასთან დაიწყო. სწორედ ვიზენტალის დახმარებით იპოვეს ეიჰმანი – "ყველა დროის უსასტიკესი მკვლელი", და მისივე წყალობით დაიჭირეს ზილბერბაუერი - ის ვინც ანა ფრანკი დააპატიმრა. 1966 წელს ვიზენტალმა კიდევ 9 ნაცისტი დაიჭირა. ხოლო 1967 წელს გამოსცა წიგნი "მკვლელები ჩვენს შორის".

შემწყნარებლობის მუზეუმის პროექტის პრეზენტაცია ისრაელის პრეზიდენტის მოშე კაცავას რეზიდენციაში გაიმართა. მუზეუმი 2007 წლისთვის აშენდება. როგორც პრეზენტაციაზე იერუსალიმის პროექტის ხელმძღვანელმა მერვ ადელსონმა განაცხადა მუზეუმი დიდ წვლილს შეიტანს ისრაელის კულტურის, განათლების და ეკონომიკის განვითარების სფეროში. პროექტის ავტორების მთავარ იმედს კი რა თქმა უნდა ფრენკ გარის სახელი და მისი მორიგი არქიტექტორული შედევრი წარმოადგენს. ფრენკ გარის მიერ 1997 წელს ბილბაოში აშენებული გუგენჰაიმის მუზეუმის წყალობით, ესპანეთის ეს ქალაქი მსოფლიო ტურიზმის რუკაზე მოხვდა - მხოლოდ 2001 წელს ბილბაომ ქვეყნის ბიუჯეტს 200 მილიონი დოლარი მოუტანა.

ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმი

თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ იერუსალიმის მუზეუმმა მსგავსი დატვირთვა შეიძინოს, რომ იგი მილიონობით ტურისტს მიიზიდავს. გასათვალისწინებელია ისიც რომ ახალი მუზეუმის გარეგნული სახე ფრენკ გარის სხვა არქიტექტურულ პროექტებს წააგავს. უნდა ითქვას ისიც, რომ შოკსაც აღარ იწვევს ადამიანებში ფრენკ გარის მთელ მსოფლიოში აშენებული ფანტასტიკური, დეკონსტრუქციული ნაგებობები.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

რენესანსის შემდგომ

ალორძინების ეპოქის შემდეგ იტალია ევროპულ კულტურაში კვლავ ინარჩუნებს წამყვან როლს. იტალიური გვიანი რენესანსი განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა ხელოვნების შემდგომი ევოლუციისათვის. აქ დაგროვილი უზარმაზარი მხატვრული გამოცდილება, პროფესიონალიზმის მაღალი დონე საკმარისი გარანტი იყო იტალიის ავანგარდული მდგომარეობის შესანარჩუნებლად მთელი ევროპის მასშტაბით. რომი, სადაც კონცენტრირებული იყო ანტიკური სიძველისა და რენესანსული ხელოვნების ძეგლები, იზიდავდა ყველას. ამ მხრივ რომის გავლენა და პოპულარობა XVII-XVIII საუკუნეებში შეუდარებელი იყო.

1589 წელს ბოლონიაში ფუნქციონირებას იწყებს ხელოვნების აკადემია, რომლის დამაარსებლები იყვნენ ძმები **კარაჩები**. ეს აკადემია მიზნად ისახავდა რენესანსული კლასიკის ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას. სულ მალე, 90-იან წლებში კარაჩები განაგრძობენ მოღვაწეობას რომში, სადაც საუკეთესო პირობები იყო მათი ხელოვნების გაფურჩქნისათვისა და მხატვრული იდეების იტალიის გარეთ ექსპორტისათვის. ყოველივე ამას თავისი პრაქტიკული შედეგებიც ჰქონდა. რომში ჩასვა, ანტიკური და რენესანსული მემკვიდრეობის დათვალიერება და შესწავლა აუცილებელი გახდა არა მარტო აკადემიური გემოვნების მხატვრებისთვის,

რომი, პიაცა ნავონა – არქიტექტორი ლორენცო ბერნინი

არამედ ის ცოცხალ ინტერესს აღვივებდა ყველაში.

მაგალითად, რომში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ფრანგი მხატვრები **ნიკოლა პუსენი** და **კლოდ ლორენი**. აქვე არსებობდა ჰოლანდიელ მხატვართა მთელი კოლონია. იტალია ხელოვანთა ნამდვილ მექად იქცა.

რომში არა მარტო აკადემიური ხელოვნების დოქტრინა ყალიბდება, არამედ აქ საფუძველი ეყრება ახალი ხელოვნების შემოქმედებით პრინციპებს, მუშავდება ახალი მხატვრული ენა და ახალი სტილური სისტემები: ბაროკო, კლასიციზმი და სწორედ აქ ხდება **კარავაჯოს** მხატვრული რეფორმა. რომიდან მოხდა ამ რეფორმათა მონაპოვრების გატანა იტალიის საზღვრებს გარეთ. მაგალითად, კლასიციზმმა თავისი საბოლოო სახე საფრანგეთში მიიღო, ბაროკომ — ფლამანდიაში, კარავაჯოს რეფორმამ კი უშუალო გამგრძელებლები ჰოლანდიაში პოვა.

სხვადასხვა დარგების ურთიერთმიმართება

კარავაჯო, წმ. ფრანჩესკოს ექსტაზი

რენესანსში არსებობდა ეგრეთ წოდებული კოორდინაციული პრინციპი, როდესაც ხელოვნების ყოველი დარგი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და ყოველ მხატვრულ ანსამბლში ხდებოდა თანაბარღირებული ელემენტების კოორდინირება, ანუ თანწყობა.

ამისგან განსხვავებით, ბაროკალური ხელოვნება გვთავაზობს მნახველთან ურთიერთობის ახალ ტიპს. მისი ნიმუში არაა თავის თავში ჩაკეტილი და მნახველისაგან იზოლირებული, როგორც რენესანსში, სადაც ნაწარმოების აღქმა მოითხოვდა შინაგან კონცენტრირებას და აქტიურ მონაწილეობას. ამისგან განსხვავებით ბაროკოს სტილის ნაწარმოები ადამიანს უშუალოდ ატყდება თავს თავბრუდამხვევი დინამიკით, უშრეტი ენერგიით, ფორმათა სიუხვით. განსაკუთრებით საგრძნობია ეს აგრესია კოლექტიური აღქმისთვის განკუთვნილ ნაწარმოებებში. მართლაც, ბაროკალური არქიტექტურის პირისპირ მდგომი მნახველი თითქმის ფიზიკურად შეიგრძნობს ამგვარ ზეწოლას, იგი ხდება არქიტექტურის ფორმირებისა და მისი აქტიური ცხოვრების უშუალო მოწმე და თანამონაწილე.

ბაროკოში ახალი ძალით დგება ხელოვნებათა სინთეზის პრობლემა. შეუძლებელია ახლა არქიტექტურა აღიქვა ხელოვნების სხვა დარგებისაგან იზოლირებულად. ბაროკალური მხატვრული ანსამბლი ეფუძნება სინთეზის სუბორდინაციულ პრინციპს, ანუ ქვეწყობას: როცა ხელოვნების სხვა დარგები ემორჩილება ერთ დომინანტს, რომელსაც არქიტექტურა წარმოადგენს. სწორედ არქიტექტურის კომპოზიციური სტრუქტურა ასრულებს უმთავრეს მაორგანიზებელ როლს სკულპტურის, ფერწერის, დეკორატიული ფერწერის ადგილისა და ხასიათის განსაზღვრისას. ამ ელემენტებს შორის მკაფიო საზღვარი იშლება და ისინი დინამიურ მხატვრულ მთლიანობას ქმნიან. მკაცრ კონფიგურაციას მოკლებული არქიტექტურული ფორმები გაგრძელებას პოულობენ ქანდაკებისა თუ ფერწერის დინამიკაში. ინტერიერისა და ექსტერიერის კედლები უხვად იფარება დეკორატიული სამკაულებით, რაც არქიტექტურას კონსტრუქციულ მკაფიოებას ართმევს. მაგალითად, ჭერის მოხატულობაში, ანუ ფერწერულ პლაფონებში მიღწეულია სივრცის ილუზორული გარღვევისა და გაფართოების ეფექტი.

რენესანსული კოორდინაციის ბაროკალური სუბორდინაციით შეცვლა ხელოვნების სხვა დარგებშიც შეიმჩნევა. მაგალითად, თხრობითი იგავი, ნოველა, რომელიც რენესანსული ლიტერატურის ძირითადი ელემენტი იყო, ბაროკოს ეპოქაში მდიდრდება სხვადასხვა რიტორიკული ხერხებით. უფრო ხშირად გვხვდება რთული ალეგორიები და მრავალსართულიანი მეტაფორები. სინტაქსური ძიება რთული ქვეწყობილი წინადადების სფეროში გადადის, ხოლო სიუჟეტურ განვითარებაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება გადახვევას.

ლიტერატურული და ეთიკური თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა XVII საუკუნის ერთი იტალიური ტრაქტატი, რომლის სათაურია "პატიოსანი დისიმულაცია": საქმე ეხება ადამიანის ნამდვილ გრძნობათა და აზრთა ეთიკურად გამართლებულ დაფარვას.

პირველი ევროპული აკადემიები

სტატია "აკადემია" ფრანგ განმანათლებელთა მიერ გამოცემულ "ენციკლოპედიაში" ***ჟან ბატისტ დ'ალამბერს*** *ეკუთვნის. მასში, კერძოდ, ვკითხულობთ: "მარტო იტალიაში მეტი აკადემიაა, ვიდრე ერთად აღებულ დანარჩენ მსოფლიოში. ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან ქალაქში მოიპოვება მეცნიერთა რაოდენობა, რომელიც საკმარისია აკადემიის დასაარსებლად. ისინიც აარსებენ". ამ წინადადებაში შეინიშნება ერთგვარი ირონიული ტონი, რომელიც უფრო ქვემოთ, როცა დ'ალამბერი იტალიურ აკადემიათა სახელწოდებების ჩამოთვლას იწყებს, საბოლოოდ აშკარავდება და სრულიად დამცინავ ფრაზაში აღწევს მწვერვალს: "ეს ფრიად უცნაური და ღვლარჭნილი სახელწოდებები". ფრანგი განმანათლებლის აზრით, საჭირო არაა იტალიურ აკადემიათა არსში ღრმად ჩაძიება: მის გასარკვევად საკმარისია "უცნაურ" სახელწოდებათა სია.*
რას იზამ, დ'ალამბერი XVIII საუკუნეში ცხოვრობდა, როცა განმანათლებელ მოაზროვნეთა აზრით მხოლოდ იმ აკადემიებს ჰქონდა მნიშვნელობა, რომლებიც "საზოგადოებრივი სარგებლის", "პროგრესისა" და ხალხთა "ბედნიერების" ლოზუნგებს შეესაბამებოდა. ამგვარი აკადემიები მხოლოდ საერთოეროვნული შეიძლება ყოფილიყო, ცენტრალიზებული და მეფეთა მფარველობის ქვეშ მყოფი. მსგავსი იდეა უდევს საფუძვლად საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიას, მაგრამ რა იყო სინამდვილეში მეცნიერებათა აკადემია თავისი წარმოშობის ხანს?

გადაწერილი ისტორია

ფრანგული განმანათლებლობის ფუნდამენტურ ნაშრომში, რომლის სრული სათაურია "ენციკლოპედია, ანუ მეცნიერებათა, ხელოვნებათა და ხელობათა განმარტებითი ლექსიკონი", დ'ალამბერი არცთუ შოვინისტური პათოსის გარეშე აღიარებს, რომ მეცნიერებათა აკადემიის ჭეშმარიტი ეტალონი საფრანგეთის სამეფო აკადემიაა, რომელიც კოლბერმა დააარსა. ამის შემდეგ ავტორი აკადემიის წარმოშობის თავის ვერსიას სთავაზობს "ენციკლოპედიის" მკითხველს. "პირველი აკადემია, — წერს იგი, — რომლის დაარსების შესახებ ჩვენ ვიცით, არის **კარლოს დიდის** მიერ **ალკუინის** რჩევით დაარსებული აკადემია".

ასე და ამგვარად, სწორედ საფრანგეთი, მისი ხანგრძლივი იმპერიულ-მონარქიული ტრადიციაა მიჩნეული აკადემიის აკვნად და ამ დაწესებულების ისტორიის მწვერვალადაც. ყველა დანარჩენი "ეროვნული" თუ "სამეფო" სამეცნიერო დაწესებულებები მხოლოდ პარიზული ეტალონის მიბაძვაა.

დ'ალამბერის სტატიაში მოცემულია აკადემიის იდეის ისტორიული განვითარება: "ახალ დროში აკადემია, ჩვეულებრივ, ეწოდება ლიტერატორთა საზოგადოებას ან თანამეგობრობას, რომელიც დაარსებულია მეცნიერებათა და ხელოვნების დარგთა გავრცელებისა და სრულყოფისათვის". შემდეგ განმარტებულია მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტს შორის განსხვავება და ნათქვამია, რომ "აკადემიას შეადგენენ არა უფრო მცოდნეთაგან აღზრდილი მოწაფეები, არამედ განსაკუთრებული ნიჭიერებით აღნიშნული ადამიანები, რომლებიც თავიანთ განათლებულობას ერთმანეთს უზიარებენ და საყოველთაო სარგებლის მისაღწევად ერთმანეთს ამცნობენ თავიანთ აღმოჩენებს".

არაფერია ნათქვამი არც იმის შესახებ, თუ სად და რატომ წარმოიშვა უნივერსიტეტისაგან განსახვავებული ორგანიზაციის ეს ახალი ფორმა, არც იმის თაობაზე, თუ რა განსხვავებაა საზოგადოებასა და თანამეგობრობას შორის, ყოველთვის იყო თუ არა აკადემიის ფუნქცია "აღმოჩენებისა და განათლებულობის გაზიარება" და რატომაა, რომ ყოველი აკადემია რაღაც განსაკუთრებული დევიზის მიხედვით იქმნება.

პირველი საჯარო ბიბლიოთეკა ფლორენციაში – ˝ლაურენციანა˝

ჩვენი "ენ-ჯე-ო ცივილიზაციის" წარმომადგენელთა მსგავსად, "ენციკლოპედიის" ავტორებიც მთლიანად აწმყოში არიან ჩაფლულნი, მათ არ აინტერესებთ ისტორიული გამოცდილების სისავსე, მათ ამისათვის არა სცხელათ, რადგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აწუხებთ.

მაგრამ რა იყო წარსულში. ნუთუ მართლა მხოლოდ კარლოს დიდი და ალკუინი — ინგლისური წარმოშობის, ქალაქ იორკიდან მოსული მწიგნობარი? სინამდვილეში აკადემიამ, როგორც სოციალურ-კულტურულმა ფენომენმა განვითარების ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვლო, რომლის ძირითადი მოვლენები იტალიურ სცენაზე განვითარდა.

აკადემია როგორც კულტურული ფორმა

ასიოდე წლით ადრე, XVII საუკუნის დასაწყისში ფლორენციულმა "აკადემია დელა კრუსკამ" გამოუშვა "ლექსიკონი", რომელშიც ასეთი განმარტება იყო მოცემული: "აკადემია — ანტიკურობაში ფილოსოფოსთა სექტა, რომელიც ამგვარად უწოდებდა საკუთარ თავს... დღეს — ნასწავლ კაცთა კრებული".

უნდა ითქვას, რომ "კრუსკა" იტალიურად ქატოს ნიშნავს. აკადემია მიზნად იტალიური ენის სიწმინდის შენარჩუნებას ისახავდა და ლამობდა იტალიური ენიდან ქატოს განდევნასა და მხოლოდ ფქვილის დატოვებას. ამიტომაც შეიქმნა ეს იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ლექსიკონის შექმნის დროისათვის აკადემიის სტრუქტურა იტალიაში უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული იყო. როგორც ვხედავთ, იტალიური აკადემიაც საკუთარ თავს წარსულის დავიწყების საშუალებით განსაზღვრავს. სტატიის შინაარსი თანამედროვეობის მოთხოვნებითაა განმსჭვალული, იგი "დღევანდელობას" გამოხატავს (ნასწავლ კაცთა კრებული) და საკმაოდ სქემატურად ასახავს ისტორიას. განსხვავება მნიშვნელოვანია: თუ ფრანგული განმანათლებლობა წარსულს თავისი ეროვნული დიდების განსამტკიცებლად გადაწერს, იტალიურ აკადემიაში სულ სხვა მიმართულებაა გაბატონებული: ჰუმანსტთა მიერ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ხაზგასმული უნდა იყოს ანტიკური მემკვიდრეობის გაგრძელება.

მოკლე სალექსიკონო სტატიაში ნათლად იკითხება აზრისა და ღირებულებათა ჰუმანისტური ყალიბი: "კრებულში" გაერთიანებული "ნასწავლი კაცები". ვინ არიან ისინი? — რენესანსის ეპოქის სწორედ ის მრავალრიცხოვანი მოღვაწენი, რომელთა მეცადინეობით შეიქმნა პირველი აკადემიები, რომლებმაც შუასაუკუნეობრივ ხელოსანთა კორპორაციების სტრუქტურა და ანტიკური ტრადიციის შესახებ თანამედროვე წარმოდგენები გააერთიანა.

დაყრდნობა ანტიკურ აკადემიაზე გაცილებით უფრო მეტ მნიშვნელობას ატარებს, ვიდრე უბრალო ეტიმოლოგიური აუცილებლობაა. აქ, ერთი მხრივ, მოცემულია ზოგადი პრინციპი: ანტიკური მოდელის თანახმად მეცნიერების განვითარების ყველაზე ეფექტური საშუალება ნასწავლ კაცთა შორის დიალოგია. მეორე მხრივ კი ამკვიდრებს ყველა შესაძლო აკადემიისათვის ერთადერთ აუცილებელ არქეტიპს: პლატონის აკადემიას.

დ'ალამბერის თანამედროვე იტალიელი სწავლული, **ჯიროლამო ტირაბოსკი** (1731-1794) თავის ნაშრომში "იტალიური ლიტერატურის ისტორია" (1772-1794) ასე განმარტავს აკადემიას: "ამ სახელწოდების ქვეშ ვგულისხმობ ერთმანეთთან გარკვეული კანონებით დაკავშირებულ ნასწავლ კაცთა საზოგადოებას, რომელმაც თავისი თავი თვითონ დაუმორჩილა ხსენებულ კანონებს. ეს კაცები ერთად იკრიბებიან და რაიმე მეცნიერული საკითხის გარშემო კამათს იწყებენ, ან თავიანთი კოლეგების განსასჯელად გამოაქვთ ერთ-ერთი მათგანის ნიჭითა და მეცადინეობით შექმნილი რაიმე თხზულება".

როგორც ვხედავთ, აკადემია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა წარმოიქმნება ჯგუფი, ნასწავლი კაცების კრებული: თავისი ელემენტარული ინსტიტუციური ფორმით აკადემია კოლექტიური სუბიექტია. აქედან გამომდინარე არაა მართებული, როცა მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას მისი ცალკეული წევრების წვლილის ანალიზით ცდილობენ. ასეთ შემთხვევაში აქცენტი მოდის განსაკუთრებულად ავტორიტეტულ ფიგურებზე, რომელთაც პრესტიჟის შარავანდედი ახვევია. აკადემია, როგორც ასეთი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მისი შემადგენელი "აკადემიკოსების" ჯამზე.

აკადემიის შეფასებისას პირიქით უნდა მოვიქცეთ: მისი ყოველი ცალკეული წევრის სამეცნიერო პროდუქცია აკადემიის ერთიან კონტექსტში ჩავწეროთ და ამგვარად გამოვყოთ არსებული მიმართულებები და ტენდენციები.

ბოლოს და ბოლოს, რა არის აკადემია? თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად (თუმცა ამ ჩანაფიქრის შინაარსი ჯერ არ იყო შეგნებული და სიტყვებით გამოხატული), ეს არის ადგილი, სადაც ხდება, მეცნიერულად რომ ვთქვათ, კომუნიკაციური აქტების სოციალიზაცია. რას ნიშნავს ეს? — ყოველი მეცნიერული ნაშრომი აუცილებლად შეიცავს რაღაც უწყებას, შეტყობინებას, რაღაცას ამცნობს მკითხველსა თუ მსმენელს. შესაბამისად, მეცნიერული ნაშრომის კითხვა შეტყობინების გადაცემაა, ანუ კომუნიკაციური აქტი. კითხვის პროცესში ჩვენ ვეუფლებით ავტორის იდეებს, ვღებულობთ ან არ ვღებულობთ მათ. ეს ურთიერთობაა. მაგრამ როცა სამეცნიერო ნაშრომი წაიკითხება რაღაც საზოგადოებაში, სადაც მოეწყობა მისი საჯარო განხილვა და მის ირგვლივ წარმოიშობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი, ეს უკვე უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ურთიერთობა და უწყების მარტივი მოგზაურობა გადამცემისგან მიმღებამდე. საჯარო განხილვის საშუალებით მეცნიერული შრომის შედეგს არა ერთი მკითხველი, არამედ მთელი საზოგადოება ეპატრონება, სხვა სიტყვებით, ხდება მისი სოციალიზაცია.

ეს მომენტი ცოტა უფრო დაწვრილებით განმარტებას მოითხოვს. ხშრად გვესმის გამოთქმა "საზოგადოებრივი აზრი". იმდენად მივეჩვიეთ მას, რომ არც კი ვუფიქრდებით მის განმარტებას. ამავე დროს, რაიმე საკითხის შესახებ საზოგადოებრივი აზრი ვერ იქნება საზოგადოების ყველა წევრის თვალსაზრისებისაგან შემდგარი საშუალო არითმეტიკული. საზოგადოებაში ნებისმიერ კონკრეტულ საკითხზე უვიცების თვალსაზრისი ყოველთვის გადააჭარბებს რაოდენობრივად მცოდნეთა შეფასებას. ამიტომაც საშუალო არითმეტიკული ყოველთვის მცდარი იქნება და ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას. ამიტომ საზოგადოებრივ აზრში უნდა ვიგულისხმოთ მოცემულ დარგში გამოცდილ საჯარო პირთა ჯგუფური თვალსაზრისი. სწორედ ასეთ საჯარო პირებს წარმოადგენდნენ პირველი აკადემიკოსები, რომლე-

ბალდასარე კასტილიონე


ჟან-ბატისტ დ'ალამბერი

ბერნარდო დოვიცი. იგივე ბიბიენა

ბიც აკადემიაში მეცნიერული პროდუქციის განხილვითა და ჯგუფური შეფასებით საზოგადოების მონაპოვრად აქცევენ კონკრეტული მეცნიერის ნაშრომს, ან საზოგადოების სახელით უარს ამბობენ მასზე.

მას შემდეგ, რაც აკადემიამ ცენტრალიზებული ხასიათი შეიძინა, ეს პირველადი ფუნქცია საგრძნობლად დამახინჯდა: სათავეში მოექცა სუბიექტი — "მეფე" ან "სახელმწიფო" — რომლის ძირითადი თვისება სამეცნიერო პროდუქციასთან მიმართებაში არაკომპეტენტურობაა.

ამისგან განსხვავებით პირველ აკადემიებში მთავარი და ფუძემდებლური სწორედ კომპეტენტურობის პრინციპი იყო და ერთსა და იმავე სამეცნიერო საკითხზე ერთმანეთის გვერდი-გვერდ მსჯელობდნენ არისტოკრატები და ბურჟუები, ღვთისმეტყველები და ექიმები, ადვოკატები და მუსიკოსები, ლიტერატორები და მათემატიკოსები. ეს ტრადიცია, რა თქმა უნდა, ახალი ბუნებისმეტყველებისა და სპეციალიზებული დარგების დამკვიდრების შემდეგ ველარ გაგრძელდებოდა, მაგრამ მაინც შეიცავდა ბევრ თვისებას, რომელთა აღდგენაც ურიგო არ იქნებოდა. პირველი აკადემიები ყოველთვის ღია ტიპის მეცნიერული საზოგადოებებია, გამონაკლისს სამედიცინო და სასულიერო აკამედმიები წარმოადგენს. თითქმის არ არსებობს სოციალური ნიშნით შექმნილი აკადემიები: XVI საუკუნის იტალიაში ასეთი სულ ორია: "უთანასწოროთა" და "მხნეთა" აკადემიებში მხოლოდ არისტოკრატები დაიშვებიან. თავისი უმრავლესობით აკადემიები ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრირებასა და კულტურული ორიენტაციების თავისუფალ არჩევას. აკადემია ამკვიდრებს "სიტყვიერების რესპუბლიკის" მითს, რომლის წიაღში იშლება ყოველნაირი წოდებრივი განსხვავება. ამ თვალსაზრისით, აკადემია ორიენტაციას იღებს უნივერსალურ კულტურაზე და თავისი არსით კოსმოპოლიტურ სტრუქტურას წარმოადგენს.

მოგვიანებით, აბსოლუტიზმის ხანაში, როცა აკადემია დეკლარირებულად ეროვნული გახდა, თავისი არსით იგი მაინც კოსმოპოლიტური რჩებოდა, რასაც სხვადასხვა სამეფო აკადემიებში უცხოელი წევრების სიმრავლე მოწმობს. ჭეშმარიტება, რომ მეცნიერებას სამშობლო არა აქვს ყოველთვის აქტუალური და ქმედითი იყო, მიუხედავად გაბატონებული სახელმწიფო იდეოლოგიისა.

აკადემიური მეტყველება

აკადემია ყოველთვის ლაპარაკობს თავისი თავის შესახებ. იგი ყოველთვის რაღაცას ამცნობს გარე სამყაროს. ამავე დროს, ეს ლაპარაკი, მეტყველება არაა ნებისმიერი, არამედ მკაცრად და თავისებურად, თუმცა კი სპონტანურად ჩამოყალიბებული აკადემიური დისკურსის კანონებს ემორჩილება.

ყველა ამ აკადემიური მსჯელობის წინასახე იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი **ბალდასარე კასტილიონეს** თხზულება "წიგნი კარისკაცისა". ეს წიგნი დიალოგის ფორმითაა დაწერილი და მის ფურცლებზე საუბრობს სწავლულ კაცთა ჯგუფი, რომელიც ჯერ კიდევ 1569 წელს იქნა ცნობილი აკადემიად. ეს აღიარება ეკუთვნის იტალიელ ჰუმანისტს **შიპიონე ბარგალის**, რომელმაც დაწერა "სიტყვა აკადემიათა განსადიდებლად". ბარგალის მაგალითად მოჰყავს აგებულებით სასახლის მსგავსი ქალაქი ურბინო, საიდანაც, "როგორც ტროას ცხენიდან", მრავალი განსწავლულებითა და სიქველით განთქმული კაცი გამოვიდა: კარდინალი **პიეტრო ბემბო**, **ბიბიენა**, **ლოდოვიკო დი კანოსა**, ძმები ფედერიკო და **ოტავიანო ფრეგოზო** და თვით კასტილიონე. ყველა ეს ბრწყინვალე ადამიანი თავისი თავით სიტყვიერებისა და სიქველის იგივეობას განასახიერებს — სწორედ ეს ჰუმანისტური იდეა უდევს საფუძვლად როგორც ბარგალის "სიტყვას", ასევე თვით აკადემიის იდეას.

"კარისკაცის წიგნში" მოცემულ დიალოგში ადვილად იცნობა აკადემიის შემადგენელი მოსაუბრე და მოკამათე ჯგუფი. ცხადად ჩანს აკადემიის, როგორც სოციალური ფორმის, სტრუქტურული ელემენტები: დიალოგის მონაწილეთა ჯგუფი გარკვეულ ადგილასა და გარკვეულ დროს იკრიბება, მათი საუბარი თამაშის მსგავსადაა ორგანიზებული, ხოლო გამოსვლები მკაცრ რეგლამენტს ემორჩილება (ზოგიერთი გამომსვლელი წინასწარ ინიშნება, ყოველ სხდომას ჰყავს თავმჯდომარე, გამომსვლელები და მსმენელები ჩაკეტილ წრეს წარმოადგენენ). ეს კოდექსი უნაკლოდ მოქმედებს, თუმცა წერილობითი წესდების სახით არაა დაფიქსირებული. ზუსტად ამ კოდექსს დამორჩილდება მომავლის მრავალი რეალური აკადემია. ბევრი მათგანი მხოლოდ დროებითია — თავყრილობები მხოლოდ დროის განსაზღვრულ პერიოდში წარმოებს, მერე კი აკადემია იშლება. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროებითი აკადემიების შექმნის საბაბად დღესასწაული შეიქნება ხოლმე (კასტილიონეს წიგნში ქალაქ ურბინოში პაპის ჩამობრძანება).


VOCABOLARIO
DEGLI
ACCADEMICI
DELLA
CRVSCA.
CON TRE INDICI DELLE VOCI.
locuzioni, e prouerbi Latini, e Greci, posti per entro l'Opera.
CON PRIVILEGIO DEL SOMMO PONTEFICE.
Del Re Cattolico, della Sereniſſima Republica di Venezia. e degli
altri Principi, e Potentati d'Italia,
E FVOR D'ITALIA, DELLA MAESTA CESAREA.
Del Re Criſtianiſſimo, e del Sereniſs. Arciduca Alberto.
IN VENEZIA MDCXII.
Appreſſo Giouanni Alberti.

კრუსკას აკადემიის მიერ გამოცემული ლექსიკონის ფრონტისპისი

კასტილიონესა და ბარგალის თხზულებებში დადგინდა პირველად ის კანონები, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო აკადემიურ დისკურსს: "უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საგულდაგულოდ დაიმალოს ყველა ის ხერხი და საშუალება, რომელიც დაიხარჯა ყოველი სიტყვის ასაგებად, დაიფაროს მის მოსამზადებლად და წარმოსათქმელად აუცილებელი ყოველი შრომა, მოკლედ, ბუნების სფეროს უნდა მიეწეროს ის, რაც სინამდვილეში ხელობის, უნარ-ჩვევათა და ტექნიკის სფეროს მიეკუთვნება". სამეცნიერო შედეგის გამოქვეყნების მიმართ ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს მის სოციალიზაციას: გაცილებით უფრო ადვილია გავითავისოთ მშვენიერებისა და სიმსუბუქის კანონებით გადმოცემული იდეა, ვიდრე მოვინელოთ მის შესამუშავებლად საჭირო რთულ და მრავალსართულიან გარდაქმნათა მიმდევრობა.

საკუთარი სახელები

იტალიური აკადემიის პირველი განმასხვავებელი ნიშანი მისი სახელია. ამ საკითხის ირგვლივ არსებობს ერთი, თუმც საკმაოდ გვიანდელი, მაგრამ მეტად ვრცელი და ამომწურავი მოწმობა: იტალიელი ისტორიკოსისა და ლიტერატორის, **ჯოვანი ფეროს** 1623 წელს გამოცემული ვეებერთელა ტრაქტატი "ემბლემათა თეატრი". ავტორი აქ თავის ეპოქაში გავრცელებულ ემბლემებს განიხილავს, მათ შორის 130 აკადემიის ემბლემაცაა მოყვანილი და განმარტებული. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჯოვანი ფერო დაწვრილებით იკვლევს აკადემიათა საკუთარი სახელების წარმოშობას და მათ კლასიფიკაციასაც იძლევა:

1. სახელები, რომლებიც წარმოშობილია რაიმე ქმედების, ვნების, წამოწყების საფუძველზე, ან მომდინარეობს ემბლემაზე გამოსახული სხეულებისა ან საგნებისაგან.

2. სახელები, რომლებიც საკუთრივ ემბლემის გარეგნულ სახესთანაა დაკავშირებული.

3. სახელები, რომლებიც ასახავენ მოცემული აკადემიის აქტუალურ მდგომარეობას, ან მდგომარეობის ნაკლოვანებებს.

4. სახელები, რომლებიც აკადემიის მიზნებს გამოხატავენ.

5. სახელები, რომლებიც აკადემიის მშობლიური ქალაქის სახელთანაა დაკავშირებული.

6. სახელები, რომლებიც ასახავენ იმ ადგილს, სადაც იდეის თანახმად მოთავსებული უნდა იყოს აკადემიის ემბლემა.

სახელდების მთელი ეს სისტემა თავმდაბლობის, მოკრძალების სისტემას ემორჩილება, რადგანაც "არასრულყოფილ საქმეთა სახელის ტარება ჭეშმარიტი მოკრძალების ნიშანია". ეს მოსაზრებები ნაკარნახევია მთელი კარისკაცულ-კლასიცისტური კულტურის სიღრმისეული საფუძვლებით. სწორედ ამ მოსაზრებებმა უკარნახეს იტალიელ აკადემიკოსებს უკვე ხსენებული "უცნაური" სახელები: "უმწიფარნი", "დაბნეულნი", "უფორმონი", "უცნობნი" და ასე შემდეგ. ეს სულაც არაა რაღაც კაპრიზის გამომხატველი პრანჭიაობა, ექსტრავაგანტული და გაუგონარი ეგზოტიკისკენ სწრაფვა, არამედ გარეგნული სიადვილისა და სიმსუბუქის შენარჩუნების სურვილია. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ აკადემიური დისკურსის "უნივერსალური წესი" შედეგის მიღების სიძნელეთა დაფარვა იყო. ეს უცნაური სახელებიც იგივე მიზანს ემსახურება: უნდა დაიფაროს ჭეშმარიტების ფლობისა და საკუთარი განსაკუთრებულობის ცხადი აღნიშვნის ყველა პრეტენზია, უნდა მიიჩქმალოს აკადემიაში არსებული დაძაბულობები და ამბიციები.

ეს უცნაური სახელები საოცარ შესაბამისობაშია ეპოქის მთელ საკარო კულტურასთან, ამ კულტურაში გამეფებულ დიალოგურ ტრადიციებთან. ამ ეპოქაში ერთგვარი "საუბრის ანთროპოლოგიაც" კი განვითარდა: როდესაც "მოსაუბრე სულიერი" თავის მსგავსთა შორის აღმოჩნდება და ისინი ჯგუფს წარმოქმნიან, ამგვარი ჯგუფი უცილობლად ირჩევს თავის მთავარ სახელმძღვანელოდ ზემოხსენებულ "უნივერსალურ წესს", მის თავშეკავებულობას, მოკრძალებას, ყოველგვარი ზედმეტობისა და აფექტაციის უარყოფას.

ჯოვანი ფეროს მსჯელობაში ბევრ სხვა საგულისხმო პუნქტსაც აღმოვაჩენთ. მაგალითად, იტალიურ აკადემიებში მიღებული იყო "კავალერისა" და "ლიტერატორის" წოდებები. ფერო განიხილავს მათ შორის განსხვავებებს. ერთი შეხედვით აქ ხაზგასმულია ადამისდროინდელი დაყოფა "კეთილშობილი, წარჩინებული წოდებისა" და "სწავლულთა ფენას მიკუთვნებულ" ადამიანებს შორის, რომელიც შესაძლოა აკადემიის შინაგანი სტრუქტურის არსებითი ელემენტი იყოს. მაგრამ ფერო გაცილებით უფრო ფაქიზ და რთულ მომენტზე მიანიშნებს და აკადემიათა სოციალური ყოფის ყველაზე ინტიმურ მხარეებს ხსნის.

კერძოდ, იგივე უნივერსალურ პრინციპზე დაყრდნობით ფერო გვთავაზობს, განვიხილოთ "კავალერებსა" და "ლიტერატორებს" შორის დიფერენციაცია როგორც ძირეული განსხვავება შინაგან და გარეგან თვალსაზრისს შორის: ეს თვალსაზრისები ერთმანეთს ავსებს და ჭეშმარიტების სრულ სურათს ქმნის.

მაშინაც კი, როცა აკადემია თავისი არსით "სიტყვიერების რესპუბლიკას" წარმოადგენს, კავალერს ეს არ ეხება, იგი მუდამ კავალერად რჩება. კარისკაცული თამაში მხოლოდ ლიტერატორს ცვლის. აკადემიაში შემოსვლისთანავე იგი ზღურბლზე ტოვებს თავის ინდივიდუალურ გამოცდილებას, იმოსება აკადემიკოსის შესამოსელით და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ებმება საერთო საუბარში.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რასთან გვაქვს საქმე, უნდა გავიხსენოთ, რომ ბაროკოს ეპოქის საზოგადოება, რომლის წიაღში პირველად აღმოცენდა აკადემიები, ძალიან მტკივნეულად აღიქვამდა პირადი პირველობისა და ავტორიტეტის საკითხებს. ამიტომაც, სოციალური უთანასწორობის შესარბილებლად, აკადემიებში მიღებული იყო ერთგვარი ორმაგი თამაში. მაღალი წოდების წარმომადგენელი თავის მდგომარეობას ინარჩუნებდა, უფრო დაბალი წოდებიდან გამოსული აკადემიკოსი კი სახეზე ერთგვარ ნიღაბს იფარებდა. ამით მიღწეული იყო საზოგადოებრივ ფენათა შორის არსებული ჩატეხილი ხიდების გამთელება ამ ფენათა რეალური შენარჩუნებით.

მაგრამ მიუხედავად ფეროს წიგნის უეჭველი ისტორიული მნიშვნელობისა, ის მაინც არ წარმოაჩენს ბაროკოს ეპოქის აკადემიური სამყაროს სრულ სურათს. როგორ უნდა ავხსნათ ათეულობით აკადემიის არსებობა, რომლებსაც უბრალოდ დამაარსებლის სახელი ეწოდებათ? გარდა ამისა, ფეროს ტრაქტატი ისტორიულად XVI საუკუნითაა შეზღუდული და მისგან ვერაფერს დავასკვნით აკადემიათა განვითარების შემდგომ პერსპექტივებზე.

ამიტომ ფეროს მონაცემები ერთგვარ კორექციას საჭიროებს. თანამედროვე იტალიელმა მკვლევარმა, **ამედეო კვოდამმა** ეს კორექცია ჩაატარა და ქვემოთ მოყვანილი შედეგები მიიღო:

1. აკადემიები, რომლებიც დამაარსებლის სახელს ატარებენ: XVI საუკუნეში ისინი სრული რაოდენობის 9,5% შეადგენს, ასი წლის შემდეგ მათი წილი 4%-მდე მცირდება, მაგრამ XVIII საუკუნეში უკვე 12%-ს აღწევს და XIX საუკუნისთვის 10% სტაბილურდება. როგორც ეტყობა, ამგვარ დროით განვითარებას განაპირობებს ინდივიდუალიზმის ზრდა ევროპულ და მაშასადამე იტალიურ საზოგადოებაში. ინდივიდუალიზმთან ერთად ვითარდება ავტორის კონცეფცია და შესაბამისად დამაარსებლი როლიც.

2. აკადემიები, რომელთა სახელწოდებები ეთანხმება ფეროს კლასიფიკაციის 1, 2, 3 და 4 პუნქტებს. ამათი წილი XVI-დან XIX საუკუნის ჩათვლით შემდეგნაირად იცვლება: 77,7% - 86% - 54% - 36%. როგორც ვხედავთ, ბაროკოს ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები პიკს XVII საუკუნეში აღწევს, ხოლო შემდგომ ამ ნიშნებს გადაგვარება ელოდება ისევე, როგორც ყველაფერს, რაც მხოლოდ წარსულის ტრადიციაზეა დამყარებული და გარემო სინამდვილეში ცოცხალ საყრდენს ვერ პოულობს.

3. აკადემიები, რომელთა სახელწოდება შეიცავს პროფესიულ-დისციპლინარული სფეროს დასახელებას, ან აკადემიის მშობლიური ქალაქის სახელწოდებას. საუკუნეების მიხედვით ამგვარი აკადემიების ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავია: 10% - 13% - 34% - 54%.

ამ მშრალი რიცხვებიდან აკადემიურ ინსტიტუციათა მთელი ისტორია შემოგვცქერის: ჩანს, რომ დროთა განმავლობაში იცვლება ერთი და იმავე სოციალურ-კულტურული ფორმის სხვადასხვა ტიპებს შორის შეფარდება. უპირველეს ყოვლისა ვხედავთ, რომ ტრადიციული პირვანდელი აკადემიები, ძირითადად, XVI-XVII საუკუნეებში არსდებოდა, როცა სამეცნიერო სპეციალიზაცია სუსტი იყო, ხოლო შემოქმედებითი პოტენციალი — ძალიან მაღალი. ამის შემდეგ ვითარდება მეცნიერებათა დიფერენციაცია, აკადემიათა შიგნით კი — ნომინაციათა სისტემა, ანუ აკადემიურ წოდებათა იერარქია. უკვე იშლება ყოფილი დემოკრატია, "სიტყვიერების რესპუბლიკა" აკადემიურ წოდებათა ტირანიად გადაგვარდება.

"ლაურენციანას" სამკითხველო დარბაზი

ბაროკოს მხატვრული ინვენტარი

ბაროკალურ ხელოვნებაში იღვიძებს საოცარი ინტერესი ეფექტური სანახაობრივი მოტივებისა და დრამატული სიტუაციების მიმართ. მუშავდება გარკვეული ოფიციალური თემატური რეპერტუარი: ტრიუმფები, ალეგორიები, ისტორიული სცენები, პარადული პორტრეტის ბაროკალური ვარიანტი. ბაროკომ თითქმის არ იცის ყოფითი ჟანრი. რა შეეხება ბაროკალურ საკულტო ხელოვნებას, აქ სჭარბობს სპეციფიკური თემატიკა: სასწაულების სცენები, წამებები, სამარხი ალდამების გამოსახულება. ეს ნამუშევრები გამსჭვალულია რელიგიური ეგზალტაციით, მისტიციზმით, აქ ყველაფერი ავსებით ძლიერი აფექტის ხარისხში.

საერთოდაც, ბაროკოს მთავარი ემოციური ნორმა აფექტია, რაც მჟღავნდება გრძნობათა უტრირებულ გამოსახვაში, რომელიც ხშირად ემოციურ ალტყინებამდეც მიდის. ასეთი პათეტიკური ზეაწეული ხელოვნების წინაშე მნახველი ყოველთვის ფორსირებული ემოციური ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ამ მიზნების მისაღწევად მუშავდება განსაკუთრებული

პიტერ პაულ რუბენსი – გლობუსის ოთხი მხარე

მხატვრული მეთოდები: ბაროკოს მხატვრების საყვარელი ხერხია კომპოზიციის დიაგონალური აგება, სურათი სავსეა დინამიკით, გამოირჩევა მოძრაობის მოტივების, მოულოდნელი რაკურსების, დრამატული ჟესტიკულაციების სიუხვით, თვალში საცემია პერსპექტიული შემცირება და აჩქარებული რიტმი, რელიეფურად ამოწერილი სავსე ფორმები, მდიდარი ფაქტურა, კოლორიტული ეფექტები. მხატვარი მიმართავს როგორც ნატურალურ ილუზორულ ტონალობას, ასევე აშკარად ხელოვნურ დეკორატიულ ფერებს. ოსტატურად იყენებენ კონტრასტებით თამაშს. ყოველივე ამის შედეგად მთელი სამყარო აღიქმება როგორც მარადიულ მოძრაობაში მყოფი ერთიანი კოსმიური სტიქია.

ბაროკოს სკოლები

იტალიაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბაროკალური ხელოვნება ყველაზე კონფორმისტული იყო. სწორედ აქ აღმოჩნდა ბაროკო საეკლესიო იდეოლოგიასთან განსაკუთრებულად მჭიდრო კონტაქტში და ფაქტობრივად კათოლიციზმის პროპაგანდად იქცა. ბაროკო შესანიშნავი ფონი აღმოჩნდა ტრიდენტის საეკლესიო კრების დროინდელი კათოლიკური ღვთისმსახურებისათვის.

თუმცა, **ლორენცო ბერნინის** მიერ რელიგიურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები თავიანთი დრამატული პათოსითა და ტრაგიკული დისონანსით სცილდება კონკრეტული რელიგიური იდეის საზღვრებს.

ფლამანდიაში ოფიციალური იდეოლოგია უკანა პლანზე იწევს. აქ შექმნილი ბაროკალური ნაწარმოებები სცილდება ავტორიტარული საკულტო რეპრეზენტაციის მიერ დასახულ შეზღუდვებს. შემთხვევითი არაა, რომ ბაროკოს სტილის ფარგლებში მრავალი ჟანრი განვითარდა. რომ არაფერი ვთქვათ ძალიან პოპულარულ სიუჟეტებზე ანტიკური მითოლოგიიდან, აქ ვითარდება პეიზაჟი, ნატურმორტი, სადაც ხდება სინამდვილის ახალი პლასტების გახსნა.

პიტერ პაულ რუბენსი – ფაეტონის დაცემა

ფრანგული ბაროკო ოფიციალური საერო ხელისუფლების ინტერესთა გამომხატველი ხელოვნებაა, თუმცა როგორც მხატვრული სისტემა და შემოქმედებითი პრინციპი იგი გაბატონებულ როლს არ ასრულებს და ამ ადგილს კლასიციზმს უთმობს. მართლაც, **სიმონ ვუესა** და **ლებრენის** ოფიციალური პორტრეტები ფლამანდიურ ან იტალიურ ნიმუშებთან შედარებით საოცრად ზედაპირული, ფორმალური და ეკლექტურია.

ჯანლორენცო ბერნინი – წმ. ტერეზას ექსტაზი

ავტორები: ნოდარ ლადარია, ლეილა ბეჟაშვილი

ბინები

იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(93) 202767

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

ვყიდი 5-ოთახიან და 3-ოთახიანს საბურთალოზე. 79 43 17 ავთო (საღამოს), 39 68 63 რამაზი (საღამოს). 8(93) 35 88 31

სასწრაფოდ იყიდება 2-სართულიანი ახალაშენებული, უცხოვრებელი სახლი, მთლიანად ხეში, ევრორემონტით, პლატოდან 1 კმ-ში, სოფ. თხინვალა. 25 000 $. 63 29 23

იყიდება სარემონტო, იზოლირებული 3-ოთახიანი ბინა აბანოთუბანში, გრიშაშვილზე. 72 13 36, 15 სთ-დან 19 სთ-მდე.

იყიდება ახალგარემონტებული 2-ოთახიანი ბინა დ/მასივში "წითელქუდას" თავზე, 8(8). დაშენების პერსპექტივით. 10 000-ად. 53 02 04

ბინები

ქირა, ბირაო

ქირავდება!

სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

იყიდება 2-ოთახიანი ბინა გადაკეთებული 3-იანად, ავტოფარეხით. ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე. 23 18 69

იყიდება იზოლირებული 1-ოთახიანი ტელეფონით, მერიასთან, II სართულზე, იტალიურ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელით. 98 30 09, 8(99) 53 74 44

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

კომერციული ფართი

გირავდება 75 კვ.მ. ოფისი ალმაშენებლის გამზირზე - 52/54. თურქეთისა და ისრაელის საელჩოსთან. 95 00 48

ქირავდება 100 კვ.მ. საოფისე ფართი თავისუფლების მოედანთან, ირაკლი II-ის ქუჩა №11. 98 77 48

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

მანქანები

იყიდება "ფერარი ენცო" 2002 წ. 12 ცილინდრი, 48 სარქველი 6,0 სმ 3, 659 ცხენის ძალა. ფასი 350 000 $. 60 62 42 იკითხეთ ლევანი

იყიდება "აუდი-100", 1986 წლის, ნადგომი 10 წლით. კარგ მდგომარეობაში. 98 30 09, 8(99) 53 74 44

იყიდება "ლინკოლნი" 1992 წლის, სრული ელექტროპაკეტით, იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 8000. 98 30 09, 8(99) 53 74 44

სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

სხვადასხვა

იყიდება დახლ-მაცივარი და ვიტრინები. 8(99) 28 94 97

იყიდება გერმანული ნაგაზის ლეკვები. 58 78 56

იყიდება კომპიუტერი P III. ფასი 370 $. 8(93) 37 46 63, 39 95 71 გიორგი

ვიმუშავებ ოპერატორად კომპიუტერზე ან მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლად კერძო სასწავლებელში. 8(93) 37 12 05 ანა

მერქნის დახერხვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

ახალი ფირმა გთავაზობთ საოფისე სამუშაოს განურჩევლად ასაკისა. სწავლა უფასოა. 96 89 17 ან საღამოს 37 40 28 დემნა ჯაში

იყიდება ადრე დამზადებული, შეუღებავი ხმელი კარები (2,30X0,95) ჩარჩოთი და უჩარჩოო კარებები (2,0X0,87). 39 45 54 (საღამოს), 8(77) 73 90 14 ირაკლი

დაგიმზადებთ ბიზნეს-გეგმებს და საგარანტიო პროექტებს. 8(99) 53 86 57, 66 04 55, 69 10 36

იყიდება კომპიუტერი AMD-DURON 950 MHz. ფასი შეთანხმებით. 69 82 79

ვისესხებ და გავასესხებ თანხას ბინის ჩადებით ქ. თბილისში. 79 43 17 ავთო (საღამოს), 39 68 63 რამაზი (საღამოს). 8(93) 35 88 31

წინასარემონტო სამუშაოები დიზაინერთან ერთად. 22 06 22

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

ფირმა "ბაისადის" უმაღლესი ხარისხის მაკარონები და "პეჩენიები" საბითუმო ფასებში. 35 16 71, 8(77) 42 21 53

საფირმო სალონი "მაუდი" იწვევს დისტრიბუტორებს, რეალიზატორებს, გამყიდველ გოგონებს. ა. წერეთლის გამზ. 140. 34 89 46

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 8(99) 28 99 66, 23 35 12

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა.

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

სადილი ყველას

შაბათს, 7 დეკემბერს "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი გემრიელი სადილი.

დარეკეთ 11-დან 17-საათამდე 95-16-46.
დავით აღმაშენებლის 121.

თბილისის სახელმწიფო აკადემიის პიტოთერაპიული კლინიკა მკურნალობს:

1. ქოლეცისტიტი - მწვავე, ქრონიკული (ნაღვლის ბუშტის გამორეცხვა ზონდირების გარეშე, ჩირქი, მარილები, ბილიარული სიმკვრივე);
2. ფილტვების გასუფთავება ლორწოსაგან აქტიურ და პასიურ მწეველებში;
3. თირკმელებში ცილა, სილა, კენჭი, ჩირქი;
4. მაგნიტური ტალღების და კომპიუტერული სისტემების უარყოფითი გავლენის მოხსნა.

ტელ: 25-31-83
მის: მე-9 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა, I სართული

საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

☐ **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.

☐ **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

24 საათი
28.11.02 N-179

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

სპორტის სასახლე
პენტას საკონცერტო დღეები
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

სახიობა
ლუდმილა რაზუმოვსკაია "ძვირფასო ქალბატონო ელენე", რეჟ. ნანა დემეტრაშვილი
დას: 15:00 სთ; ფასი 2 ლარი

თეატრალური სარდაფი
ნანა ჭანელიძე "ანტიგონე", რეჟ. ნანა ჭანელიძე, მთავარ როლებში ნანა ხუსკივაძე, კახა აბუაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

თავისუფალი თეატრი
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„
"მარტოობის ბინადარი", რეჟ. ნანა მჭედლიძე; მთავარ როლში, სოფიკო ჭიაურელი
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

N გალერეა
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

გალერეა „ვერნისაჟი„
გიორგი აფციაურის ნამუშევრების გამოფენა

TMS
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

„ქარვასლა„
გიორგი მასხარაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ძველი გალერეა
გოგა ჭაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

კინოთეატრები

„ამირანი„
"მობრძანდით კოლინვუდში", პროდიუსერები: სტივენ სოდერბერგი, ჯორჯ კლუნი; რეჟ. ჯოზეფ რუსო
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ, ფასი 5-8 ლარი
"პიანისტი ქალი", რეჟ. მიხაელ ჰანეკე
დას: 16:00 სთ, ფასი 5,6 ლარი
"ვასაბი", რეჟ. ლუკ ბესონი, მთავარ როლში ჟან რენო
დას: 18:00 სთ, ფასი 6,7 ლარი

„რუსთაველი„
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17;00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი
"უნებლიე მილიონერი"
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

„ელისო„
"სათამაშოების ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჰოლივუდური დასასრული", რეჟ. ვუდი ალენი
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

TV პროგრამა 28 ნოემბერი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "ჰარლემის დღეები" მთ.როლებში ედი მერფი, რიჩარდ პრაიარი
02.10 კლასიკა.

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 საპარლამენტო არჩევნები
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 საპარლამენტო არჩევნები
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი"
14.30 "თბილისი და თბილისელები"
15.15 მხ. ფილმი "სახლი რომელიც სვიფტმა ააშენა"
16.30 სერიალი "რვაფეხა"
17.10 რამპა
17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ"
17.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ჯანმრთელობა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
21.55 "დრო და ფული"
22.05 "საქართველო არის ესე"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ცხრანახევარი კვირა"
02.00 ქართული ენის გაკვეთილი

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
08.00 "ტოროლა"
11.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით
12.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით
13.15 პაუზის გარეშე
17.00 "კომედია" მხ.ფ. "პატარა მონსტრები"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ევრო-ქართული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძირობანა
22.45 მოკლე სეანსი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "სამაგალითო მამრი".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ფლეშ ბექი".
03.20 ნონ-სტოპი

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "საგანგებო მდგომარეობა 2"

ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20, 20.00 მსოფლიო სპორტი
12.25, 21.00 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 "იდენ-ტვ"
23.00 ფსიქო-პორტრეტი
00.00 მხ.ფ. "სპეცაგენტი კორკი რომანო"

იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "ბოროტების სავანე"
10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
10.20 მხ. ფილმი "რუგი სამოთხეში"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "თამაში წესების გარეშე"
22.15 მხ.ფ. "მაღალი ქუსლები"
00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სულელები"
13.30 მხ. ფილმი "დათვი"
15.00 მხ. ფილმი "სიჩქარე"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ჩრდილოვანი შეთქმულება"
19.20 სპექტრი
21.00 მუსიკა
22.00 მხ. ფილმი "სახის გარეშე"

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 11.50, 13.35, 15.25, 17.30, 21.45, 23.50 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი"
12.50 მულტფილმი "გრაფი მონტე-კრისტო"
14.00 მხ. ფილმი "შეუპოვარი რაზმი"
15.40 მულტფილმი "უფლისწული და მათხოვარი"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" მე-8 სერია
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-11 სერია
21.00 დოკ. სერიალი "ეს სანახაობაა"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "კლდეში ნაკვეთი ტაძარი ანუ სიმბელი, ეგვიპტე"
22.00 მხ. ფილმი "დუეტები"
00.00 მხ.ფილმი "უკანასკნელი მოგზაურობა"

აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ჭიდაობას რა უნდა"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "ჟანა დარკი"
14.45 მხატვრული ფილმი "დაკარგული სამოთხე"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი
17.00 კომედია "კონტრაბანდისტები"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.30 ქართული მხატვრული ფილმი
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი "კურიერი"
03.30 ისტორიული ფილმი "ელ სიდი" 1 სერია
05.00 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 მელოდია
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
11.30 "სახლიდან გაუსვლელად"
11.55 "ბიორითმი"
12.15 ანიმაცია
12.35 "სახლიდან გაუსვლელად"
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 "სახლიდან გაუსვლელად"
13.50 სპორტი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "პაემანი"
20.35 "სახლიდან გაუსვლელად"
21.10 "ღამის კაპრიზი"
22.15 "სახლიდან გაუსვლელად"
22.50 "კინოკლუბი " - "ადამიანი უსახოდ".
00.40 სპორტი
00.45 "სახლიდან გაუსვლელად"
01.00 "ბიორითმი"

ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 20.00 Новости
10.15, 20.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "Форс-мажор"
11.55 "Ералаш"
12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб: "Черный плащ"
13.15 Худ.фильм "СЕНТИМЕНТАЛЬНЫЙ РОМАН"
15.10 Ералаш
15.30 "Гении и злодеи"
16.50 Худ.фильм "КЛЕТКА", 3 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 Сами с усами
21.00 "Слабое звено"
22.00, 01.00 Время
22.40 Худ.фильм "КЛЕТКА", 4 с.
23.45 Человек и закон
01.20 "Русский экстрим"
01.50, 02.50 "Апология"
02.20 "Цивилизация".

РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 "НИНА. РАСПЛАТА ЗА ЛЮБОВЬ"
10.50 Сериал "Марш Турецкого 3. Оборотень"
11.45, 17.45, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.15 Экспертиза
14.30 Вся Россия
14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Худ. фильм "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР"
18.20 "Сто к одному"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "НИНА. РАСПЛАТА ЗА ЛЮБОВЬ"
23.00 Сериал "Марш Турецкого 3. Оборотень"
00.00 "Вести +"
00.45 Худ.фильм "ПРОКЛЯТИЕ НЕФРИТОВОГО СКОРПИОНА" (США)
02.45 Дорожный патруль

Image
CENTRE
პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"

ფეხბურთი

ტიერი ანრის ჰეთ-თრიკი და "რომას" დამსხვრეული ილუზიები

ლევერკუზენი	1 - 2	ბარსელონა
ნიუკასლი	1 - 4	ინტერი

		[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	ინტერი	1	1	0	0	4:1	3
2	ბარსელონა	1	1	0	0	2:1	3
3	ლევერკუზენი	1	0	0	1	1:2	0
4	ნიუკასლი	1	0	0	1	1:4	0

რომა	1 - 3	არსენალი
ვალენსია	1 - 1	აიაქსი

		[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	არსენალი	1	1	0	0	3:1	3
2	აიაქსი	1	0	1	0	1:1	1
3	ვალენსია	1	0	1	0	1:1	1
4	რომა	1	0	0	1	1:3	0

აკა ტონია

"არსენალის" კარში მატჩის მე-4 წუთზე გატანილმა გოლმა ცოტა ხნით მაინც შექმნა ილუზია, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე იტალიური "რომას" უსახური თამაში მხოლოდ ხანმოკლე ჩავარდნის ბრალი იყო. ვიფიქრეთ, რომ ფაბიო კაპელოს გუნდი იტალიის მოქმედი ჩემპიონის შესაფერის შედეგს მიაღწევდა, მაგრამ...

...ილუზიამ მხოლოდ 2 წუთს გასტანა. ანტონიო კასანოს მიერ გატანილი გოლი ფრანგმა ტიერი ანრიმ მატჩის მე-6 წუთზე გაქვითა. შეხვედრის დებიუტში გატანილი ორი ბურთი თითქოსდა გოლების ფეიერვერკს მოასწავებდა. "რომა" ინიციატივას ფლობდა, უტევდა, რომ არა ფრანგი სიგანი, ტოტის დარტყმული ბურთი აუცილებლად გოლად იქცეოდა, მაგრამ... ფეიერვერკი მხოლოდ და მხოლოდ "არსენალის" შესრულებით ვიხილეთ. ტიერი ანრიმ მის მიერ გატანილს კიდევ ორი დაუმატა და ჩვენი იმედებიც ამით გააქარწყლა – "რომა" კრიზისშია. ასეთი თამაშით იტალიელები შემდეგ ეტაპზე ნამდვილად ვეღარ გავლენ. რაც შეეხება "არსენალს", არსენ ვენგერს არაფერი აქვს სანერვიულო, მას ხომ ანრი ჰყავს.

REUTERS

გუშინდელი დღის გმირი - ტიერი ანრი

B ჯგუფის მეორე შეხვედრა: "ვალენსია"-"აიაქსი". "ვალენსიამ" გამუდმებით უტევდა, მთელი მატჩის მანძილზე უდიდეს ინიციატივას ფლობდა, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით მოახერხა. შეხვედრის მე-2 წუთზე ნორვეგიელმა კარეუმ ცარიელ კარისთვისაც კი "მოახერხა" ბურთის აცილება. "ვალენსია" მოგებას იმსახურებდა, თუმცა ისიც კარგია, რომ 90-ე წუთზე მიგელ ანხელ ანგულომ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა.

A ჯგუფში სიურპრიზი არ მომხდარა. ამას ჩვენ მოველოდით: პირველ ადგილს სამ-სამი ქულით "ინტერი" და "ბარსელონა" ინაწილებენ. "ლევერკუზენისა" და "ნიუკასლის" პერსპექტივები კი საკმაოდ ბუნდოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები მთელი პირველი ტაიმის მანძილზე იგებდნენ, მაინც დამარცხდნენ, "ბარსელონამ" გასვლაზე სძლია ლევერკუზენის "ბაიერს" – 1:2.

თანაქალაქელი "მილანის" წარმატება გაიმეორა მილანის "ინტერმაც", იმ განსხვავებით, რომ ჰექტორ კუპერის გუნდმა გამარჯვებას გასვლით მატჩში, თანაც შთამბეჭდავი ანგარიშით – 4:1 მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედეგი ობიექტურად არ ასახავს მატჩის მსვლელობას. შეხვედრის მე-6 წუთზე მოედნიდან გააძევეს "ნიუკასლელი" კრეიგ ბელემი. მიუხედავად ამისა მასპინძლები დიდი ძალებით უტევდნენ, მაგრამ წარმატების მიღწევა მხოლოდ ერთხელ შეძლეს. "ინტერი" კი კონტრშეტევებზე თამაშობდა და თითქმის ყველა საგოლე შანსი გამოიყენა. ბობი რობსონის გუნდისაგან ცუდ სტარტს უკვე შეჩვეულები ვართ: პირველ ჯგუფურ ეტაპზე "ნიუკასლმა" ზედიზედ სამი მატჩი წააგო, მაგრამ დარჩენილ სამში გამარჯვება შეძლო და მომდევნო ეტაპზეც გავიდა. ასე, რომ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

ქართული "სუპერკლასიკოს" მოკრძალებული ხიბლი

ქართულ პრესაში ადგილობრივ "სუპერკლასიკოდ" მონათლულმა მატჩმა, რომელშიც ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონატის პირველ და მეორე ადგილზე მყოფი გუნდები დაუპირისპირდნენ, ალბათ, ბევრს გაუცრუა იმედები.

მიხეილ აბაიშვილი

შეხვედრა, რომელიც, სტატუსით არათუ მეორე წრის, არამედ მთელი პირველი ეტაპის ცენტრალურ თამაშადაც შეიძლებოდა ჩათვლილიყო, დუნედ, ლიდერთა მატჩისათვის შეუფერებლად, დაბალ ტემპში წარიმართა. არადა, მატჩის წინა ინტერვიუებში, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მწვრთნელი სამ-სამ ქულას უგეგმავდა თავის გუნდს. ხორვატმა შუშაკმა მეტი დიპლომატიურობა გამოიჩინა და გუნდების შანსები 55/45-ზე შეაფასა - "დინამოს" სასარგებლოდ, მისი უკრაინელი კოლეგა კი შანსებზე სიტყვას არ ძრავდა, თუმცა, პირველ წრეში ქუთაისში მინიმალური ანგარიშით განცდილი მარცხისთვის, რევანშს აპირებდა. არადა, თამაშის ხასიათმა დაადასტურა, რომ შუშაკიც და შტელინიც "მშვიდობიან" ფრესაც დაყაბულდებოდნენ.

თამაში მასპინძლების მცირე ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით დაიწყო. ქუთათურებმა, ვერ გეტყვით, სასტარტო მღელვარების თუ დაუდევრობის გამო, პირველ წუთებში სათანადოდ არ გაამაგრეს საკუთარი საჯარიმოს მისადგომები და ლამის დაისაჯნენ კიდეც. ზედიზედ რამდენჯერმე სტურუას კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა. დინამოელთა მთავარმა გოლეადორმა, ვიტალი დარასელიამ მეტოქის კარიდან 2 მეტრში მიიღო ბურთი, ძალზე უხეიროდ დაარტყა და კარს ზემოდან გადააცდინა, "დინამომ" კი ანგარიშის გახსნის ასპროცენტიანი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. სხვა ხელსაყრელ მომენტებშიც ან მასპინძლების თავდამსხმელები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ან სტუმართა მეკარე თამაშობდა ზუსტად. რაც შეეხება ქუთათურებს, მათ მთელი პირვლი ტაიმის განმავლობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ნახევარმომენტიც" კი არ შეუქმნიათ ზოიძის კართან. ბურთი, ძირითადად, მოედნის ცენტრში დაგორავდა და მეტოქეები თამაშის გამწვავებას ვერ ახერხებდნენ.

მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა, თუ არ ჩავთვლით ქუთაისელთა მცირე გამოცოცხლებას და "დინამოს" კართან შექმნილ ორ სახიფათო მომენტს. პირველად პოროშინის გადაცემის შემდეგ კარგად დაარტყა იონანიძემ, მაგრამ ზოიძემ ბურთის მოგერიება შეძლო, მეორე შემთხვევაში ასათიანის დარტყმის შემდეგ ბურთი მცირე მანძილით აცდა ლიდერის კარს. შუშაკს, ალბათ, შეეძლო გუნდის შემტევი პოტენციალის გაძლიერება და ახალგაზრდა თავდამსხმელების - ბობოხიძის, სამხარაძის ან მიქაძის მოედანზე შემოშვება, მაგრამ, როგორც ჩანს, მას სავსებით აკმაყოფილებდა ერთი ქულაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამიჭირდება ახსნა, ხორვატ მწვრთნელს მატჩის დასრულებამდე ერთი შეცვლაც რომ არ განუხორციელებია. საბოლოოდ, ტაბლოზე თამაშის ხასიათის შესაფერისი ლოგიკური შედეგი - ნულოვანი ფრე დაფიქსირდა.

პირველ-მეორე საფეხურზე მყოფ გუნდთა ამ ინდეფერენტულობით ისარგებლა ცაკარიასის გუნდმა, "ლოკომოტივმა", რომელმაც დაგეგმილი სამი ქულა მიითვალა და ქულებით მჭიდროდ მიუახლოვდა "დინამოს" და "ტორპედოს". ჩილელი სპეციალისტის შეგირდებმა რუსთავის "გორდას" უმასპინძლეს და სირაძე-ჭიჭვეიშვილის წყვილი გოლით გაიმარჯვეს. წაიფორხილა კიდევ ერთი უცხოელი სპეციალისტის, იტალიელი ჯანი კარნევალის "ვიტ ჯორჯიამ". ვეტერინარები ბოლნისს ესტუმრნენ, სადაც თამაში ნებისმიერ გუნდს უჭირს. თემურ მახარაძის გუნდმა 35-ე წუთზე ბაქრაძის მიერ გატანილი გოლით გაიმარჯვა და, პრაქტიკულად, ფინალურ ექვსეულში ადგილი გაინაღდა. იგივე შეიძლება ითქვას ფოთის "კოლხეთზეც", რომელმაც ზღვისპირულ "დერბიში" "ბათუმის "დინამოს" დამარცხება შეძლო. "კოლხეთის" ზეექვსეულში მოხვედრის შანსები, თითქმის, ას პროცენტს გაუტოლა ოთარ გაბელიას "მერანის" უნიათო თამაშმა გურჯაანში, სადაც წნორის "მილანმა" სერიოზული ბრძოლა გამართა და ქულაც მოიპოვა.

მართალია, პირველი ეტაპის დასრულებამდე კიდევ სამი ტური დარჩა, მაგრამ, ფაქტობრივად, უკვე გარკვეულია ზეექვსეულში მოხვედრილი, თუ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი გუნდების ვინაობა.

გიორგი ანჩაბაძე შეტევაზე

საქართველოს ჩემპიონატის მე-19 ტური

დინამო – ტორპედო 0:0
ლოკომოტივი – გორდა 2:0
სიონი – ვიტ ჯორჯია 1:0
კოლხეთი – ბათუმი 1:0
მილანი – მერანი 2:2
მეტალურგი – დილა 0:2

[illegible]	თ	მ	ფ	წ	ბ.ბ.	ქ
დინამო	19	15	2	2	43:7	47
ტორპედო	19	14	3	2	42:11	45
ლოკომოტივი	19	14	1	4	32:9	43
ვიტ ჯორჯია	19	13	1	5	31:12	40
სიონი	19	9	2	8	24:23	29
კოლხეთი	19	8	3	8	20:27	27
მერანი	19	5	5	9	21:32	20
ბათუმი	19	4	5	10	13:24	17
მეტალურგი	19	5	1	13	10:39	16
დილა	19	4	3	12	11:28	15
მილანი	19	3	4	12	11:37	13
გორდა	19	4	0	15	19:55	12

სკოლარის ახლა "ბენფიკაც" ეპატიჟება

ეს უკვე დამღლელი ხდება: ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის მომავალი ნავსაყუდელი ვერა და ვერ გაირკვა. 3 დღის უკან მწვრთნელი "პალმეირასში" დაბრუნებაზე საუბრობდა, გუშინწინ გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ სკოლარი ალბათ მაინც პორტუგალიის ნაკრებს ჩაუდგებოდა სათავეში. ახლა კი მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის ტრიუმფატორი მწვრთნელისათვის ბრძოლაში, სრულიად მოულოდნელად, პორტუგალიური "ბენფიკაც" ჩაერთო.

გუშინ, პორტუგალიურმა ტელეკომპანია "სიკ"-მა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლუის ფელიპე კოლარიმ უკვე ოფიციალურად მიიღო "ბენფიკას" მიწვევა, რათა ახლად დათხოვილი მწვრთნელის, ჟეზუალდო ფერეირას პოსტი დაიკავოს. შეგახსენებთ, რომ პარასკევს დაგეგმილია სკოლარის შეხვედრა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან. ამ შეხვედრაზე იმ კონტრაქტს უნდა მოეწეროს ხელი, რომლის თანახმადაც ბრაზილიელი მწვრთნელი პორტუგალიის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. უკანასკნელი ინფორმაცია კი ყველაფერს თავდაყირა აყენებს.

პორტუგალიის მედია სკოლარისთვის "ბენფიკას" მიერ შეთავაზებული ხელფასის ოდენობასაც კი ასახელებს – 175 ათასი ევრო კვირაში, ანუ 2,1 მილიონი წელიწადში.

"ბენფიკას" წინადადება სრულიად მოულოდნელია. კლუბის ხელმძღვანელობა ბრაზილიელ მწვრთნელს ყოველგვარი შუამავლების გარეშე დაუკავშირდა. ტელეკომპანია "სიკ"-ი ამტკიცებს, რომ კლუბის წარმომადგენელი უკვე შეხვდა სკოლარის და დაჰპირდა, რომ "ბენფიკაში" მას არანაკლები ხელფასი ექნება ვიდრე პორტუგალიის ნაკრებში.

მწვრთნელის პასუხი უცნობია. პორტუგალიური მედიის ცნობით, სკოლარის ჯერ არც "კი" უთქვამს, და არც "არა", მაგრამ თავის პოზიციას უახლოეს დღეებში დააფიქსირებს.

მოკლედ

ფეხბურთი. ფიფა-ს პრეზიდენტს, იოზეფ ბლატერს სერიოზული ოპოზიცია ჰყავს უეფა-ს ხელმძღვანელების და, კონკრეტულად, მისი პრეზიდენტის, ლენარტ იუჰანსონის სახით. ფიფა-ს საზოგადოებრივი კავშირების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი, კეიტ კუპერი, რომელიც ბლატერმა სამი თვის წინ დაითხოვა სამსახურიდან, 2003 წლის იანვრიდან უეფა-ს ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტს დაიკავებს. ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის, გერჰარდ აიგნერის თქმით, უეფა-ს ძალზე წაადგება კუპერის ცოდნა და გამოცდილება. შეგახსენებთ, რომ კუპერი იმ ჯგუფის ერთ-ერთი აქტივისტი იყო, რომელიც ფიფა-ს საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბლატერს მართვის არასწორ ორგანიზაციაში და ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ბლატერი მეორე ვადით აირჩიეს ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად, კუპერს და მის თანამოაზრეებს ფიფა-ს ხელმძღვანელობაში დაკავებული მაღალი პოსტების დატოვება მოუწიათ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ევროპის ფეხბურთის ასოციაციების პრეზიდენტმა, ლენარტ იუჰანსონმა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, გრეგორი სურკისმა შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფა-ს შტაბ-ბინაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას "სამწვრთნელო კვალიფიკაციის ურთიერთცნობის შესახებ". შესაბამისად, უკრაინული სამწვრთნელო ლიცენზიის მფლობელი მწვრთნელები იურიდიულად აღიარეს დასავლეთ ევროპაშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინის უმაღლესი სამწვრთნელო აკადემიის მიერ გაცემული A ან B ლიცენზიის ნებისმიერ მფლობელს დასავლეთ ევროპაში მუშაობის უფლება აქვს როგორც პროფესიულ, ისე სამოყვარულო კლუბში და ახალგაზრდულ გუნდებში.

■ ■ ■

ფეხბურთი. გუშინ ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელის, დიეგო მარადონას პირადმა წარმომადგენელმა, გილერმო კოპოლამ განაცხადა, რომ მარადონამ ამჯერად სარესტორნო ბიზნესში გადაწყვიტა ძალების მოსინჯვა. შესაბამისად, უახლოეს მომავალში ნეაპოლში და ბუენოს აირესში გაიხსნება პირველი ორი რესტორანი - "მუნდო მარადონა". ამ რესტორნების ინტერიერი გაფორმდება ფეხბურთელის ფოტოსურათებით. დიეგო მარადონას წარმომადგენლის აზრით, ეს რესტორნები დიდი პოპულარობით ისარგებლებს, რადგან იტალიაში და არგენტინაში მარადონა კვლავაც ახალგაზრდობის ერთ-ერთი უსაყვარლესი სპორტული გმირის განსახიერებად რჩება.

■ ■ ■

ფეხბურთი. ელისტის "ურალანის" საუკეთესო ბომბარდირმა, ზურაბ წიკლაურმა, შესაძლოა, გუნდი შეიცვალოს. საქმე ის არის, რომ ქართველ ფორვარდს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა. მისი პერსონით "ურალანზე" გაცილებით ძლიერი რუსეთის პრემიერლიგის კლუბები დაინტერესდნენ და სარფიან გარიგებასაც სთავაზობენ. წიკლაური, რომელიც ამჟამად ეგვიპტეში ისვენებს, საგონებელში ჩავარდა. მისი თქმით, ამ საკითხს დეკემბრის შუა რიცხვებში მოეფინება ნათელი - როცა ყალმუხეთის გუნდი შესვენების შემდეგ შეიკრიბება.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ ინგლისის "ლივერპულის" სკანდალური მეკარე ბრიუს გრობელაარი. შეგახსენებთ, რომ ზიმბაბველ მეკარეს სასამართლო პროცესი ჰქონდა გაზეთ "სანთან", რომელმაც 1994 წელს იგი აზიურ ტოტალიზატორებთან კავშირსა და თამაშების გაყიდვაში დაადანაშაულა. მაშინ სასამართლოში გრობელაარის საქმე შეწყდა. ახლა კი სკანდალური მეკარე ახალ შარში გაეხვია. გრობელაარი ვალდებულია, მილიონი გირვანქა გადაიხადოს. სწორედ ამ თანხად შეაფასეს ხარჯები, რომელიც საქმის წარმოებას დასჭირდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ანდრეი შევჩენკომ სამშაბათს "რეალის" კარში უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა. მატჩის შემდეგ უკრაინელი ფორვარდი ბედნიერებისგან ბრწყინავდა. "ამ მატჩს დიდ იმედებს ვუკავშირებდი და ჩემი თამაშით უაღრესად კმაყოფილი ვარ. მინდა, მადლობა მოვახსენო თანაგუნდელებს და კარლო ანჩელოტის, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი მომიძებნა. განსაკუთრებით გამოვყოფ გულშემატკივართა მხარდაჭერას, რომლებიც რთულ პერიოდში მხარში ამომიდგნენ. დავამატებ იმას, რომ ძალიან მაღიზიანებს ხმები მილანიდან ჩემი გადასვლის შესახებ. ვიმედოვნებ, რომ ეს ჭორები ახლა მაინც შეწყდება.

■ ■ ■

ფეხბურთი. უეფას სადისციპლინო კომიტეტმა სტამბულის "ბეშიქთაშის" ფორვარდ ილხან მანშიზს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი უეფას თასის მესამე წრეში კიევის "დინამოს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ 1/32 ფინალში ესპანური "ალავესის" წინააღმდეგ ილხანმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი მუშტი-კრივი გამართა, რისთვისაც მინდვრიდან მიაბრძანეს. შესაძლოა, ილხანის გარდა, კიეველთა წინააღმდეგ "ბეშიქთაშის" კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, ახმედ დურსუნმაც ვერ ითამაშოს. მას ტრავმა აქვს.

■ ■ ■

ფორმულა 1. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი "ფერარის" გამოცდას ტესტების პირველივე კვირიდან შეუდგებოდა. თუმცა, ალმოჩნდა, რომ ჩემპიონი იანვრის შუა რიცხვებამდე დაისვენებს. "ფერარის" ტესტ-სესიები სამშაბათს ბარსელონაში დაიწყო. F2002-ის საჭესთან ლუკა ბადოერი იჯდა. ამავე დროს მიუჯელოში, ბოლიდის განსამტკიცებლად, ლუჩანო ბურტი იმუშავებს. სავარაუდოდ, შუმახერი და ბარიკელო ამ პროცესებში იმ შემთხვევაში ჩაებმებიან, თუ გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნება, მაგრამ "ფერარის" საჯინიბო მიიჩნევს, რომ ამის საჭიროება არ გაჩნდება.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ხვალ პარიზში, "ბერსის" სპორტის სასახლეში დაიწყება დევისის თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს საფრანგეთისა და რუსეთის გუნდები დაუპირისპირდებიან. ალექსანდრე მეტრეველი მიიჩნევს, რომ მასპინძლებს უპირატესობა ექნებათ. "მცირეოდენი უპირატესობა ფრანგების მხარეს იქნება," - ამბობს მეტრეველი, - ვფიქრობ, პროცენტულად - 60-40-ზე ან 55-45-ზე ფრანგების სასარგებლოდ". უიმბლდონის 1973 წლის ფინალისტი აღნიშნავს, რომ რუსებისთვის ყველაზე ძლიერი და, ამავე დროს, უხერხული მეტოქე სებასტიან გროსჟანია. სლავებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ნიკოლა ესკუდესა და ფაბრის სანტოროს დუეტი, რომლებიც წყვილთა თანრიგში იასპარეზებენ.

■ ■ ■

კრივი. მაიკ ტაისონი მიიჩნევს, რომ მისი ცხოვრების "ველური დღეები" წარსულს ჩაბარდა და ახლა თავისუფლად შეიძლება მას ნორმალური ადამიანი უწოდონ. "ამჟამად მხოლოდ ერთი საფიქრალი მაქვს - რინგზე ჩხუბი იმისთვის, რომ კარგი ფული გავაკეთო. მხოლოდ უზრუნველ ცხოვრებას შეუძლია ადამიანიდან ყველა დემონი განდევნოს," - მიიჩნევს "რკინის მაიკი". ჯერჯერობით ტაისონი არ ამბობს, თუ რამ შეუცვალა შეხედულება, მაგრამ მიანიშნებს, რომ გლობალური ცვლილება მისმა პირადმა ცხოვრებამ განაპირობა. "ნაცრისფერ ხალხს" მინდა შევაგნებინო, რომ, პირველ რიგში, პროფესიონალი ვარ და არ დამვიწყნია, რა უნდა ვაკეთო რინგზე," - დაამატა ტაისონმა, რომელიც თებერვალში მემფისის რინგზე ეტიენს დაუპირისპირდება. ეტიენი "რკინის მაიკზე" მაღალი აზრის არის. "ვერ დავეთანხმები იმ 99 პროცენტის აზრს, რომ მაიკ ტაისონი, როგორც მოკრივე, წარსულს ჩაბარდა. მიმაჩნია, რომ მას თავისი ტალანტი ჯერ კიდევ არ ამოუწურავს. სწორედ ამიტომ დავთანხმდი მასთან შეხვედრაზე," - განაცხადა ეტიენმა.

რაგბი

"უხაზობამ" "ლოკომოტივს" ხაზი გადაუსვა

თბილისის "ლოკომოტივისა" და ბათუმის "დათვების" გუშინდელი შეხვედრით საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ვარკეთილში სათამაშოდ მისულმა თბილისელმა და ბათუმელმა მორაგბეებმა მხოლოდ მისალმება, ურთიერთმოკითხვა იკმარეს და დაიშალნენ. არშემდგარი თამაშის მიზეზი სამატჩოდ მოუმზადებელი მინდორი გახლდათ.

პაატა თოთაძე

ჩემპიონატის დებულების მიხედვით, სამატჩოდ მოედნის მომზადება მასპინძელ გუნდს ევალება. ამ შემთხვევაში ასეთი გუნდი "ლოკომოტივი" იყო, მაგრამ რკინიგზელებმა მოვალეობას თავი ვერ გაართვეს – მოედანი ვერ დახაზეს. რა იყო ამის მიზეზი, ზუსტად ვერ გეტყვით. გუნდის წარმომადგენელთა თქმით, მოედანი დაიხაზა, მაგრამ წვიმამ ყველაფერი წაშალა. სტადიონზე შეკრებილთაგან ზოგს ეჭვი გაუჩნდა, რომ მოედანი იმ დღეს საერთოდ არ დახაზულა. ასეა თუ ისე, თამაშის დაწყებისთვის მოედანი მოუმზადებელი იყო და ეს თბილისელი მორაგბეების ბრალია. "ასეთ მოედანზე ოფიციალური მატჩის გამართვა არ შეიძლება. რაკი ბათუმელებს შორი გზა აქვთ გამოვლილი, შინ უთამაშებლად რომ არ გაბრუნდნენ, შესაძლოა, გუნდები ამხანაგურ მატჩზე შეთანხმდნენ და მატჩი გაიმართოს", - განაცხადა შეხვედრის მთავარმა მსაჯმა ნოდარ რობიტაშვილმა. ბათუმელებმაც თავიანთი უფლება გამოიყენეს და თამაშზე უარი განაცხადეს.

დებულების მიხედვით, "ლოკომოტივს" წაგება ეთვლება და, წესით, ერთი ქულაც უნდა ჩამოერთვას, საბოლოოდ ყველაფერი დღეს გადაწყდება. არაა გამორიცხული, რაგბის კავშირში რკინიგზელთა არგუმენტები გაითვალისწინონ და გუნდს ქულა არ ჩამოაკლონ, თუმცა ამის ალბათობა ძალიან მცირეა.

მომხდარმა ერთობ გაურთულა საქმე "ლოკომოტივს". გუშინდლამდე სატურნირო ცხრილში გუნდი მეორე ადგილზე იმყოფებოდა, დღეიდან კი ის, შესაძლოა, ერთი საფეხურით დაქვეითდეს. საქმე ისაა, რომ "ლოკომოტივს" და "დათვები 2"-ს თანაბარი რაოდენობის ქულები ჰქონდათ, ჩამოკლების შემთხვევაში კი ზღვისპირელები გადაასწრებენ თბილისელებს. ეს იმას ნიშნავს, რომ რკინიგზელებს ნახევარფინალში არა "დათვებთან", არამედ თანაქალაქელ "ყოჩებთან" მოუწევთ გაჯიბრება, შემდეგ კი, ფინალში გასასვლელად, "დათვებსა" და "დათვები 2"-ს შორის დამარცხებულის ძლევა.

ფორმულა 1

ნიკი ლაუდა: "ეს ყველაფერი სრულიად გაუგებარია"

ლეგენდარული პილოტი სამსახურიდან დაითხოვეს

"იაგუარის" საჯინიბოს შეფი, ლეგენდარული პილოტი - ნიკი ლაუდა დაკავებული თანამდებობიდან დაითხოვეს. თავად ლაუდამ გადაყენების შესახებ გუშინწინ ღამით გაიგო, რაც მისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ახლად გათავისუფლებული შეფის ადგილს ამიერიდან ტონი პარნელი დაიკავებს, რომელიც აქამდე "ფორდის" ფორმულა 1-ის განყოფილების ხელმძღვანელის, რიჩარდ პერი ჯოუნსის მრჩეველი იყო.

გერმანული სპორტული საინფორმაციო სააგენტო "Sport Informations Dienst"-ი გვთავაზობს ნიკი ლაუდასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს, რომელშიც ის სამსახურიდან მისი დათხოვნის შესახებ საუბრობს. "ჩემი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სრულიად გაუგებარია. ამჟამინდელი მანქანის კონსტრუირებისას უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ", - ამბობს 53 წლის ლაუდა.

გუშინ ლეგენდარულ პილოტს ახიმ შლანგი ესაუბრა.

- დათხოვნა თქვენთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც - საზოგადოებისათვის?

- ნამდვილად. ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. საუბარი გუშინ შედგა. მითხრეს, რომ ხელმძღვანელობას კიდევ უფრო დახვეწილი საინჟინრო საქმიანობა ესაჭიროება. მე პროფესიონალი ინჟინერი არ ვარ და მათ აზრს ვეთანხმები. ყოველივე ამის შემდეგ კონსულტანტის ადგილი შემომთავაზეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფის პოსტი უნდა დამეტოვებინა.

- მიიღეთ თუ არა რაიმე შენიშვნა?

- ვკითხე მათ, ჩემი მუშაობით უკმაყოფილონი ხომ არ იყვნენ. პასუხად მივიღე, რომ აბსოლუტურად არავითარი შეცდომა არ დამიშვია და ყველაფერი წესრიგშია. შენიშვნა ნამდვილად არ მოუციათ.

- ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, გასულ სეზონში "იაგუარმა" დიდ წარმატებას მიაღწია. ერთადერთი პილოტი, რომელსაც წელს კვარცხლბეკზე დგომის უფლება მიეცა და თან, იგი "ფერარის", "მაკლარენის" ან "ბმვ"-ს წევრი არ იყო, თქვენი პილოტი ედი ირვაინი აღმოჩნდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ უსამართლოდ მოგექცნენ?

- ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ახალი მანქანის შექმნისას უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. იყო თუ არა ჩემი მოღვაწეობა ნაყოფიერი, მომავალი სეზონის დასაწყისში გამოჩნდება. თუ ახალი მანქანა არ გაამართლებდა და ამიტომ მომხსნიდნენ, ეს სწორი ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი მოხსნა ნაადრევად მიმაჩნია.

- რამდენი ხანი დაგჭირდებათ იმისათვის, რომ გადაწყვიტოთ, დათანხმდეთ თუ არა კონსულტანტის პოსტს?

ნიკი ლაუდა

- ჩემი კონტრაქტის ვადა არ ამოწურულა. უნდა ვნახოთ, რა ფორმით გაგრძელდება ფინანსური ურთიერთობა. ამაზე უნდა ვისაუბროთ. მხოლოდ შემდეგ გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე.

- ალბათ კომპენსაციაზეც ფიქრობთ?

- როდესაც კონტრაქტს აფორმებ, შემდეგ კი აუქმებ, ფინანსური კომპენსაციაც უნდა გაიღო.

- გინდათ ფორმულა 1-ში დარჩენა?

- ამჟამად პასუხის გაცემა მიჭირს, რადგან ეს სიურპრიზი გუშინ მომხვდა და ყველაფრის გასაანალიზებლად დრო მჭირდება. თუ მე კონსულტანტის პოსტზე მუშაობას დავთანხმდები, ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმულაში ვრჩები. ხოლო თუ ახალ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ, სხვა სამუშაო უნდა ვეძებო. თავდაპირველად კი ის უნდა გავარკვიო, რა ევალება კონსულტანტს – მე ხომ ჯერ ისიც არ ვიცი, რა ფუნქცია აქვს მას!

1 ლიზი ჩიტაძე ასაკი-24, 181/85/65/89, თვალი - ყავის, თმა - წაბლის

2 ელიზა კარტოზია ასაკი-17, 170/78/58/84, თვალი - თაფლის, თმა - წაბლის

3 თამუნა ყველაშვილი ასაკი-17, 155/80/62/82, თვალი - ყავის, თმა - წაბლის

4 ხათუნა ნაჭყებია ასაკი-15, 175/87/68/94, თვალი - თაფლის, თმა - წაბლის

5 ლორენა ფარულავა ასაკი-21, 172/85/68/95, თვალი - ცის, თმა - ღია წაბლის

6 ანი სოხაძე ასაკი-17, 170/92/67/88, თვალი - ყავის, თმა - წაბლის

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

[illegible]

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტიუმი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე
ვაჟა ფშაველას 45, [illegible], მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი", ტელ: 53 69 11

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

[illegible]

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

სულ მალე!
„პირველი ელექტრონული გამომცემლობა“
[illegible]
გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ
მეორე წიგნს
ქართული ფოლკლორი
[illegible]
2002 წლის 29 ნოემბერს, 17 საათზე
[illegible]
თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკისათვის!

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
[illegible] (3) [illegible]

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424 ფაქსი: 202425, e-mail: public@24hours.ge
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში